ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 9 აპრილი 1999 №64 (837) | ფასი 1 ლარი


4

## პირველად იყო კალაძე

კახი კალაძე პირველი ქართველი ფეხბურთელია, ვინც ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში ითამაშა და გოლიც გაიტანა

8

## იგი დარჩა და მეც მოვედი



ინტერვიუ ჯოვანი ტრაპატონისთან

8

## როგორ შეირიგა რენსენბრინკმა ბელგიელები




12

## ელიტამ ქართველები არ გაიკარა



დავით კილასონია: ყველა წინ მიიწევს, ჩვენ — უკან

REUTERS მოსკოვიდან



ლოკომოტივი — ლაციო 1:1. იტალიელთა კარში გოლის გამტანმა ზაზა ჯანაშიამ პაოლო ნეგროს (№2) ბურთი მოჰპარა

როგორც ჩანს, თასების თასის დაუწერელ კანონს, რომლის მიხედვითაც ეს პრიზი ზედიზედ ორჯერ არავის მოუგია, დარღვევა არ უწერია. ყოველ შემთხვევაში, თასის მფლობელმა „ჩელსიმ" წუხელ „მალიორკას" შინ ვერ მოუგო და ფინალისკენ მიმავალი გზა გაირთულა. მოსკოვის „ლოკომოტივმაც" ვერაფერი მოუხერხა კლასით მასზე გაცილებით მაღლა მდგომ „ლაციოს". თუმცა, ჩვენთვის ერთი სასიხარულო ამბავი მაინც მოხდა — ზაზა ჯანაშიამ ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო დაცვასაც აჯობა და კვლავ გაიტანა.

იხილეთ მეთექვსმეტე გვერდი

# რატომ არ უნდა წავიდეს ნაკრებიდან გუცაევი

საქართველოს ეროვნული ნაკრები ევრო 2000-ის შესარჩევი ტურნირის ყველაზე საპასუხისმგებლო მატჩს ყველაზე არასახარბიელო სიტუაციაში ხვდება — სლოვენიასთან ცუდად ჩატარებული მატჩის შემდეგ ეროვნული ნაკრების ამჟამინდელმა მწვრთნელმა ვლადიმერ გუცაევმა გადადგომის შესახებ გააკეთა განცხადება. ყველაზე ცუდი კი, ისაა, რომ გუცაევი ამას აპირებს ნორვეგიის ნაკრებთან უმნიშვნელოვანესი შეხვედრის შემდეგ, შედეგის მიუხედავად. თუ გადადგომას აუცილებლობად თვლიდა, სჯობდა, გუცაევი უშუალოდ სლოვენიასთან ფრის შემდეგ წასულიყო. საფეხბურთო ლოგიკით კი ყველაზე ცუდი ნორვეგიასთან მატჩისთვის „გუცაევის უკანასკნელი თამაშის" იარლიყის მიწებებაა. მოვლენების ამგვარი განვითარების გამო 28 აპრილის შეხვედრის შედეგი ნამდვილ ლატარიად და „შინდისფერების" ისედაც მცირეზე მცირე შანსი ამ შეხვედრაში მთლად ნიორ-ნაქურჩალად იქცევა...

არადა, ევროპის ჩემპიონატზე ქართველების მოხვედრის შესაძლებლობა ჯერაც რეალურია. რეალურია სატურნირო ცხრილიდან გამომდინარე. არარეალური კი იგი მაშინ ხდება, როცა ნაკრების დონეს, თამაშის ხარისხს და ფეხბურთელთა სათამაშო განწყობას გავითვალისწინებთ. გუცაევის განცხადებამ ხომ მთლად არია მონასტერი...

იხილეთ მეორე გვერდი



ვლადიმერ გუცაევი

# რატომ არ უნდა წავიდეს ნაკრებიდან გუცაევი

### საფუძველი ანუ ქრწანისის რეზიდენციიდან მესახლვრემდე

წასვლის მოტივი, როგორც ასეთი, ვლადიმერ გუცაევს ნამდვილად აქვს. თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მისი ხანმოკლე მოღვაწეობა კონფლიქტებით უფრო დაიხუნძლა, ვიდრე გამარჯვებებით და რაც ყველაზე უსიამოვნოა, უთანხმოება მოუვიდა საქართველოს ნაკრების ამ თაობის უსაჭიროეს ფეხბურთელ თემურ ქეცბაიასთანაც.

თემურ ქეცბაია კი, თავის მხრივ, გუცაევის პირველი მხარდამჭერი და მეკავშირე უნდა ყოფილიყო. ასეა, ციხე ყოველთვის შიგნიდან ტყდება-ხოლმე.

გუცაევის წასვლის მოტივაციას ისიც აძლიერებს, რომ მან ვერ შეძლო თავისი გენერალური ხაზის ბოლომდე გატარება — ნაკრების ბირთვის გადახალისება. თუმცა გადახალისება არ არის ის სიტყვა. გუცაევს არც „შინდისფრების" გაახალგაზრდავება ჰქონია მიზნად, მან გაითვალისწინა წინა წლების (და არა წინა მწვრთნელების) გამოცდილება და მთლიანად ეროვნული ნაკრების შეცვლა მოინდომა.

ამაშიც იყო და არის გარკვეული ლოგიკა.

ყველასთვის ნათელია, რომ ნორაკიძისეული მართლაც რომ ნაკრების შემდეგ, „შინდისფერი ლეგიონის" მთელი ისტორია არის ისტორია თბილისის „დინამოს" იმ თაობისა, რომელიც ამჟამად ევროპის სხვადასხვა გუნდშია გაბნეული.

ეს თაობა კი, ცოტა არ იყოს, ზედმეტად ჭირვეული და თავის თავში დარწმუნებული აღმოჩნდა. იმდენი უძახეს ამ ნიჭიერ და პერსპექტიულ ბიჭებს, ვარსკვლავები ხართო, რომ ვარსკვლავური ავადმყოფობა შეჰყარეს და ამას თავი დავანებოთ, ერთ დონეზეც გაყინეს.

შეძახილით ხე გახმაო — ხომ ქართულია, ჰოდა, ზუსტად ასე მოხდა.

პატივმოყვარეობაში გადაზრდილმა თავმოყვარეობამ კი ის ქნა, რომ საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ვერც ერთ შესარჩევ ტურნირში ვერ მოახერხა რამე.

ამიტომაც არ იყო გასაკვირი, ვლადიმერ გუცაევმა „გამარჯვებულის ფსიქოლოგიის" მქონე ნაკრებზე რომ დაიწყო საუბარი, მერე ყოფილ დინამოელებს საქართველოში მოთამაშე სხვა ფეხბურთელებიც შეუერთა და არც მათი ფსიქოლოგიური დამოძლვრა დაივიწყებია.

მალტის ტურნირზე გამარჯვება გუცაევი-მწვრთნელი-ფსიქოლოგის გამარჯვებაც იყო. ამის შემდეგ საქართველოში იმასაც ამბობდნენ, გუცაევი ნაკრებს საგანგებოდ ურჩევს სუსტ მეტოქეებს, რათა გუნდმა თავისი თავისა ირწმუნოსო.

ამაშიც იყო სიმართლის გარკვეული მარცვალი.



ბადრი ქეთილაძის ფოტო

ვლადიმერ გუცაევს გადადგომის თაობაზე განცხადება ჯერ არ დაუწერია

ყველაფერი და, მათ შორის, სანაკრებო სიტუაციაც, საქართველო — რუსეთის ამხანაგური შეხვედრის შემდეგ აირია.

დღემდე ჭორად კი დადის, მაგრამ ყველამ ასე იცის და ასე გაიგო — იმ მატჩის შედეგი ვერც ჩვენი ნაკრების თამაშმა, ვერც გუცაევის ტაქტიკამ ვერ განსაზღვრა. მაშინ სხვა რამე მოხდაო — ასე იცის ხალხმა.

ქეცბაია — გუცაევს შორისაც მაშინ გაირბინა შავმა კატამ.

ამას ცხადაძის, შელიას ფორმაში არყოფნა, ქინქლაძე — ჯამარაულის უთამაშებლობა დაემატა, არველაძეებიც ველარ ქუხდნენ ძველებურად და მწვრთნელმაც ნაკრების ბირთვის შეცვლა მოინდომა.

მას მისეულივე ახალგაზრდულ ნაკრებში დაფრთიანებული ბიჭებისა ეიმედებოდა — კობიაშვილი, იაშვილი, ცქიტიშვილი, კიკნაძე, დიდავა, ფოცხვერია, გახოკიძე, აშვეთია, დემეტრაძე ახალგაზრდა, მაგრამ არც ისე ხელწამოსაკრავი ფეხბურთელები არიან და თუ გაჭირდებოდა, ისინიც გასწევდნენ ჭაპანს.

ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელი ასე ფიქრობდა.

მაგრამ ისე მოხდა, რომ იაშვილი და ფოცხვერია დაშავდნენ, გახოკიძე უთამაშებელი იყო, კიკნაძე და დიდავა „რასინგ მეხელენმა" მოაცდინა. არც სხვები იყვნენ საუკეთესო ფორმაში და გუცაევის ბოლო სადგური ისევ უსახური ეროვნული ჩემპიონატი აღმოჩნდა. ეროვნული ჩემპიონატი, სადაც ორიოდ ფეხბურთელი კი მოიძია ბატონმა ვოვამ, მაგრამ, როგორც მოვლენებმა ცხადყო, ამ ფეხბურთელთა მონდომებამ ვერ შეცვალა ადრინდელი ბირთვის ნიჭი და ევრო 2000-ის შესარჩევი ტურნირის პირველ ოთხ მატჩში გაფლანგული რვა ქულაც გუცაევის მარცხის ტოლფასი გამოდგა.

ვა-ბანკი, რომელზეც წავიდა გუცაევი და ამაზე ადრეც დაუწერია „სარბიელს", კრახით დამთავრდა. ასე რომ, წასვლის მიზეზი ნამდვილად აქვს ბატონ ვოვას.

სხვა ობიექტური მიზეზებიც საკმაოდაა, რათა გუცაევის წასვლა მავანმა სწორ გადაწყვეტილებად ჩათვალოს.

ვლადიმერ გუცაევი ნაკრების სათავეში ჯერ კიდევ ძველი სფფ-ს დროს მოვიდა. მას კი სხვა შეხედულების, სხვა მიმართულების, სხვა მენტალიტეტის ხალხი მართავდა.

ქართულ ფეხბურთში ინერციით ბევრი რამ ჯერაც ნაცნობობით, ახლობლობით წყდება და 23 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ბევრი ელოდა გუცაევის „გაშვებას", მაგრამ სფფ-ს ახალ შემადგენლობას, წინამორბედთაგან განსხვავებით, დიპლომატიური ვარირების უნარი შესწევს. ამიტომაც აცალეს გუცაევს ჟორდანიამ და კომპანიამ. არც სლოვენებთან ფრის შემდეგ დაუძალებიათ მისთვის გადადგომა, მაგრამ თუკი მერაბ ჟორდანიას ერთ გამონათქვამსაც გავითვალისწინებთ — საქართველოს ამ ნაკრებთან ყველაზე კარგ შედეგს დავით ყიფიანმა მიაღწიაო — ყველაფერი ნათელი გახდება.

სიმართლე ვთქვათ (რახან თვითონ გუცაევი თავს იკავებს), ქართული ფეხბურთის ამ თაობასთან ბატონი ვოვას მწვრთნელობის საქმე თავშიც და ბოლოშიც გარკვეულია.

ისიც სათქმელია, რომ მისი მწვრთნელობის დასაწყისში ნაკრები შეკრებების დროს კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში ცხოვრობდა, ამ ბოლო დროს კი პროზაულ სასტუმრო „მესაზღვრეში" დაუდეს „შინდისფერებს" ბინა — ამანაც ბევრი რამ უნდა მიგვანიშნოს. ამგვარი ფაქტიდან გამომდინარე კი არავის გაუკვირდეს, თუ სახელმწიფო კანცელარიაში ქართული ფეხბურთისადმი მიძღვნილ სხდომებზე „ტოტო ლოტოზე" უფრო მეტს რომ ლაპარაკობდნენ.

ასე რომ, გუცაევის წასვლა არ არის ნაკრების მორიგი მწვრთნელის წასვლა. ეს საკითხი გლობალურია და უფრო გლობალურადაც უნდა მივუდგეთ.

და ერთი (ჩვენი აზრით, მთავარი) მოტივაციაც გუცაევის წასვლისა — საქართველოს ახლანდელ ნაკრებში ბოსკამპი კი არა, კრუიფი რომ მოიყვანო, ისიც ბევრს ვერაფერს შეცვლის. „შინდისფერები" თამაშობდნენ და თამაშობენ თავიანთ ფეხბურთს. ისინი უმალ მწვრთნელს მოჭრიან თავიანთ თარგზე, ვიდრე მწვრთნელის თარგზე მოიჭრებიან.

ამიტომაც, სანამ „შინდისფერების" ეს თაობა იქნება ნაკრების ძირითადი ბირთვი და ხერხემალი, გუცაევს ნაკრებში აღარაფერი ესაქმება.

### ყოფნა, არყოფნა... ყოფნა!

რახან ვლადიმერ გუცაევმა ის პროცესი დააჩქარა, „ნაკრების ბირთვის გადახალისებად" რომ შერჩა ქართული ფეხბურთის უახლოეს ისტორიას, მას ბოლომდე (ამ ციკლის მაინც) უნდა გაეძლო მოვლენათა განვითარებისთვის.

იგი იღბლიანი კაცია. ახლაც კიდევ ერთხელ დასტურდება ეს — ოთხი თამაშიდან რვა ქულა დაიკარგა და ნაკრებს არათუ მეორე, პირველ ადგილზე გასვლის შანსიც აქვს.

და ისიც ხომ სათქმელია, რომ გადადგომა იგივე გაქცევაა, იგივე ფარხმალის დაყრაა ხალხის თვალში. ფეხბურთს კი ხალხისთვის თამაშობენ და არა, ვთქვათ, რომელიმე მთავრობო უწყებისთვის.

ამიტომ არ უნდა წავიდეს გუცაევი.

ნახევარ სიმართლეს არც აქამდე ურგია გუცაევისთვის და აწი, მითუმეტეს, არ არგებს.

და თუ ძალდატანებაზე, დისკომფორტზე წავა ლაპარაკი, პირველმა თვითონ უნდა თქვას ამაზე — სხვა მასზე კარგად ვერაფერს იტყვის, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მასზე კარგად არავინ იცის არაფერი.

სხვანაირად, ნორვეგიასთან შეხვედრაში გამარჯვების შემთხვევაშიც კი, ვლადიმერ გუცაევი დამარცხებული კაცი იქნება.

დამარცხებულებს კი ვერ უყვარს ხალხი.

ჩვენი აზრით, ესაა ის, რამაც გუცაევი თავის გადაწყვეტილებაზე ერთხელაც უნდა დააფიქროს.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

*P.S. ეს წერილი არც მორიგი შეტირილია ვინმესი ან რამესი და არც სიმპათია-ანტიპათიების გამომზეურება. საქართველოს ეროვნულ ნაკრებს უჭირს და ჩვენც, უბრალოდ, ჩვენი პოზიცია გამოვხატეთ ამასთან დაკავშირებით.*

# ასე ვერ გავფრინდებით!

**იყო დრო, აწ უკვე ისტორიის სანაგვეზე მოსროლილ ფეხბურთის ფედერაციას ხშირად ვაკრიტიკებდით, ხშირად ვუწუნებდით გადაწყვეტილებებს და დებულებაში ჩაწერილი პუნქტების შესრულებისკენ მოვუწოდებდით. ახლა სხვა დროა და ახალი ფედერაციაც გვყავს, რომელიც თავისი სამართლიანობით იწონებს თავს, მაგრამ... მეათე ეროვნული ჩემპიონატი, ჩათვალეთ, ინერციით გრძელდება. პირველობის პირველი წრე ძველმა ფედერაციამ ჩაამთავრა, მეორე უკვე ახლებმა დაიწყეს, მაგრამ დიდად არაფერი შეუცვლიათ. ბევრსაც ვერაფერს მოსთხოვ კაცი, რადგან ამჟამინდელ ხელმძღვანელებს ჯერ სკამებიც ვერ გაუთბიათ რიგიანად, წესდებაში უმნიშვნელო ცვლილებები კი სათვალავში არ მიიღება.**

**მიუხედავად** ამისა, დებულებაში შავით თეთრზე ჩაწერილი პუნქტები, რა მნიშვნელობა აქვს ვისი დამტკიცებულია, ზედმიწევნით ცოდნასა და შესრულებას მოითხოვს. ახალ ფედერაციას კი ზოგჯერ რაღაც ავიწყდება.

სანამ პირდაპირ სათქმელზე გადავიდოდეთ, გვინდა, მკითხველს ძველი ფედერაციის ერთი „გონივრული" გადაწყვეტილება გავახსენოთ. იმ ხალხმა, მსაჯები ცემა-ტყეპისგან რომ ეხსნათ, გათამაშების დებულებაში ასეთი პუნქტი ჩაწერეს — თამაშის მსაჯის ან დელეგატის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის დამნაშავე გუნდს დაეკისრება ფულადი ჯარიმა და ჩამოეწერება 5 ქულა.

მილებიდან ერთი ჩემპიონატის მანძილზე მოქმედებდა მინუს ხუთქულიანი წესი და რამდენიმე გუნდიც იმსხვერპლა. მომდევნო ჩემპიონატში მინუს ხუთი მინუს სამით შეცვალეს.

მეათე ეროვნულის პირველ წრეში ზემოთ ხსენებულმა კანონმა პირველჯგუფელი „ვიტ ჯორჯია" გაამწარა, ხოლო მეორე ჯგუფში ერთბაშად შვიდი გუნდი დატოვა ქულანაკლული.

მალე მეორე წრეც იწურება, მსაჯების ცემა საკმაოდ გახშირდა, სადისციპლინო კომიტეტიც არაერთხელ შეიკრიბა, მინუს სამის წესიც არავის წაუშლია დებულებიდან, მაგრამ...

შორს წასვლა არ დაგვჭირდება, სადისციპლინო კომიტეტის ბოლო სხდომა გავიხსენოთ. დისციპლინარებმა სხვა საკითხებთან ერთად ტყიბულის „მეშახტესა" და ოზურგეთის „მერცხალის" ფეხბურთელები დასაჯეს.

...„მეშახტეს" ოთხმა ფეხბურთელმა არად ჩააგდო მსაჯები და როგორც შეეძლო, ისე გაუსწორდა...

— 35-ე წუთი მიმდინარეობდა. ოზურგეთელები უტევდნენ. საჯარიმოში „მერცხალის" ფეხბურთელი წაიქცა. ვაცხადებ, რომ პენალტი არ იყო. ამ დროს „მერცხალის" ფეხბურთელი მომვარდა და ხელი მკრა. მაშინვე წითელი ბარათი ვუჩვენე. ამის მერე მხოლოდ ის დავინახე, რომ მასპინძელთა გუნდის მეკარის გარდა ყველა ჩემს საცემრად მოიწევდა. წამაქციეს და ათივემ გამეტებით მირტყა.

ეს სიტყვები მატჩის მთავარ არბიტრს, ავთანდილ სამხარაძეს ეკუთვნის. ორივე გუნდის დანაშაული იმდღევანდელი სხდომის ოქმში დაფიქსირდა. ორივე შემთხვევაში მსაჯის ხელყოფის ფაქტი აშკარა იყო.

სადისციპლინო კომიტეტმა ტყიბულელ და ოზურგეთელ ფეხბურთელებს „ნაირნაირი" სასჯელი გამოუტანა, მაგრამ ქულები არცერთისთვის ჩამოუკლია.

პირადი საუბრებიდან ვიცით, რომ ახლანდელი ფედერაციის ხელმძღვანელები მინუს სამი ქულის წესს ეწინააღმდეგებიან და მართებულად არ მიიჩნევენ, მაგრამ რატომღაც არც აუქმებენ. ამაზე ერთხელაც არ უსაუბრიათ აღმასკომის სხდომებზე.

გამოდის, კანონი ისევ მოქმედებს, მაგრამ ფაქტობრივად გაყინულია. ახლა ზოგი რამ „ვიტ ჯორჯიას", „ცხინვალს" და მათნაირ „დაჩაგრულებს" ვკითხოთ. ვეტერინარებს ის სამი ქულა რომ ჰქონდეთ, ხუთეულში მოსახვედრად სერიოზულად იბრძოლებდნენ.

„ცხინვალი" სულაც პირველ ჯგუფში გადმოსვლას ლამობს, მასზე წინ მხოლოდ „დინამო 2" იმყოფება და ჩამორთმეული სამი ქულაც სულზე მიუსწრებდა.

ახლა ქულადაკლებულები რომ მოდგნენ და დაკარგულის საზღაური ითხოვონ, საკითხავია, როგორ პასუხს გასცემს ფედერაცია?!

ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი უდისციპლინო ფეხბურთელებს დისკვალიფიკაციას აძლევს, მათ მწვრთნელებს სასტიკ საყვედურს უცხადებს, მოთამაშეები ვერ აღგიზრდიაო, ამასთან ერთად ფულად ჯარიმასაც აკისრებენ.

დისკვალიფიკაციას ვადა გაუვა, საყვედური მეორე დღესვე დაავიწყდებათ მწვრთნელებს, ფული კი მაინც არ აქვთ ჩვენებურ კლუბებს და გინდ დაგიჯარიმებია, გინდ არა. ფედერაცია ახლაც ჩივის, დავალიანებებს არ იხდითო.

ნაცემ მსაჯებს კი არაფერი ეშველებათ. ასე იქნება მანამდე, სანამ დებულება დაირღვევა. ავია თუ კარგია, კანონი უნდა შესრულდეს.

**მამუკა ქვანტალიანი**

# ორი თვით სტუდენტებთან

მოზირის მპკც და მისი ქართველი ლეგიონერი გეხსომებათ. ბელარუსულ კლუბში მოთამაშე ლევან ბერიშვილი შარშანწინ თბილისის „დინამოს“ წინააღმდეგ გამოდიოდა უეფას თასის გათამაშებაში. იმასაც შეგახსენებთ, რომ საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრის დაწყების წინ საუბარი იყო ბერიშვილის თბილისის „დინამოში“ გადმოსვლაზე, თუმცა ეს საქმე ვერ მოხერხდა. ბელარუსული კლუბი კომპენსაციის სახით 30 000 დოლარს ითხოვდა და „დინამოც“ მეორე წრეს ბერიშვილის გარეშე შეხვდა. თუმცა, როგორც ჩანს, ყოფილი მოზირელი წლევანდელ საფეხბურთო სეზონს მაინც საქართველოში ჩაამთავრებს. თბილისის თსუ-ს ხელმძღვანელობა მისით სერიოზულად დაინტერესებულა და როგორც ჩანს, სურვილი რეალობადაც უქცევია — დღეს ლევან ბერიშვილი უნივერსიტეტელებთან ერთად ემზადება და სავარაუდოდ სეზონსაც ამ გუნდში ჩაამთავრებს, პრობლემა მხოლოდ განთავისუფლების ფურცელში ყოფილა. ბელარუსიდან მის მიღებას ქართული კლუბი უახლოეს დღეებში ელის. ასე რომ, ორწლიანი შესვენების შემდეგ ლევან ბერიშვილი ორი თვით, ისევ საქართველოს ჩემპიონატს უბრუნდება, მოზირს მპკც-ში იგი სამტრედიიდან გადავიდა.

**პაატა ქვანტალიანი**

# ქართველებმა ნივა მოქოქეს

## იარემჩენკოს კი ფოცხვერიას ცოდვამ უწია

[illegible] ფოტო



ალექსანდრე კაიდარაშვილს უკრაინაშიც თავისი გააქვს

ტერნოპოლის „ნივაში“ ექვსი ქართველი ფეხბურთელი რომ თამაშობს, არახალია. სულ ცოტა ხანში კი მათი რიცხვი შვიდამდე გაიზრდება. „მერანისა“ და ახალგაზრდული ნაკრების მცველმა, გიორგი დავითნიძემაც უკრაინაში ბურთაობა ისურვა და 2 აპრილს ტერნოპოლში გაემგზავრა ერთწლიანი კონტრაქტის გასაფორმებლად.

ამასობაში კი „ნივამ“ ჩემპიონატის მორიგი, მე-19 ტურის შეხვედრა გამართა და აუტსაიდერ ივანო-ფრანკოვსკის „პრიკარპატიეს“ უმასპინძლა.

ტერნოპოლელთა თავკაცმა ძირითად შემადგენლობაში სამი ქართველი გაამწესა — ტარიელ კაპანაძე, მისი ტყუპისცალი ავთანდილ კაპანაძე და სიხარულიძე. თუმცა, ეს უკანასკნელი 25-ე წუთზე დემიანჩუკით გამოცვალა. მოედნის დატოვება მოუხდა ტარიელ კაპანაძესაც, მაგრამ მის შემცვლელად მატჩის დამთავრებამდე 16 წუთით ადრე ასევე ჩვენებური დგებუაძე მოგვევლინა.

მიუხედავად მასპინძელთა სათამაშო უპირატესობისა, პირველი ტაიმი სტუმრებმა 0:1 მოიგეს. მეორე ნახევარში ავთანდილ კაპანაძემ დუბლის გაკეთება მოახერხა და თანაგუნდელები დააწინაურა.

82-ე წუთზე მოედანზე გამოჩნდა გორის „დილას“ პირველი წრის ბომბარდირი კაიდარაშვილი. სოშკოს ნაცვლად შემოსულმა სამ წუთში მესამე გოლი გაუტანა „პრიკარპატიეს“ და შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა — 3:1.

ქართველთაგან უთამაშებელი მხოლოდ სათადარიგოთა სკამზე მყოფი გვიანიძე დარჩა.

ამ მოგებით „ნივამ“ უკრაინის ჩემპიონატის ცხრილში სამი საფეხურით აინაცვლა და მეათე ადგილზე დამკვიდრდა.

სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესა გათამაშების ერთ-ერთმა აუტსაიდერმა, საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრის, მიხეილ ფოცხვერიას „დნეპრმაც“. დნეპროპეტროვსკელებმა მეცხრეადგილოსან „ვორსკლას“ უმასპინძლეს და 2:0 მოუგეს. დონეცკის „შახტიორიდან“ გუნდის მთავარი მწვრთნელის ვალერი იარემჩენკოს ათვალწუნების გამო „დნეპრში“ განათხოვრებულმა ფოცხვერიამ 90 წუთი დაჰყო მინდორზე.

აი, „შახტიორში“ კი იარემჩენკოს რვაწლიანი ერა დასრულდა. ჩვენებურით მუდამ უკმაყოფილო მწვრთნელი თანამდებობიდან გადადგა. მისი წასვლის მიზეზად ორ ვერსიას ასახელებენ. პირველი — იარემჩენკომ ავადმყოფობის გამო ითხოვა განთავისუფლება. მეორე ოფიციალური ვერსია კი „შახტიორის“ პრეზიდენტმა რინატ ახმეტოვმა გაავრცელა — ვალერი ივანეს ძემ კლუბის დატოვების თხოვნით მომმართა. თავისი გადაწყვეტილება პირადული ხასიათის მიზეზებით დამისაბუთა. მე ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს მასთან და უარი ვერ ვუთხარი.

პრეზიდენტის მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკიდან აშკარად ჩანს, რომ გუნდსა და იარემჩენკოს შორის შავმა კატამ გაირბინა. თუმცა მისი წასვლის დაჩქარება ერთმა ფაქტორმაც განაპირობა. ამას წინათ უკრაინის პრესაში გამოქვეყნდა რუსეთის ეროვნული ნაკრების ექსთავკაცის, ანატოლი ბიშოვეცის ინტერვიუ. ყოფილი კიევის „დინამოს“ ფეხბურთელი და გამოცდილი მწვრთნელი თავის ახლანდელ საქმიანობაზე ამბობდა — ამჟამად უმუშევარი ვარ. მხოლოდ ჩემი მეუღლის მძღოლის ფუნქციას ვასრულებო.

საჩემპიონო ამბიციებით შეპყრობილი „შახტიორის“ ხელმძღვანელობამ დიდხანს არ დააყოვნა და ცოლის კისერსა და მანქანაზე მჯდომ სპეციალისტს შეეხმიანა. გარიგება უმალ შედგა. იარემჩენკოს შემცვლელად მიწვეულმა ბიშოვეცმა მე-19 ტურში დონეცკელთა გუნდი ჩაიბარა და სადებიუტო შეხვედრა გამარჯვებით აღნიშნა. „შახტიორმა“ 2:1 მოუგო ზაპოროჟიეს „მეტალურგს“.

**ხვიჩა სანიკიძე**


პირველად საქართველოში, საქართველოს მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირი, საქართველოს მინი-ფეხბურთის ასოციაცია, საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია და საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტი 23 აპრილიდან აწყობენ მინი-ფეხბურთის ტურნირს სახელწოდებით

**საქართველოს ახალგაზრდობის თასი**

ტურნირის საინფორმაციო მხარდაჭერას უზრუნველყოფენ გაზეთი „სარბიელი“ და რადიო „აუდიენცია“.

მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ყველა რეგიონის ახალგაზრდებს. ერთდროულად გათამაშდება: *თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, გურიის, სამეგრელოს, იმერეთის, რაჭის, შიდა ქართლის, მესხეთ-ჯავახეთის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის და ქვემო ქართლის* „ახალგაზრდობის თასი“. რეგიონებში გამარჯვებულები გაითამაშებენ „საქართველოს ახალგაზრდობის თასს“.

გამარჯვებულთათვის დაწესებულია სოლიდური საპრიზო ფონდი.

მონაწილეობის მსურველებს გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ:

თბილისი — 92-11-90, 39-34-27, 29-28-94; ბათუმი — 7-23-71; ოზურგეთი — 6-54-99; ზუგდიდი — 2-20-51; ქუთაისი — 4-54-11; ონი — 2-04-77; გორი — 2-58-27; ახალციხე — 2-13-72; თელავი — 3-11-69; დუშეთი — 2-13-33; რუსთავი — 12-96-51


# სავალალო და დამაფიქრებელი



ფეხბურთის ქართველ ქომაგებს, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, ერთი არცთუ უბრალო კითხვა აწუხებთ — რატომ გახშირდა ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე მსაჯების ცემის ფაქტები?

ნუთუ გულშემატკივარს ადრე მსგავსი არაფერი უნახავს?! როგორ არა, უფრო უარესიც უხილავთ, მაგრამ ასეთი რამ თითო წრეში ერთხელ თუ ხდებოდა.

მიდის არბიტრი თამაშის განსასჯელად და ღმერთს ეხვეწება, შინ ცოცხალი მომაბრუნეო. თუ პირველი ჯგუფის მატჩზეა განაწილებული, კიდევ არა უშავს, ოჯახში ნამდვილად დაბრუნდება, მაგრამ მეორე ჯგუფმა თუ უწია...

მიზეზი მაინც ფეხბურთის ფედერაციის შეცდომებში უნდა ვეძებოთ, კერძოდ, სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის ხარვეზებზე ვთქვათ. მე ვერ ვიტყვი, რომ ანატოლი მილჩენკოს და კომპანიას კარგი არაფერი გაუკეთებიათ. პირიქით, მათ არაერთი რთული სამუშაო გასწიეს, „თავგასული“ მსაჯთა კორპუსი მოათვინიერეს, შეძლებისდაგვარად მოამზადეს პრაქტიკულად და თეორიულადაც, ახალი ალკაზმულობით მორთეს და გზაც დაულოცეს, მაგრამ ერთი მაინც გამორჩათ, კერძოდ, გამოუცდელებს გაუხსნეს ხელ-ფეხი და ბრძოლაში შეაგდეს.

ბევრისთვის მსაჯი ის კაცია, რომლის გამოსწორებაც შეუძლებელია. დღეს შენ მოგემხრობა, ძმობას შემოგფიცებს, ხვალ კი „თხასავით გაგყიდისო“.

ასეთი ფსიქოლოგია წლების მანძილზე ჩამოყალიბდა და მის აღმოფხვრას წლებივე დასჭირდება. დრო უნდა ახალგაზრდა მსაჯების დაფრთიანებასაც და სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის შეცდომაც ისაა, რომ არბიტრთა ძველ გვარდიას არ ენდობა.

ხელმძღვანელობა ეჭვის თვალით შეჰყურებს ერთ დროს ძველ ფედერაციასთან „შეხმატკბილებულ“ მსაჯებს. ხშირად მოისმენთ, ეს კაცი რომელიღაც კლუბისაა, ვერ ვენდობითო.

ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურები ძალიან დაძაბული იქნება. „დინამო“ ჩემპიონი კია, მაგრამ საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა არანაკლებ ვნებათაღელვას გვიქადის. არაფერს ვამბობთ პირველ ჯგუფში დასარჩენ-გასავარდნთა შუღლზე.

გამოუცდელი მსაჯები შეცდომას-შეცდომაზე უშვებენ, სხვათა შორის, გამოცდილებიც. ჩვენ კი რა ვქნათ, ვუყუროთ, როგორ დაალილავებენ არბიტრებს და მერე ვინმე ღვთისნიერი როგორ გააპარებს სტადიონიდან?!

არასახარბიელო სურათი დავხატეთ, მაგრამ ფაქტი ჯიუტია და არა მგონია, ბოლო ტურების სიმძიმეს მხოლოდ სერგო კვარაცხელიამ, ოთარ გუნთაძემ და თამაზ ლაცაბიძემ გაუძლონ.

გამოსავალია საძიებელი. მსაჯებს ფსიქოლოგიური სტრესი უნდა მოუხსნან, ისე არაფერი გამოვა. მატჩის განსასჯელად გასული არბიტრი ათასგვარ ეჭვს ებრძვის — არიქა, შეცდომა არ დავუშვა და ფედერაციამ დისკვალიფიკაცია არ მომისაჯოს, მასპინძელმა არ წააგოს და ხალხი მოსაკლავად არ გამომიდგეს, ჟურნალისტმა ცუდად არ მახსენოს და უფროსებისგან არ მომხვდესო. ამდენ დავიდარაბაში აირევა მონასტერი და ნანახიც უკვე არც სასაცილოა და არც სატირალი. ეს სავალალო და დამაფიქრებელია.

ფაქტია, მსაჯობისთვის მარტო თავქუდმოგლეჯილი სირბილი და კუპერის ტესტის ჩაბარება არ კმარა, არც თეორიის ზედმიწევნით ცოდნა. ამასთან ერთად მსაჯს მინდორზე გატარებული არაერთი საათი უნდა უმძიმებდეს ზურგს. ასეთები კი გვყავნან, ავიც და კარგიც, მაგრამ ზოგმა ვერ ირბინა, ზოგმაც ვერ წაიკითხა და არიან უსაქმოდ.

მსაჯებს კი ისევ სცემენ, თუმცა ცემას ვინ ჩივის... გამოსავალი კი, ფაქტობრივად, არ არსებობს.

**მამუკა ქვანტალიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა





მამუკა დარჩიას ფოტო

„სამგურალის" თავდასხმა მეორე წრეში გიორგი შენგელიამ (№11) გააძლიერა

# წყალტუბოდან ქუთაისში და პირიქით

რა ნიშანი გყავდათ გეოგრაფიაში, ამჯერად ნაკლებმნიშვნელოვანია — ძველად საქართველოს გეოგრაფიას საშუალო სკოლის სასწავლო გეგმაში სულ ერთი სემესტრი ეთმობოდა. შედარებით ახალგაზრდამ კი უნდა იცოდეს, რას ნიშნავს სამგურალი — ეს ქედი ქვემო იმერეთის ზემოურ ნაწილს სამეგრელოსგან ჰყოფს.

ქომაგობაში ნიშანი არ იწერება, ქომაგობა სტაჟითაა, წლობით ნაგროვები ცოდნითა და, ცხადია, გულიანობით. და მაინც, რომ თქვა, ფეხბურთში „სამგურალი" რას წარმოადგენს, ამას დიდი ფრიადოსნობა არ სჭირდება. „სამგურალი" წყალტუბოს გუნდია — ამაზე მეტს ბევრი ვერ გიპასუხებთ. არც გაემტყუნებათ — წყალტუბო არც გორია, არც ბოლნისი, ძნელადასალები ციხესიმაგრის სახელი რომ ჰქონდეს დაგდებული. და მიუხედავად იმისა, რომ „სამგურალი" „სიონს" ხშირად მეზობლობდა სატურნირო ცხრილში, ამ ორ გუნდს საერთო ცოტა თუ ეცხო.

ასე იყო ადრე, 1993 წლიდან მოყოლებული, სრულ 5 წელიწადს. იმჯერად კი „სამგურალი" კარგი გუნდი გახლდათ, მაგრამ ერთწლიანთა ტრადიციას მისდია. საქართველოს IV ჩემპიონატის მეოთხეადგილოსანმა მომდევნო წელს ჯგუფში დასარჩენად იბრძოლა, ორ წელიწადში კი სულაც მეორე ჯგუფში დაქვეითდა.

მაგრამ ახლა სხვაგვარადაა. მას შემდეგ, რაც სოსო ფრუიძემ „სამგურალი" პირველ ჯგუფში დააბრუნა, თავად კი „ტორპედოს" თავკაცი გახდა, წყალტუბოელებმა ერთი სეზონიც ივაივაგლახეს, მეათე ჩემპიონატს კი უკვე სხვაგვარად შეხვდნენ.

ჩემპიონატში მეცხრე ადგილი რა მიღწევაა — „სამგურალი" ახლა სწორედ ამ პოზიციაზე გამაგრებულა და დიდი-დიდი ორი საფეხურით აღზევების პერსპექტივა აქვს. ეს პირველ წრეში დაწყობა-დალაგების პროცესში დაკარგული ქულების ნაყოფია. სამაგიეროდ, სამეორეწრეო სამზადისში გაძლიერებამ წყალტუბოელებს საქართველოს თასის ნახევარფინალში გააღწევინა.

გუშინწინ ვაკეში „ლოკომოტივთან" ნათამაშევმა 0:0-მა „სამგურალს" ფინალში გასვლის თეორიული შანსი გაუზარდა. ამ გუნდმა უკვე ბევრად მეტი ქომაგის ყურადღება მიიპყრო. მაგრამ რატომ იმატა „სამგურალის" ოდენ თეორიულმა და არა პრაქტიკულმა შანსმა? ამაზე დაწვრილებით თქმა, ოდნავი შემოვლით, ნამდვილად ღირს.

## გზამოკლე

წყალტუბო ქუთაისის სატელიტი ქალაქია. ერთხანს სერიოზულადაც ბჭობდნენ, ამ ორი ქალაქის, საჩხერე-ჭიათურის მსგავსად, ტროლეიბუსის ხაზებით დაკავშირებაზე. ერთ დროს ეს პროექტი რეალურიც ჩანდა, მაგრამ ახლა ეს არქაული ტრანსპორტი, ტრამვაის ბედის გაზიარება რომ ემუქრება, ქალაქებში ძლივლა დალასლასებს.

არადა, რა გზაა წყალტუბო-ქუთაისის, სულ რაღაც 13 კილომეტრი — ფეხმარდი კაცისთვის საათნახევრის კარგახნის ვადაგალეულ „იკარუსისთვის" კი 15 წუთის სავალი.

ამას წინათ, ჩვენმა ფოტორეპორტიორმა მამუკა დარჩიამ ერთდროულად დაწყებული „ტორპედო" — „ვიტ ჯორჯიას" პირველი და „სამგურალ" — „კოლხეთის" მეორე ტაიმი გადაიღო. ქუთაისის და წყალტუბოს ახლო მეზობლობის უკეთესი მაგალითი რა გსურთ?

ამ გზას ყოველწლიურად, ვინ იცის, რამდენი კაცი ადგას და მათ შორის ლამის ყოველდღიურადაა სამგურალელთა, სულ მცირე, სამი მეოთხედი.

„სამგურალში" მეტწილად ტორპედოგამოვლილი ქუთაისელები თამაშობენ. თუმცა, პირიქითაც ყოფილა — ქუთაისელებს რომ გაუჭირდათ, მაშინ „სამგურალიდან" მივიდნენ „ტორპედოში" აშვეთია და ჩხეტიანი, ტყუპი გიგიაძეები. და რამდენს გაუვლია ეს გზა პირუკუ, გაჭირვებით თუ დავთვლით.

## წყალტუბო

იყო დრო, წყალტუბოს პატარა კისლოვოდსკს ეძახდნენ. მარადიულ სიმწვანეში ჩაფლული ბალნეოლოგიური კურორტი ხომ საკავშირო მნიშვნელობის იყო, ეს ძალიან ბევრს ნიშნავდა. ვის არ დაუსვენია იქ იმ ძველ დროში. წყალტუბო ბევრში არ უდებდა ტოლს ქუთაისს.

საუკეთესო სატელეფონო ხაზები, დახლებდახუნძლულ მაღაზიათა ქსელი, საკონცერტო დარბაზი, სასტუმრო-სანატორიუმები წყალტუბოს აცოცხლებდა, მაგრამ სიმშვიდეს არასდროს აკარგვინებდა.

ახლა სხვაგვარადაა — ძველებური პულსი წყალტუბოს გაჭირვებით ესინჯება. ისიც იმ დღეებში, როცა ქალაქში ფეხბურთია...

დამშრალი ტბის პირას აშენებული „26 მაისის" სტადიონის სტუმარი ვინაა? სტამარი ამათ აღარც ეთქმით — უახლოეს სანატორიუმში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილები სანახაობას არ ტოვებენ. თუმცა, სანამ „სამგურალი" უძლური იყო, დიდად არც ეს ცხოვრებაარეული ხალხი იწუხებდა თავს გასაცოდავებული გუნდის ბედ-იღბალზე დარდით. წლეულს კი სხვაგვარადაა.

წყალტუბოს მზრუნველი მერი ჰყავს. არახალი ამბავია, რომ მირზა ქორქაშვილი ფეხბურთის დიდი ქომაგია. ეგაა, ბოლო წლებში ბიუჯეტი დიდად შეუთხელდა და საერთო თანხა რომელ ერთს უნდა გააწვდინოს?

## სამგურალი

გუნდის მთავარ მწვრთნელად გაიოზ დარსაძის დანიშვნა მეათე ჩემპიონატის დაწყებამდე ორიოდ კვირით ადრე გადაწყდა. წყალტუბოელებს მიზნად ჯგუფში ადგილის შენარჩუნება დაუსახეს. თასის გათამაშებაზე კი კონკრეტული ლაპარაკი არ ყოფილა — რაც მეტი, მით უკეთესი, ცხადია, იგულისხმებოდა. „სამგურალმა" ხეირიანად მომზადება ვერ მოასწრო და პირველ წრეში მხოლოდ 14 ქულას დასჯერდა. ეს კი არც ისე ცოტაა, მაგრამ მაინც არასაკმარისი ჩანდა. მეორე წრეში ამდენივეს მიმატება „სამგურალს" პირველ ჯგუფში დარჩენას ვერ გაუნაღდებდა.

გაიოზ დარსაძე შრომას არ იზარებდა და შედეგი აგერ მეორე წრეში მოიმკა. „სამგურალის" თამაშისას უკვე ნათლად ჩანს, რომ დარსაძის მცდელობას, წყალტუბოელთათვის გაეზიარებინა უეფას სემინარებზე მიღებული დიდი ცოდნა-გამოცდილება, უკვალოდ არ ჩაუვლია.

ასლანაძე, მაზვილაძე, ბურნაძე, ვოსკანოვი, გიორგობიანი, გია კილასონია, აფციაური და გიორგი შენგელია „სამგურალის" ძალას წარმოადგენენ. ზოგს უფრო მეტად ნიჭი მოსდევს, ზოგსაც ზედდართული დიდი გამოცდილება, ანაც ბრძოლის დაუოკებელი ჟინი. ამას დროებით ტრავმირებული გივი ჯანელიძეც დაუმატეთ და იმ კარგ გუნდს მიიღებთ, რომელსაც გაიოზ დარსაძემ მოუყარა თავი.

## შანსი

„სარბიელის" მკითხველმა იცის, რომ თსუ-სთან სტუმრად მოგებული მატჩის შემდეგ დარსაძეს ჯანმრთელობა შეერყა. ნამდვილად უნარიან პრეზიდენტს, გრიგოლ ქათამაძეს, მოთამაშეთათვის ხელფას-პრემიების მიცემა დაუგვიანდა და ისინიც ერთ დღეს მოედანზე სავარჯიშოდ არ გავიდნენ. განერვიულებული დარსაძე შინ, თბილისში, წამოვიდა. ექიმებმა დასვენება ურჩიეს. ისიც დედაქალაქშია, მაგრამ გული, ცხადია, ისევ „სამგურალისკენ" მიუწევს.

20 აპრილს საქართველოს თასის ნახევარფინალური მატჩია. საეჭვოა, მანამდე დარსაძე „სამგურალს" დაუბრუნდეს. არადა, წყალტუბოელებს ფინალში თამაშის შანსი აქამდე არ ჰქონიათ. „სამგურალმა" ძვირადღირებული ნატრის ასრულება რომ შეძლოს, იცით, პრემიად თითოეული ფეხბურთელი რამდენს მიიღებს? — ორმაგ ხელფასს, ანუ 170 ლარს. „კლუბის თავკაცობას ფინალში გასვლაზე არც უოცნებია, ამდენად ფეხბურთელებს განსაკუთრებულ ჯილდოსაც არ დაჰპირებია. ჩანს, გრიგოლ ქათამაძე არ ელოდა საქმის ასე მოტრიალებას, თორემ დაპირებას წინ რა ედგა?

„სამგურალმა" რომ ფინალში გასვლა შეძლოს, სასწაული იქნება. ნაკლებმოსალოდნელია, მაგრამ გამორიცხული არა.

**ვახტანგ გზირაძე**

# პირველად იყო კალაძე

*კახა კალაძე პირველი ქართველი ფეხბურთელია, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ითამაშა და ...გოლი გაიტანა. დიახ, გოლი გაიტანა. ბევრ მათგანს, ვინც გუშინწინ ტელევიზიით კიევის ცენტრალურ სტადიონზე გამართული „დინამო" — „ბაიერნის" შეხვედრა ნახა, ალბათ, დღემდე ვერ გაურკვევია, შეეხო თუ არა შევჩენკოს ჩაწოდებული ბურთი კალაძის თავს. მატჩი, მოგეხსენებათ, ფრედ 3:3 დასრულდა. უცხოური საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელებულ ინფორმაციებში მეორე გოლის ავტორად ზოგან ანდრეი შევჩენკო შერაცხეს, ზოგანაც — კახა კალაძე. სიმართლეს თავად კახაზე უკეთ, ცხადია, ვერავინ გვეტყოდა და ჩვენც მას კიევში დავუკავშირდით. რა თქმა უნდა, სხვა ამბებიც გვაინტერესებდა, მაგრამ უპირველესად გოლზე ვკითხეთ.*

— როდესაც „ბაიერნის" კართან ჯარიმა დაინიშნა, მე საჯარიმოში შევედი. ბურთთან კი შევჩენკო მივიდა და ჩასაწოდებლად მოემზადა. ჩემი მეურვეობა სამუელ კუფურმა ითავა და საკმაოდ ფხიზლად მდარაჯობდა, გასაქანს არ მაძლევდა. ამასობაში შევჩენკომ ჩააწოდა, ბურთი გუსინს შეეხო, მიმართულება შეიცვალა და ჩემსკენ წამოვიდა. თავით ძლიერი დარტყმა მინდოდა, მაგრამ კუფურმა მაისურზე დამქაჩა. მიუხედავად ამისა, ბურთს თავი მაინც წავარტყი და ისიც კარის ბადეში აღმოჩნდა. ეს ყველაფერი ისე მოხდა, ბევრმა ვერც შენიშნა. ამიტომაც გამოიწვია ამ გოლმა ასეთი გაუგებრობა.

**— მთლიანად მატჩზე რას იტყოდი?**

— ძალიან ძნელი თამაში იყო. „ბაიერნის" დღევანდელი სიძლიერე ყველას კარგად მოეხსენება, მაგრამ ჩვენ გამარჯვებისთვის ვიყავით განწყობილნი, მინდორზეც მოსაგებად გავედით. თავიდან საქმე კარგად აგვეწყო, სოლიდური სხვაობითაც დავწინაურდით, მაგრამ შემდეგ დასანანი გოლები გავუშვით.

**— ბიჭები თამაშით კმაყოფილნი დარჩით?**

— თამაშით კმაყოფილნი ვართ, ასე თუ ისე, კარგად გავისარჯეთ. შედეგისა კი რა მოგახსენოთ. ვინც ნახა, დამეთანხმება, თამაშით აშკარად ვაჯობეთ გერმანელებს, ყველა კომპონენტშიც დავჯაბნეთ, თუმცა მთავარს ვერ მივაღწიეთ — ვერ მოვიგეთ. არადა, ნაღდად მოსაგები თამაში იყო. უამრავი საგოლე მომენტი შევქმენით, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ.

**— კიევის „დინამოს" ყველაზე მეტად რაც გამოარჩევს, საგოლე მომენტების მაქსიმალური რეალიზაციაა. „ბაიერნთან" ამდენი გამოუყენებელი შესაძლებლობა რას დავაბრალოთ?**

— უპირველეს ყოვლისა, უიღბლობას. სხვა რა უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ ამდენი შანსი გავუშვით ხელიდან? იმ დღეს ფორტუნა „ბაიერნის" მხარეს იყო. ჩვენგან განსხვავებით, მიუნხენელებმა ფაქტობრივად, ყველა შანსი გამოიყენეს.

**— თამაშის წინ მწვრთნელებმა რა დაგავალეს?**

— როგორც ყოველთვის, კონტრშეტევებზე უნდა აგვეგო თამაში და ცენტრში ბრძოლა არ უნდა წაგვეგო. მწვრთნელების მითითება კი შევასრულეთ, მაგრამ ეს, სამწუხაროდ, შედეგზე არ აისახა.

**— რა გითხრათ ლობანოვსკიმ მატჩის შემდეგ?**

— ისეთი არაფერი. ჩვენს მსგავსად, თამაშით კმაყოფილი გახლდათ, შედეგით, ბუნებრივია, არა. თუმცა ერთი კი თქვა, გერმანიაში აუცილებლად უნდა მოვიგოთო. ფეხბურთელებიც ასეთ განწყობაზე ვართ.

**— პირველ გოლში მთავარი დამნაშავე მეკარე შოვკოვსკი იყო, რომელსაც არც შემდეგ უთამაშია მაინცდამაინც საიმედოდ. ჯოხი მასზე ხომ არ გადატყდა?**

— არავითარ შემთხვევაში. რომ ვერ მოვიგეთ, ამაში თუ ვინმეა დამნაშავე, უპირველეს ყოვლისა, მთელი გუნდი. ამას ერთს ვერავის დააბრალებს კაცი.

**— მესამე გაშვებული გოლისას ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს შენ და რებროვმა ერთმანეთს ვერ გაუგეთ...**

— არა, რატომ ჩვეულებრივი სათამაშო სიტუაცია იყო. მეტოქის შეტევა ჩავშალე და ჩვენი წამოვიწყე. ცენტრს რომ მივუახლოვდი, იქვე მდგარ რებროვს დავუტოვე ბურთი, მაგრამ მას მცველებმა დაასწრეს, პასი ჩაჭრეს და სახიფათოდ შემოგვიტიეს. იანკერმაც გაათანაბრა ანგარიში.

**— საპასუხო მატჩისთვის როგორ მოემზადებით?**

— ჩვეულებრივ. განმეორებით შეხვედრამდე უკრაინის ჩემპიონატის ორი კალენდარული მატჩი გვაქვს ჩასატარებელი. 12 აპრილს დონეცკში „მეტალურგს" ვეწვევით, 16-ში კი შინ კრივოი როგის „კრივბასს" ვუმასპინძლებთ. გერმანიაში კი, როგორც ყოველთვის, მატჩამდე ერთი დღით ადრე ჩავალთ.

**— ფინალში გასვლის შანსებზე რაღას იტყოდი?**

— ფაქტია, გერმანიაში უძნელესი მატჩი გველის. ჩვენ მოსაგებად ყველაფერს გავიღებთ და ვეცდებით, მიზანს მივაღწიოთ. თუმცა პირველი თამაშის შედეგს თუ გავითვალისწინებთ, „ბაიერნს" ოდნავ უკეთესი შანსი აქვს. წინასწარ რაიმეს თქმა მაინც გაუმართლებლად მიმაჩნია. ყველაფერი 21 აპრილს, მინდორზე გაირკვევა.

**ვანო ოქროპირიძე**



REUTERS

კახი კალაძეს (№7) მიუნხენის „ბაიერნის" კარში გატანილი გოლი უხარია

**კიევი**
**7 აპრილი**
**23 საათი 45 წუთი**
**რესპუბლიკური**
**80 000 (ტევადობა 80 000)**

**დინამო 3:3 ბაიერნი**

1:0 შევჩენკო (15), 2:0 კალაძე (43), 2:1 ტარნატი (45), 3:1 კოსოვსკი (50), 3:2 ეფენბერგი (78), 3:3 იანკერი (88)
დინამო: შოვკოვსკი, ლუჟნი, გოლოვკო, ვაშჩუკი, კალაძე, გუსინი, ხაცკევიჩი (კირიუხინი 80), ბელკევიჩი, კოსოვსკი, შევჩენკო, რებროვი
ბაიერნი: კანი, მათეუსი, ბაბელი, კუფური, შტრუნცი, ტარნატი, იერემისი, ეფენბერგი, სალიჰამიჯიჩი, იანკერი, (დაეი 90) შოლი (ციკლერი 72)
გაფრთხილება: ლუჟნი, შტრუნცი, კუფური
მსაჯი: ნილსენი (დანია)

# დაკარგული სამოთხე

**ჩემპიონთა თასის პირველი ნახევარფინალური მატჩები**

ძნელი სათქმელია, მერამდენედ, მაგრამ კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ გერმანელებთან ხუმრობა არ შეიძლება. რამდენჯერ გვინახავს მათი მებრძოლი ხასიათის ნაყოფი, თუმცა მარტო ბრძოლა აქ არაფერ შუაშია. უბრალოდ, გერმანელებმა ფეხბურთის თამაში იციან.

კიევურ მატჩამდე უპირატესობას ყველა მასპინძლებს ანიჭებდა და არცთუ უსაფუძვლოდ. ჯერ ერთი, უკრაინელები შინ, 80 ათასი ქომაგის თვალწინ თამაშობდნენ, მეორეც — „ბაიერნს“ სამ რგოლში სამი წამყვანი ფეხბურთელი აკლდა: დაცვაში — ფრანგი ბიქსენტე ლიზარაზუ, ნახევარდაცვაში — მარიო ბასლერი და შეტევაში — ბრაზილიელი ჯოვანი ელბერი. თანაც კიეველები სტუმრებს საბრძოლო შემადგენლობით დაუხვდნენ.

შეხვედრა მოლოდინისამებრ დაიწყო: სწრაფად, მძლავრად, დალაგებულად და ლობანოვსკის გუნდის მცირე უპირატესობით. გოლიც მალე გავიდა. მოედნის შუაგულში ბურთი ხაცკევიჩმა მიიღო და ბრწყინვალე გადაცემა მიაწოდა ანდრეი შევჩენკოს, რომელიც კანთან პირისპირ აღმოჩნდა. ახალგაზრდა ვარსკვლავმაც ის გააკეთა, რაც უნდა გაეკეთებინა — მშვიდად დაამუშავა ბურთი და მშვიდადვე, ოსტატურად შეუგდო გერმანიის ნაკრების მეკარეს მარჯვენა დაბალ კუთხეში — 1:0.

ამის შემდეგ სახიფათო მომენტი ორივე კართან შეიქმნა. საერთოდ, მატჩი ძალიან გახსნილი გამოდგა. ეს, ალბათ, ორი რამის ბრალი იყო. პირველი, „დინამო“ ყოველთვის აძლევს მეტოქეს ლაღად თამაშის საშუალებას, მოედნის ცენტრს საგანგებოდ თმობს, რათა მოწინააღმდეგე რაც შეიძლება ღრმად შეიტყუოს, საკუთარ კართან ბურთი აართვას და უსწრაფესი, წინასწარ გათვლილი კონტრშეტევებით ხეირი ნახოს. ამას კიეველთა ფიზიკური მდგომარეობა და სხარტი ფორვარდები — შევჩენკო და რებროვი უწყობენ ხელს.

გახსნილი თამაშის მეორე მიზეზი, კონკრეტულად ამ მატჩში, მიუნხენელთა შესუსტებული უკანა ხაზი გახლდათ. როგორც უკვე ვთქვით, მათ მსოფლიოს ჩემპიონი ლიზარაზუ აკლდათ, რომელიც თურმე „ბაიერნის“ დაცვის ნახევარზე მეტი ყოფილა. ამიტომაც მასპინძელთა მძლავრი შეტევების მოგერიება ძირითადად ნაკლებად ინტელექტუალურ კუფურს და აშკარად გადაბერებულ მათეუსს უხდებოდათ. ეს მათ ვერ მოახერხეს.

კანი და მასთან ერთად მთელი გერმანია პირველი ტაიმის მიწურულს მეორედ დამწუხრდა. მარცხენა ფრთაზე იუხეშა შტრუნცმა, საფრანგეთი 98-ზე ინგლის-არგენტინის მერვედფინალის ჩამშხამებელმა მსაჯმა კიმ ნილსენმა ჯარიმა დანიშნა, ბურთს შევჩენკო მიუახლოვდა. ესპანური გრანდების, „ბარსელონას“ და „რეალის“, გამანადგურებელმა ჩააწოდა და ბურთი სტუმართა კარში აღმოჩნდა. ტელეეკრანზე კარგად არ ჩანდა, ბურთი გზად ვინმეს შეეხო თუ არა, ერთი რამ კი ფაქტია — მსოფლიოს საინფორმაციო სააგენტოების ნახევარმა გოლი შევჩენკოს მიუთვალა, ნახევარმა კი კახა კალაძეს. ასეა თუ ისე, ანგარიში 2:0 გახდა. ტაიმი იწურებოდა, დამხმარე მსაჯმა ელექტრონული დაფაც აღმართა, სადაც ერთიანი კაშკაშებდა და „დინამოს“ გულშემატკივართა ბანაკმაც, ალბათ, ხელების ფშვნეტა დაიწყო, მაგრამ...



ამ ეპიზოდში კანმა (№1) ხაცკევიჩს აჯობა

REUTERS კიევიდან

მიხაელ ტარნატის გოლი მთლიანად შოვკოვსკის სინდისზეა. მან რატომლაც ცოცხალ კედელში ერთი კაცი დააყენა და თვითონაც არასწორი პოზიცია შეარჩია, რის გამოც ტარნატის ძალიან შორიდან, ძალიან ძლიერად დარტყმული ბურთი კარის ბადეში შევარდა. დასანანი გოლი იყო.

მეორე ტაიმში, ყველას რომ ეგონა, ლობანოვსკის ბიჭები ფსიქოლოგიურად გატყდნენ და თამაშს ველარააწყობენო, კიეველებმა გააფთრებით შეუტიეს. მათ სულ ცოტა ოთხი სახიფათო მომენტი შექმნეს კანის სამფლობელოსთან, მაგრამ აქედან მხოლოდ ერთი აქციეს გოლად — „ბაიერნის“ დაცვა ძალიან უხეშად შეცდა და მეკარესთან მარტოდმარტო დარჩენილმა ვიტალი კოსოვსკიმ სტადიონი კვლავ „ააფეთქა“.

— მატჩის მიწურულს ჩვენ დაცვაში უხეში შეცდომები დავუშვით — იტყვის შეხვედრის დასრულებისთანავე ლობანოვსკი.

მართლაც, კიეველებმა თავად ჩაიგდეს თავი ცუდ დღეში. მაგრამ აქ ერთი რამ უნდა აღვნიშნოთ — მეორე ტაიმში „ბაიერნის“ თავკაცმა ოტმარ ჰიცფელდმა პირწმინდად აჯობა კოლეგას, მშვენივრად გამოიყენა მისი შეცდომები. თუ გახსოვთ, ჰიცფელდმა ჯერ კიდევ ჯგუფურ ტურნირში სტუმრად „ბარსელონასთან“ სწორედ მეორე ტაიმში გამოავლინა მთელი თავისი ნიჭი და 2:1 მოიგო.

— ჰიცფელდი უდიდესი მწვრთნელია, ერთ-ერთი საუკეთესო, ვინც კი აქამდე მინახავს — გვიდასტურებს აზრს კიეველთა მხცოვანი მასწავლებელი.

მაინც, რა იყო ლობანოვსკის შეცდომა და როგორ გამოიყენა იგი ჰიცფელდმა?

შეცდომა: ბოლო ნახევარ საათში, როცა „დინამო“ 3:1-ს იგებდა, ლობანოვსკის აუცილებლად უნდა შეეცვალა ტაქტიკა, თამაში დაეწყნარებინა, გერმანელებისთვის ბურთი „დაემალა“, მაგრამ მან ან ვერ გათვალა მეტოქის ძალა, ანაც ბოლომდე გარისკა.

გამოყენება: ჰიცფელდი მიხვდა, რომ უკრაინელები ბოლომდე ერთი სქემით ითამაშებდნენ და თავად შეცვალა ტაქტიკა. მან საერთოდ მოსპო საკუთარი ნახევარდაცვა, გუნდი ორად გახლიჩა — ნაწილი დაცვაში გადაისროლა, ნაწილი — შეტევაში. „დინამო“ ამას ან გვიან, ან საერთოდ ვერ მიხვდა, ბოლო წუთამდე ეგონა, რომ კონტრშეტევებზე თამაშობდა. არადა, პირიქით იყო.

მასპინძლები სწრაფად კი სერავდნენ მოედნის შუაგულს, მაგრამ კანის კართან გაძლიერებული ბარიერი ხვდებოდათ. „ბარიერი“ ბურთს ეუფლებოდა და გრძელი პასებით ამარაგებდა წინ გადასროლილ დესანტს.

ტაქტიკამ გაამართლა. მარტო გერმანული ჟინი ვერაფერს გახდებოდა.

მეორე გოლი „ბაიერნმა“ კვლავ ჯარიმიდან გაიტანა. კვლავ ცუდად დააყენა ცოცხალი კედელი შოვკოვსკიმ, თუმცა ეფენბერგის დარტყმული მართლაც უზადო იყო. მესამე, გამთანაბრებელი გოლი კი დაცვის ბრალი იყო. რამდენიმე მცველმა საკუთარ საჯარიმოში კარსტენ იანკერს ბურთიც მიაღებინა, შემობრუნების საშუალებაც მისცა და კარში დარტყმისაც.

— ჩვენ დავიმსახურეთ ეს ძლევა. დიდი მადლობა მათ, ვინც ჩემი აზრები მოედანზე საქმედ აქცია. ისინი არც ერთი წამით არ დანებებულან, ბოლომდე იბრძოლეს და შედეგიც მოიმკეს. ვფიქრობ, ახლა ფინალში გასვლის გაცილებით მეტი შანსი გვაქვს — თქვა კმაყოფილმა ჰიცფელდმა მატჩისშემდგომ ინტერვიუში.

ლობანოვსკი კი სხვაგვარად ფიქრობს:

— კოლეგას ვერ დავეთანხმები. შანსები კვლავაც ორმოცდაათი ორმოცდაათზეა. ყველაფერი მიუნხენში გადაწყდება. ჩვენ კიევში შევძელით სამი ბურთის შეგდება და ამას სტუმრადაც მოვახერხებთ.

**დავით ძოწენიძე**

---

**მანჩესტერი**
**7 აპრილი**
**23 საათი 45 წუთი**
**ოლდ ტრეფორდი**
**54 487 (ტევადობა 60 000)**

**მანჩესტერი 1:1 იუვენტუსი**

0:1 კონტე (25), 1:1 გიგზი (90)
მანჩესტერი: შმაიხელი, გ. ნევილი, ბერგი (იონსენი 46), სტამი, ირვინი, ბექემი, კინი, სქოულზი, გიგზი, იორკი (შერინგემი 79), კოული
იუვენტუსი: პერუცი, მირკოვიჩი, მონტერო (ფერარა 68), იულიანო, პესოტო, დი ლივიო (ტაკინარდი 78), დავიდსი, დეშამი, კონტე, ზიდანი, ინძაგი (ესნაიდერი 88)
გაფრთხილება: მირკოვიჩი
მსაჯი: დიას ვეგა (ესპანეთი)

# ახალგაზრდა ქალბატონი ბებერ ტრეფორდზე

**ჩემპიონთა თასის პირველი ნახევარფინალური მატჩები**



ანტონიო კონტე (მარცხნივ) ანგარიშს ხსნის

REUTERS მანჩესტერიდან

დიდი ომის დაწყებამდე მანჩესტერში პატარ-პატარა ბრძოლები გაიმართა, რომლებშიც საოცარი მონდომებით მონაწილეობდნენ ამ საქმიანობით სახელგანთქმული ინგლისელი ფანები, რა თქმა უნდა, ნაბახუსევ მდგომარეობაში და არანაკლებ გადარეული იტალიელი ქომაგები, რასაკვირველია, ისინიც არაფხიზლები.

ყველაზე სასტიკი ჩხუბი მანჩესტერის ცენტრალურ სარკინიგზო სადგურზე მოხდა, რომელიც „ოლდ ტრეფორდიდან“ რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული. თუმცა ინგლისელი სამართალდამცავები დროზე ჩაერთვნენ საქმეში, მოდავეები დააწყნარეს, იტალიელები ავტობუსებში გადაანაწილეს და მათ პირდაპირ სტადიონზე უკრეს თავი, სადაც მალე წლეულს ყველაზე მაღალი დონის ფეხბურთი გაჩაღდა.

პირველი ტაიმი იტალიის ჩემპიონისა იყო. ეს მატჩის შემდეგ „მანჩესტერის“ მენეჯერმა ალექს ფერგიუსონმაც აღნიშნა:

— ის, რომ პირველი 45 წუთი საშინლად ჩავატარეთ, მთლიანად მეტოქის ბრალი იყო. აღფრთოვანებული დავრჩი „იუვენტუსის“ თამაშით, ასე კარგად ტურინელებს მიმდინარე სეზონში არ უბურთავიათ. ამ გუნდმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი დონე.

„ბებერი ქალბატონი“ მართლაც შეუდარებელი გახლდათ. იგი სრულად აკონტროლებდა მთელ მოედანს, მასპინძლებს ფეხის განძრევის საშუალებას არ აძლევდა, თავად კი ძალიან სახიფათოდ, გააზრებულად უტევდა.

ყველაფერმა ამან ლოგიკური შედეგი გამოიღო. შეხვედრის, ალბათ, საუკეთესო მოთამაშემ, ჰოლანდიელმა ედგარ დავიდსმა იდეალური პასი მიაწოდა რატომღაც უყურადღებოდ მიტოვებულ კაპიტან კონტეს, რომელსაც ისღა დარჩენოდა, ტაბლოს მომსახურე პერსონალი დაესაქმებინა.

„იუვენტუსის“ ბატონობა არც ამის შემდეგ განელებულა. ქარიშხალივით დაჰქროდა დავიდსი, კარგად „ათრევდა“ ბურთს ფეხშეხვეული ზიდანი, რომლის „ოლდ ტრეფორდზე“ გამოჩენას ცოტა ვინმე თუ ელოდა. ბევრი და რაც მთავარია, ნაყოფიერად იმოძრავა კონტემ. სწორედ ამ სამმა ფეხბურთელმა განაპირობა პირველტაიმური უპირატესობა.

რაც შეეხებათ მანჩესტერელებს, ისინი სტუმრებს ტემპში ვერ აჰყვნენ, ბურთს ხშირად კარგავდნენ და დაცვაშიც სცოდავდნენ. პირველ ტაიმში და საერთოდ, დაიჩრდილა „იუნაიტედის“ ერთ-ერთი ლიდერი დუაიტ იორკი, ისევე, როგორც დევიდ ბექემი. თუმცა ამ უკანასკნელმა მაინც შეუქმნა საფრთხე პერუცის — საჯარიმოდან ჩვეული, მოჭრილი დაარტყა და მიზანს მილიმეტრებში ააცილა.

მეორე ნახევარში სურათი შეიცვალა. სტუმრები დაიღალნენ და წინასწარ შედგენილი გეგმის, ტაქტიკის ხორცშესხმა თანდათან გაუჭირდათ, რამაც ის გამოიწვია, რომ მინდორზე სუფთა, ყოველგვარ ნახაზს მოკლებული ფეხბურთი გაჩაღდა. ამ დროს კი „მანჩესტერს“ ძნელად თუ დაუპირისპირებს ვინმე რაიმეს.

ბოლო ოცი წუთი ცალკარა იყო. ინგლისელებმა რამდენიმე ძალიან სახიფათო მომენტი შექმნეს. აქედან ერთხელ გოლი გავიდა, როდესაც როი კინის ძლიერად დარტყმულ ბურთს შეცვლაზე შესულმა შერინგემმა თავით შეუცვალა მიმართულება, მსაჯმა კი თამაშგარე აღნიშნა. მეორეჯერ პესოტოს საკუთარ საჯარიმოში ბურთი ხელზე მოხვდა, მაგრამ არბიტრმა თამაში არ შეაჩერა (ან ვერ დაინახა), ცარიელ კართან დარჩენილმა სქოულზმა კი უხეიროდ დაარტყა. მასვე შეეძლო მალე გათანაბრება, თუმცა კვლავ ვერ ივარგა. ერთი სიტყვით, პერუცის კართან დიდი შტურმი მოეწყო და 92-ე წუთზე ეს შტურმი გოლად იქცა, რაიან გიგზის გოლად.

— ვფიქრობ, კარგი სანახავი მატჩი გამოდგა. მეორე ტაიმში ჩვენი ფეხბურთი ვითამაშეთ, რაც საწყის 45 წუთში ვერ მოხერხდა. ახლა „იუვენტუსს“ თავი იქნებ ქუდში ჰგონია, მაგრამ ასე ნაღდად არაა. მართალია, დღევანდელი ფრე ჩვენი მეტოქისთვის უფრო ხელსაყრელია, არა მგონია, ტურინში 0:0-ზე გააკეთოს აქცენტი, ეს მის საფეხბურთო კულტურას არ შეესაბამება. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ იტალიელები შინ მოგებაზე იფიქრებენ. ჩვენც, რა თქმა უნდა, შევუტევთ და ღრმად ვარ დარწმუნებული, ერთ ბურთს მაინც გავიტანთ. ოღონდ ეგ არის, დაცვა უნდა მოვაწესრიგოთ — იმედს არ კარგავს ფერგიუსონი.

კარლო ანჩელოტი, „იუვენტუსის“ თავკაცი: „იუნაიტედს“ ძალიან გავურთულეთ საქმე. დაკვირვებული თვალი იმასაც შეამჩნევს, თამაშიდან თამაშამდე რომ ვუმატებთ, ანუ დრო ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს. დღეს რაც დაგეგმილი გვქონდა, ის გავაკეთეთ — გავაუვნებლეთ დევიდ ბექემი და რაიან გიგზი, რითაც მეტოქეს ფლანგებიდან შეტევის და კოულ-იორკის დუეტის ბურთით მომარაგების საშუალება არ მივეცით. ზუსტად ასევე მოვიქეცით შინ, ტურინში.

იმედიანადაა ზინედინ ზიდანიც: „არა მგონია, „მანჩესტერმა“ სტუმრად უკეთ ითამაშოს. რაც შეეხება დღევანდელ მატჩს, მეტოქემ დაიმსახურა ბოლო წუთზე გატანილი გოლი, რადგან იმ დროს უპირატესობას მთლიანად ფლობდა“.

ისევე როგორც მისი თანამემამულე დიდიე დეშამი: „საშინლად გულდაწყვეტილი ვარ — კარგად შანსები ვერ გამოვიყენეთ და დასანანი გოლი გავუშვით, მაგრამ ჩვენ სტუმრად შევაგდეთ და ეს ძალიან მნიშვნელოვანია“.

ახლა ინგლისელებსაც მოვუსმინოთ.

როი კინი: „მატჩამდე ყველას გვწამდა, რომ მოვიგებდით. ამიტომაც ფრე ორმაგად გულსატკენია. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ფარ-ხმალი უნდა დავყაროთ. „მანჩესტერი“ ტურინში აუცილებლად გაიტანს და ფინალშიც გავა“.

რაიან გიგზი: „არავის ეგონოს, ფინალში „იუვენტუსია“ გასული. არა, ჯერ ყველაფერი წინაა. პირველიდან ბოლო წამამდე ტურინში სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლა იქნება“.

**ნოდარ ძასრაძე**

## ლიბერტადორესის თასი

### I ჯგუფი

**ნასიონალი (ურუგვაი) 2:1 ესტუდიანტეს დე მერიდა (ვენესუელა)**

0:1 ვასკესი (18), 1:1 ლუციისიო (42), 2:1 ველეზი (883)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნასიონალი (ურუგვაი) | 6 | 4 | 0 | 2 | 9:8 | 12 |
| ესტუდიანტეს დე მერიდა (ვენესუელა) | 6 | 3 | 0 | 3 | 9:14 | 9 |
| ბელა ვისტა (ურუგვაი) | 6 | 2 | 1 | 3 | 9:6 | 7 |
| მონტერეი (მექსიკა) | 6 | 2 | 1 | 3 | 10:9 | 7 |

*შემდეგ ეტაპზე გავიდნენ: „ნასიონალი“, „ესტუდიანტეს დე მერიდა“ და „ბელა ვისტა“.*

### II ჯგუფი

**რივერ პლეიტი (არგენტინა) 2:1 დეპორტივო კალი (კოლუმბია)**

0:1 ბონილა (21), 1:1 კასტილიო (36), 2:1 რამოსი (393)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო კალი (კოლუმბია) | 5 | 3 | 0 | 2 | 4:5 | 9 |
| რივერ პლეიტი (არგენტინა) | 6 | 2 | 2 | 2 | 8:8 | 8 |
| კალდასი (კოლუმბია) | 6 | 2 | 1 | 3 | 7:6 | 7 |
| ველეს სარსფილდი (არგენტინა) | 5 | 1 | 3 | 1 | 3:3 | 6 |

*შემდეგ ეტაპზე უკვე გავიდნენ: „დეპორტივო კალი“ და „რივერ პლეიტი“.*

### III ჯგუფი

**ოლიმპია (პარაგვაი) 1:2 კორინთიანსი (ბრაზილია)**

0:1 როდოლფო (21), 1:1 ხ. ლოსადა (31), 1:2 როდოლფო (57)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კორინთიანსი (ბრაზილია) | 5 | 3 | 0 | 2 | 12:8 | 9 |
| პალმეირასი (ბრაზილია) | 5 | 2 | 1 | 2 | 10:9 | 7 |
| სერო პორტენო (პარაგვაი) | 5 | 2 | 1 | 2 | 13:18 | 7 |
| ოლიმპია (პარაგვაი) | 5 | 1 | 2 | 2 | 11:11 | 5 |

*შემდეგ ეტაპზე უკვე გავიდა „კორინთიანსი“*

### IV ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიდად კატოლიკა (ჩილე) | 5 | 2 | 2 | 1 | 6:4 | 8 |
| უნივერსიტარიო (პერუ) | 5 | 2 | 1 | 2 | 6:5 | 7 |
| კოლო კოლო (ჩილე) | 5 | 2 | 1 | 2 | 4:6 | 7 |
| სპორტინგ კრისტალი (პერუ) | 5 | 0 | 4 | 1 | 6:7 | 4 |

*შემდეგ ეტაპზე უკვე გავიდა „უნივერსიდად კატოლიკა“*

### V ჯგუფი

**ბლუმინგი (ბოლივია) 2:0 ემელეკი (ეკვადორი)**

1:0 კორუტიბო (11), 2:0 ბურმუდესი (89)

**ვილსტერმანი (ბოლივია) 1:1 ლიგა დე კიტო (ეკვადორი)**

1:0 ჟოაო (28), 1:1 ბალთაზარი (81)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიგა დე კიტო (ეკვადორი) | 5 | 3 | 1 | 1 | 9:5 | 10 |
| ემელეკი (ეკვადორი) | 6 | 3 | 0 | 3 | 9:12 | 9 |
| ვილსტერმანი (ბოლივია) | 6 | 2 | 2 | 2 | 9:9 | 8 |
| ბლუმინგი (ბოლივია) | 5 | 1 | 1 | 3 | 2:3 | 4 |

*შემდეგ ეტაპზე უკვე გავიდნენ: „ლიგა დე კიტო“, „ემელეკი“ და „ვილსტერმანი“.*

# მოსკოვი, შეიძლება, უეფას თასის ფინალის გარეშე დარჩეს

მას მერე, რაც, სამშაბათს, „ბოლონია“ „მარსელს“ დაუდგა (0:0), ხოლო „პარმამ“ მადრიდში „ატლეტიკო“ დაამარცხა (3:1), ფინალური შეხვედრის მოსკოვში ჩატარებასთან დაკავშირებით ეჭვი გაჩნდა. შეშფოთება რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა, ვიაჩესლავ კოლოსკოვმა გამოხატა. „სპორტ ექსპრესის“ კორესპონდენტთან, მიხაილ პუშკინსკისთან საუბარში მან აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ფინალში ორი იტალიური გუნდი გავა, მათ ერთმანეთთან შეხვედრა უეჭველად სამშობლოში მოუნდებათ. ასეთი ინციდენტი ერთი წლის წინაც მოხდა, მაგრამ „ინტერისა“ და „ლაციოს“ პარიზში თამაში აიძულეს.

„არგუმენტები ტრადიციულია: ვიზების პრობლემა არ არსებობს, თვითმფრინავის ბილეთები არ აქვთ ასაღები“ — თქვა კოლოსკოვმა — „22 აპრილს, თელ-ავივში, უეფას აღმასკომის სხდომაზე ალბათ წამოიჭრება ეს საკითხი, მაგრამ ჩვენ მატჩის გაცემას არ ვაპირებთ. მისთვის მთელი წელიწადია ვემზადებით და ამ წუთისათვის სამზადისი თითქმის დასრულებულია. მწამს, რომ მოსკოვის მერისა და რუსეთის საფეხბურთო კავშირის ავტორიტეტი არ დაუშვებს ფინალური თამაშის ადგილის შეცვლას“.

**„სპორტ ექსპრესი“**

# ერთხელაც არ ითამაშო

„მილანის“ ყოფილმა თავდამსხმელმა, იუგოსლავიელმა დეიან სავიჩევიჩმა თანამემამულეს, „რეალის“ ფორვარდს პრედრაგ მიატოვიჩს წერილი მიწერა. იგი მიატოვიჩს ამხნევებს და ბოიკოტის გაგრძელებისკენ მოუწოდებს.

მოგეხსენებათ, მიატოვიჩმა იუგოსლავიაზე ნატოს თავდასხმების საპროტესტოდ გაფიცვა გამოაცხადა და თამაშზე უარი განაცხადა, რისთვისაც „რეალმა“ 30 ათასით დააჯარიმა.

„სამწუხაროდ იგივეს ვერ გავაკეთებ, მაგრამ გთხოვ, თუნდაც კიდევ ერთი მატჩი გამოტოვო.“ — შეუთვალა სავიჩევიჩმა მეგობარს.

სავიჩევიჩი ამჟამად ბელგრადის „ცრვენა ზვეზდაში“ თამაშობს და შესაბამისად ვერავის გაეფიცება.

# ჯერ რიგა, მერე ტირანა

**EURO 2000**

**ჩვენი ჯგუფი**

**ლატვიის** ფეხბურთის ფედერაციამ უეფას სთხოვა 28 აპრილს გასამართი შეხვედრა, ალბანეთისა და ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდებს შორის, ტირანადან რიგაში გადაიტანოს. მიზეზი კოსოვოში შექმნილი კრიზისული მდგომარეობა გახლავთ. იმავე დღეს საქართველოს ნაკრები ნორვეგიას უმასპინძლებს.

„თამაშის რიგაში გადმოტანაზე უეფასგან წინასწარი თანხმობა მივიღეთ და ახლა საბოლოო პასუხს ველით“ — განაცხადა ლატვიის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა იანის მეუჟეკისმა.

უეფამ კოსოვოს პრობლემის გამო უკვე გადადო ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევი რამდენიმე შეხვედრა.

ლატვია ნორვეგიასთან ერთად მეორე ჯგუფის ლიდერია. მათ ოთხი თამაშიდან შვიდი ქულა აქვთ. ალბანეთი ბოლო, მეექვსე ადგილზეა სამი შეხვედრიდან ორი ქულით, ხოლო ჩამოთვლილთა შუაში საბერძნეთი, სლოვენია და საქართველო გახლავან.

საბერძნეთს ხუთი თამაშიდან ექვსი ქულა აქვს, სლოვენიას ოთხიდან ხუთი საქართველოს კი ოთხიდან ოთხი.

ლატვიელთა და ალბანელთა მეორე შეხვედრა წლეულს, 4 სექტემბერს გაიმართება, როდესაც საქათველო სლოვენიაში ითამაშებს.

# შედეგს მნიშვნელობა არ ჰქონდა

**მართლმადიდებლურ** ძმობას თუ უწოდებ იმას, რაც ბელგრადის სტადიონზე მოხდა. ავიათავდასხმებით დაზარალებულ იუგოსლავიას თანადგომა ერთმორწმუნე საბერძნეთმა გამოუცხადა: „პარტიზანთან“ ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად ათენიდან აეკი ჩავიდა.

აეკის იუგისლავოფილური განწყობილება შესაძლოა მხოლოდ რელიგიით არც იყო განპირობებული. ათენელთა გუნდის ერთი მოთამაშე სწორედ ამ ქვეყნიდან გახლავთ: ნახევარმცველი ბრანკო მილოვანოვიჩი. გარდა ამისა აეკში ორი მაკედონიელია, ტონი სავევსკი და ბობან ბაბუნსკი. მაკედონია მართალია სოციალისტური, დიდი იუგოსლავიის დაშლის შემდეგ მსოფლიო რუკაზე დამოუკიდებლად შეფერადდა, მაგრამ ყოფილი ძმის მტერი, მითუმეტეს როდესაც საუბარია ფეხბურთელების ურთიერობაზე, ნამდვილად არ გახლავთ.


REUTERS ბელგრადიდან

ბელგრადში ბრიტანეთის დროშას თავს რისხვა დაატყდა

თავის მხრივ აეკის და ოფიციალური საბერძნეთის არევაც არ ეგების. საბერძნეთი ნატოს წევრი გახლავთ, რომელმაც მართალია სიტყვით ერთმორწმუნე იუგოსლავიის დაბომბვა დაიწუნა, მაგრამ ნატოს ჯარებს თავის ტერიტორიაზე გადაადგილება-დაბანაკებას ხელს უწყობს.

ბელგრადში აეკს მრავლად ჩაყვნენ გულშემატკივრებიც. ისინი „პარტიზანის“ ფანებთან ერთად მონაწილეობდნენ მატჩ-სპექტაკლში, რომლის მიზანიც მსხვერპლთა ოჯახებისთვის ფულის შეგროვება გახლდათ.

თამაში 56-წუზე შეწყდა, შეწყვიტეს სწორედ ქომაგებმა, რომლებიც ტრიბუნიდან მოედანზე ჩავიდნენ და პოლიტიკიური პარადი მოაწყვეს.

შეხვედრის დაწყებამდე სტადიონზე შეკრებილებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს დაღუპულთა ხსოვნას, მინდორზე ჩამწკრივებულ მოთამაშეებს დიდი ინგლისური პლაკატი გაეშალათ: „ნატო, შეწყვიტე ომი, ნატო, შეწყვიტე დაბომბვა“. „პარტიზანის“ გულშემატკივართა მიერ გამოფენილ ტრანსპარანტზე ეწერა: „კოსოვო ნატოს სასაფლაოდ იქცევა“, ხოლო ათენელ ფანებს სერბულად დაეწერათ: „ყველა მართლმადიდებელი ნატოს სატანური ბომბების წინააღმდეგ“

ბერძნენ ქომაგთა ჯარში ერთი პლაკატიც შეინიშნა: „რადოვან კარაჯიჩი“. ბოსნიელ სერბთა ლიდერს, მოგეხსენებათ, გაეროს ტრიბუნალმა საომარ დანაშაულებში დასდო ბრალი.

ასეთი ვნებათაღელვის ფონზე, თუკი ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს, თამაშის მე-13 წუთზე ანგარიში „პარტიზანის“ თავდამსხმელმა კეზმანმა გახსნა, 15 წუთის შემდეგ კი ბერძენი ზუგულისის თავურით სიმბოლური ფრე დაფიქსირდა.

## ფეხბურთის რუკასთან



**იტალიელმა** რობერტო ბაჯომ უარყო ხმები, თითქოსდა იგი მილანის „ინტერის“ დატოვებას აპირებს. იტალიური პრესის ცნობით, ბაჯო კლუბის დატოვებას იმიტომ აპირებდა, რომ „ინტერის“ ახალ მწვრთნელ მარჩელო ლიპისთან მუშაობა არ სურს. „არსად წასვლას არ ვაპირებ. კარიერას, ალბათ, „ინტერში“ დავასრულებ. ლიპისთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა მაქვს და რომ ამბობენ, თითქოსდა მასთან მუშაობა არ მსურს, სიცრუეა“ — განაცხადა 32 წლის ფეხბურთელმა. შეგახსენებთ, რომ 1995 წელს, როცა „იუვენტუსმა“ იტალიის ჩემპიონატი მოიგო, კლუბს მარჩელო ლიპი წვრთნიდა, ხოლო გუნდის ლიდერი რობერტო ბაჯო გახლდათ.

**პარაგვაელმა** ხოსე ლუის შილავერტმა განაცხადა, რომ არ ითამაშებს სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატში, იგივე „კოპა ამერიკაში“, რადგან ქვეყნის მთავრობის საგარეო და საფინანსო პოლიტიკა არ მოსწონს. „მე არ ვითამაშებ ნაკრებში, რადგან ჩვენი მთავრობა ხალხს უსამართლოდ ექცევა. ქვეყნის ხელისუფლების შეცვლა აუცილებელია“ — განაცხადა შილავერტმა. შეგახსენებთ, რომ ხოსე ლუის შილავერტი მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატზე ქვეყნის პირველი გუნდის კარს იცავდა.

**ინგლისის** ჩემპიონატის აუტსაიდერი, ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელი „ნოტინგემ ფორესტი“ მწვრთნელის — რონ ატკინსონის გაშვებას და მის ნაცვლად ბრაიან ლიტლის მიყვანას აპირებს. „დროა, კლუბში ცვლილება მოხდეს. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება“ — განაცხადა კლუბის წარმომადგენელმა ჯიმ მორფმა. ნოტინგემელთა რჩეული ბრაიან ლიტლი დღესდღეობით ქვეყნის პირველი დივიზიონის კლუბ „სტოკ სიტის“ წვრთნის. „ნოტინგემმა“ ასევე განაცხადა, რომ სეზონის ბოლოს გაყიდის ჰოლანდიელ თავდამსხმელ პიერ ვან ჰოიდონკს.

**ამერიკის** ნაკრების მეკარე ტონი მეოლა, რომელიც ქვეყნის პირველი გუნდის კარს მსოფლიოს ორ ჩემპიონატზე იცავდა, ექვსი თვით ჩამოშორდა ფეხბურთს. მისმა კლუბმა, „კანზას სიტიმ“ განაცხადა, რომ მეკარე ერთ-ერთი ვარჯიშისას დაშავდა და გადაუდებელ ოპერაციას საჭიროებს. მისი მუხლის მოშუშებას ექვსი თვე სჭირდება. ცნობისთვის: 1988-94 წლებში, როცა მეოლა ქვეყნის ნაკრებში თამაშობდა, მან 89 მატჩში მიიღო მონაწილეობა.

**პორტუგალიის** „ბენფიკას“ სეზონის ბოლოს შოტლანდიელი მწვრთნელი გრემ სუნესი დატოვებს. ლისაბონელები მის შემცვლელს ეძებენ და წინადადებით მიმართეს ინგლისის ნაკრების ყოფილ თავკაც ტერი ვენეიბლზს, რომელსაც საკლუბო დონეზეც უმუშავია, 1985 წელს კი „ბარსელონა“ ესპანეთის ჩემპიონი გაუხდია.

**იტალიის** ჩემპიონატის ლიდერმა რომის „ლაციომ“ განაცხადა, რომ კლუბის ხორვატი თავდამსხმელი ალენ ბოქშიჩი მალე მომჯობინდება და იქნებ უახლოეს ტურშიც ითამაშოს. შეგახსენებთ, რომ ბოქშიჩი ივნისში, ზედ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ დაშავდა და უდიდესი საფეხბურთო ტურნირი გამოტოვა. შემდეგ მან მუხლის ოპერაცია გაიკეთა და აქამდე შუშდებოდა.

**ესპანეთის** ყველაზე ტიტულიანი კლუბი მადრიდის „რეალი“ ინგლისის ნაკრების მცველ სოლ კემპბელს ალბათ ვერ გადაიბირებს. კემპბელმა, რომლის სანაცვლოდ ჩემპიონთა თასის მფლობელი „რეალი“ 15 მილიონ დოლარს იხდიდა, გადაწყვიტა, თავის კლუბ ლონდონის „ტოტენჰემთან“ 2003 წლამდე გააგრძელოს კონტრაქტი. თუ ახალი ხელშეკრულება გაფორმდა, სოლ კემპბელი, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ჰოლანდიელი მცველის იაპ სტამის და ლონდონის „ჩელსის“ ფრანგი უკანახაზელის მარსელ დესაის დარად, პრემიერლიგის ყველაზე ძვირადღირებული მცველი გახდება.

**ფრანგული** „მარსელის“ თავდამსხმელი, ტიტი კამარა, შესაძლოა მომავალი სეზონიდან ინგლისურ „ლივერპულში“ გადავიდეს. „მოლაპარაკებები გადამწყვეტ ფაზაშია. როგორც კი საფრანგეთის ჩემპიონატი დასრულდება კამარა, ალბათ, ლივერპულელი გახდება“ — განაცხადა უცნობმა პიროვნებამ, რომლის ნათქვამმაც გახადა ცნობილი კამარასა და ინგლისელთა მოლაპარაკების ამბავი. კამარამ, ამ სეზონში, „მარსელის“ შემადგენლობაში ჩატარებულ 23 შეხვედრაში ხუთი გოლი გაიტანა. გვინეის ნაკრების ამ 26 წლის ფეხბურთელს „მარსელში“ გადასვლამდე ხუთი სეზონი „სენტ ეტიენში“ ორი კი „ლანსში“ აქვს გატარებული. გასულ სეზონში მისი შეძენა „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ სურდა მაგრამ გარიგება ჩაიშალა.

**უნგრეთის** ჩემპიონატის 23-ე ტურის შეხვედრები ოთხშაბათს გაიმართა. თამაშები ასე დასრულდა: დუნაფერი — მტკ 0:3, ნიერშეგი — გაზცერი 0:0, კიშპეშტი — ჰალადაში 1:0, კერულეტი — ვაშაში 1:4, დიოშგიორი — დიორ ეტო 1:1, ვიდეოტონი — სიოფიკი 1:1, ვაცი — დებრეცენი 1:1, ზალაეგერშეგი — უპეშტი 0:1, ფერენცვაროში — BVSC 1:0. ჩემპიონატს 59 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს ბუდაპეშტის მტკ. ლიდერს 13 ქულით ჩამორჩება მეორეადგილოსანი „დიორ ეტო“, ხოლო 42-42 ქულით მესამე-მეოთხე ადგილებს „ფერენცვაროში“ და „უიპეშტი“ იყოფენ.

**ჰოლანდიელ** ნახევარმცველ კლარენს ზეედორფს მადრიდის „რეალმა“ საკმაოდ დიდი თანხით შეუთხელა ჯიბე, რადგან ფეხბურთელმა ერთ-ერთ ინტერვიუში გულშემატკივრები აუგად მოიხსენია. მას შემდეგ, რაც ზეედორფი რამდენჯერმე წაეჩხუბა „რეალის“ ლიდერ ფერნანდო იეროს, კლუბის ქომაგებმა იგი აითვალწუნეს. „რეალის“ ხელმძღვანელობამ მოთამაშე რამდენჯერმე დააჯარიმა, თითქმის ერთი თვის წინ კი ჩემპიონთა თასის მფლობელი „რეალის“ წარმომადგენელმა თქვა, ზეედორფს ალბათ გავყიდითო.

**ჩილეს** ნაკრების მცველმა ხავიერ მარგასმა განაცხადა, რომ მას ლონდონის „არსენალში“ თამაში აღარ უნდა. 27 წლის ფეხბურთელი ინგლისის ჩემპიონებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ შეიძინეს და ჩილეს „უნივერსიდად კატოლიკას“ მასში 2,5 მილიონი დოლარი გადაუხადეს. „მე არ მსურს ლონდონში დარჩენა. აქ თავს ცუდად ვგრძნობ, თან არც მათამაშებენ“ — განაცხადა მარგასმა.

**ბულგარეთის** ჩემპიონატის 21-ე ტურის მატჩები, რომლებიც ოთხშაბათს გაიმართა, ასე დასრულდა: ცსკა — პირინი 3:0, ნეფტოხიმიკი — ლევსკი (კისტენდილი) 3:1, სპარტაკი — ლოკომოტივი (პლოვდივი) 2:0, მინიორი — მეტალურგი 3:4, ლიტექსი — სეპტემვრი 4:1, დობრუჯა — სლავია 3:1, ბოტევი — შუმენი 5:2, ლოკომოტივი (სოფია) — ლევსკი (სოფია) 0:1. ჩემპიონატს 51 ქულით „ლიტექსი“ ლიდერობს. მეორე ადგილზე 49 ქულით სოფიის „ლევსკია“, ხოლო მესამეზე 40 ქულიანი კისტენდილის „ლევსკი“.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი

10th FIFA World Youth Championship
Nigeria 1999
3 - 24 April 1999

# ...არგენტინას დამარცხდა

## A ჯგუფი

### ნიგერია 2:0 გერმანია

1:0 შიტუ (69), 2:0 გარბა (81)

ნიგერია: ოკოუე, ოკუნოვო, ენე, არანკა, იკემეფუნა, ბაბანგიდა (შიტუ 67), გარბა, იკედია (იობო 73), აფოლაბი, ილოანუსი (მუსა 52), აგაოვა

გერმანია: ჰილდებრანდი, როსენი, შრამი, რაპი, ლეშნერი (სტუკმანი 70), ვოსი, რუტჰოლცი, ფალკი (მუტცელი 86), შაპერი, ტიმი, ილმაზი (გენსლერი 31)

გაფრთხილება: ლეშნერი (50), ილოანუსი (52), აგაოვა (55), გენსლერი (75), ფალკი (85)

მსაჯი: ანხელ ოსვალდო სანჩესი (არგენტინა)

ნიგერია, მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის მასპინძელი, გერმანიას ნამდვილად სჯობდა. აფრიკელთა შეტევები გაცილებით მწვავე იყო და სახიფათო, ვიდრე გერმანელებისა. მართალია, ევროპელების კარი „სუპერმართვეებმა“ შესვენებამდე ვერ დალაშქრეს, მაგრამ შესვენების შემდეგ მოსახდენი მოახდინეს — შეცვლაზე შესულმა განიუ შიტუმ და ჰაშიმუ გარბამ გასატანი გაიტანეს. აფრიკელთა ორ გოლს შუა გერმანელთა მე-15 ნომერს, კრისტიან ტიმს, ორჯერ მიეცა გაყაიმების შანსი, მაგრამ ორჯერვე სემ ოკოუე ვაჟკაცობდა.

სპორტულმა გაზეთმა „ვანგუარდმა“ ერთ-ერთ ბოლო ნომერში გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციას ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრებისთვის თხოვნით მიუმართავს, ოღონდ თქვენ ტურნირი მოიგეთ და ჯილდო ჩვენზე იყოსო. არაოფიციალური წყაროების თანახმად, მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონის მოგების შემთხვევაში გუნდის თითოეული წევრი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციისგან 2-2 ათას დოლარს მიიღებს.

— რასაც ვუყურებ, კმაყოფილი ვარ. მასპინძლები ყოველნაირად ცდილობენ, პირველობამ უმაღლეს დონეზე ჩაიაროს. პირველი ორი დღისგან განსხვავებით, ტურნირის ორგკომიტეტს დაუდევრად აღარ უმოქმედია — ბელგიელი ჟან დე კლერკი ფიფამ მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე მასპინძელთა მზადყოფნის შესამოწმებლად წარგზავნა.

ბოლოს ერთს დავძენთ: მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალურ ეტაპებზე გერმანელები აფრიკულ გუნდს მეოთხედ დაუპირისპირდნენ და ვერც ახლა მოიგეს. 1981 წელს, ისინი ეგვიპტემ დაამარცხა 2:1, 1993-ში განასთან დაზავდნენ 2:2, ორი წლის შემდეგ კი კამერუნსაც ყაიმზე შეუთანხმდნენ — 1:1.

### კოსტა რიკა 1:3 პარაგვაი

0:1 სანტა კრუზი (26), 1:1 გარიტა (30), 1:2 ვერა (50), 1:3 კუევესი (66)

კოსტა რიკა: კრუზი, გარიტა (არიასი 60), როდრიგესი, მელენდესი, მარტინესი, ალპისარი, სანტანა, დიასი (უგარტე 46), ფონსეკა, ესკუიველი (ვიკესი 70), ვენეგასი

პარაგვაი: ბანოლი, და სილვა, მალდონადო, ხიმენესი, კანდია, სანტა კრუზი (ფერნანდესი 75), ესკობარი, მარტინესი, ვერა (მარეკოსი 79), ბრიტესი (კუევესი 46), ფრეტესი

გაფრთხილება: ვენეგასი (17), ესკობარი (23), სანტა კრუზი (33), მარტინესი (35), ფრეტესი (42), როდრიგესი (45), მარეკოსი (88)

მსაჯი: იან ვეგერაფი (პოლანდია)

— გერმანელებთან წაგების შემდეგ ბევრმა აუტსაიდერად მიგვიჩნია, თუმცა ეს რომ ასე არაა, გამოჩნდა — განაცხადა პარაგვაის ნაკრების მწვრთნელმა მარიო ჟაკემ.

განსაკუთრებით ლამაზი ნელსონ კუევესის გოლი გამოდგა — პარაგვაელთა მე-11 ნომერმა მარტომ შეუტია საუცხოო გოლით გუნდს გამარჯვება დაუბევა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიგერია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| გერმანია | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| პარაგვაი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| კოსტა რიკა | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |

## B ჯგუფი

### განა 1:0 არგენტინა

1:0 ოფორი კუაე (76)

განა: აჯეი, ამოაკო, ისა, რაზაკი, აბდულაი, ჰამზა, აპია, ანსა (ამუზუ 88), ბლეი, ოფორი კუაე, აფრიუ (ადუ 73)

არგენტინა: კოსტანცო, როლდანი, ფერნანდესი (ვილარეალი 46), კამბიასო, კროსა, გალეტი, დუშერი, პერალტა (ფლორეს კორანელი 63), მონტენეგრო, რივაროლა (მილიტო 73), გრაბინსკი



განა — არგენტინა 1:0. განელები მეტოქეს ტოლს არ უდებდნენ

გაფრთხილება: მონტენეგრო (69), რივაროლა (71), ანსა (78), კამბიასო (88)

მსაჯი: კლაუს ბო ლარსენი (დანია)

ევროპელი მწვრთნელი მაინც სხვაა — განას იტალიელი ჯუზეპე დოსენა თავკაცობს, რომელმაც შესანიშნავად გაწვრთნა შეგირდები.

— განას ასეთი დალაგებული თამაში ჩემთვის დიდი მოულოდნელობა გახლდათ. მართალი გითხრათ, არ მეგონა, თუ მათ ამდენი ძალუძდათ — არგენტინელთა თავკაცი ხოსე პეკერმანი, ცოტა არ იყოს, დაბნეული საუბრობდა.

შეხვედრა მსოფლიოს ჩემპიონთა უპირატესობით წარიმართა. არგენტინელთა თითქმის ყველა ფეხბურთელი შესანიშნავად, უშეცდომოდ თამაშობდა, მაგრამ განას დაცვა სამხეთამერიკელთათვის გაუვალი აღმოჩნდა.

— გუნდს არგენტინის რამდენიმე თამაშის ვიდეოჩანაწერი ვუჩვენე და თითქმის ყველა წვრილმანი დეტალურად გავარჩიეთ. სწორედ მეტოქის შესაძლებლობების სრულფასოვანი ცოდნა გახლდათ ჩვენი გამარჯვების საწინდარი — თქვა იტალიელმა მწვრთნელმა ჯუზეპე დოსენამ.

ახლა ერთადერთი გოლის ავტორზეც ვთქვათ — პეტერ ოფორი კუაე პირველი აფრიკელი ფეხბურთელია, რომელმაც მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალურ ეტაპებზე ცხრა მატჩი გამართა. სხვათა შორის, გარდა ნიგერიაში გატანილი ორი გოლისა, ოფორი კუაემ ორი წლის წინ მალაიზიაშიც გამოიჩინა თავი — მაშინ მან იაპონიისა და აშშ-ს კარი დალაშქრა.

ცნობისთვის: აქამდე არგენტინის ახალგაზრდული ნაკრები აფრიკელ მეტოქეს სამჯერ შეხვდა და სამჯერვე ისე მოუგო, გოლი არ გაუშვია — 1979 წელს ალჟირს სძლია 5:0, 1981-ში კამერუნი დაამარცხა 1:0, ხოლო 1997-ში იმავე კამერუნს 3:0 მოუგო.

### ხორვატია 5:1 ყაზახეთი

1:0 დერანია (7), 2:0 მილადინი (11), 3:0 საბოლსკი (34), 3:1 ურაჟაევი (67), 4:1 ბანოვიჩი (79), 5:1 ბიელანოვიჩი (88)

ხორვატია: პლეტიკოსა, მილადინი, პოლოკანეცი, მიატოვიჩი, სერიჩი, მიკიჩი (ბუდანი 75), კრანიესი, ბალატინაჩი (ბანოვიჩი 70), დერანია (ბიელანოვიჩი 83), საბოლსკი, ანდრიჩი

ყაზახეთი: ლორია, სოლიშენკო, გორბანევი, ალიევი (ურაჟაევი 46), სამჩენკო, ტრავინი (არტემოვი 46), აკაზიონოვი, ტარასოვი, კუმისბეკოვი (კუჩმა 68), კიშჩენკო, დინაევი

მსაჯი: ლუ იუნი (ჩინეთი)

დავით ლორია, ყაზახეთის ნაკრების მეკარე, პირველ შეხვედრაში არგენტინელებთან თავის გუნდში საუკეთესო გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ ხუთი გოლი გაუშვა, ყაზახთა მწვრთნელმა ვლადიმირ ფომიჩეკმა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ლორია რომ არ გვყოლოდა, გაცილებით დიდი ანგარიშით წავაგებდითო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 2 | 1 | 1 | 0 | 6:2 | 4 |
| განა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| არგენტინა | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ყაზახეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | 0 |

## C ჯგუფი

### ავსტრალია 1:3 მექსიკა

0:1 მარკესი (2), 1:1 სტერიოვსკი (45), 1:2 ხ. როდრიგესი (583), 1:3 ოსორნო (83)

ავსტრალია: ბრიდენი, ემერტონი, უილსონი, კოლოზიმო, ბოსნარი, კულინა, გრელა (ტერმინელო 62), ბრეშიანო (ინვინსიბილი 62), მაისანო (გრიფიტსი 46), სტერიოვსკი, კუნიკო

მექსიკა: კ. მარტინესი, მენდესი, მასკორო, მარკესი, მორალესი, ტორადო, ნავა (მენდოსა 67), ვიქტორინო (ლ. გონსალესი 75), ხ. როდრიგესი, ოსორნო (პაჩეკო 89), ე. როდრიგესი

გაფრთხილება: ბრიდენი (57), კუნიკო (60), მირალესი (70), მენდესი (78), კოლოზიმო (90)

მსაჯი: კარლოს ეუჯენიო სიმიონი (ბრაზილია)

მექსიკელებმა პირველი შეხვედრა ირლანდიასთანაც ზუსტად ასე დაიწყეს — მათმა კაპიტანმა რაფაელ მარკესმა ირლანდიას გოლი მატჩის დასაწყისში საჯარიმო დარტყმით გაუტანა. ავსტრალიასთანაც ასე მოხდა — მარკესმა ენტონი ბრიდენის კარი უკვე მეორე წუთზე აიღო, ისიც საჯარიმო დარტყმით.

მექსიკა პირველია შემდეგ წრეში რომ გავიდა.

### საუდეთი 0:2 ირლანდია

0:1 მაკფილი (42), 0:2 დაფი (65)

საუდეთი: ზაიდი, ფ. ალ შერი, ალ მუტაირი, ომარი, ალ სუბია (ალ აბეა 83), ალ საქრი, დაბო, ელ აგბანი, ალ აბდულაზიზი (ს. ალ შერი 72), ალ ზაფრინი (ალ შაეი 66), ალ ობაილი

ირლანდია: დელინი, ჰირი, დოილი (დონოლი 64), გევინი, დოჰერტი, ქუინი, მაკფილი, კროსლი (ჰილი 85), კინი, დაფი, სედლირი (კეისი 85)

გაფრთხილება: დონოლი (67), დოჰერტი (71)

მსაჯი: გუსტავო მენდეს გონსალესი (ურუგვაი)

კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ თბილისი — საუდის არაბეთის და ირლანდიის ნაკრებები მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე აქამდე მხოლოდ ერთხელ შეხვედროდნენ ერთმანეთს და ისიც თბილისში. 1985 წლის 26 აგვისტოს, ვ.ი. ლენინის სახელობის სტადიონზე გამართული მათი დაპირისპირება საუდელთა 1:0 გამარჯვებით დასრულდა.

ამჯერად ევროპის ჩემპიონმა ირლანდიამ რევანში აიღო.

ლაშა გოდუაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მექსიკა | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ირლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| ავსტრალია | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| საუდეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |



უოტ ნიკოლი — ბარდი, მწერალი, ინგლისის ნაკრების მოტივატორი და ვინ მოთვლის რამდენი რამ

# უცნაური ბარდი და მარდი ინგლისის ნაკრები

მისტერ მოტივაცია. იცით, ვინ არის ის? ვინ არის ადამიანი, რომელმაც კევინ კიგანისეული ინგლისის ნაკრების პირველ გამარჯვებაში სრულიად შესაძლებელია, რომ უდიდესი წვლილი შეიტანა?

დიახ, ინგლისისა და პოლონეთის გუნდების შეხვედრაზე ვსაუბრობთ, ევროპის 2000 წლის შესარჩევ მატჩზე, რომელიც 27 მარტს, „უემბლიზე“ მასპინძელთა გამარჯვებით 3:1 დასრულდა.

ფეხბურთის გულშემატკივარს როგორ შეიძლება კიგანის წინამორბედი, გლენ ჰოდლი და მისი მოძღვარი, წინასწარმეტყველი და პარაფსიქოლოგი ქალბატონი ეილინ დრიუერი დავიწყებოდა. ჰოდლი, ერთობ კარგი მწვრთნელი, გადაყვა კიდეც ოკულტიზმზე გადამეტებულ ფიქრს. ინტერვიუში თქვა, რაც ყველამ იცის: ინვალიდები ინვალიდებად იმიტომ დაიბადნენ, რომ წინა ცხოვრებაში ცუდი ადამიანები იყვნენო და მოხსნეს. მოხსნეს იმიტომ, რომ შეურაცხყოფა მიაყენა უამრავ ადამიანს, ამ ცხოვრებაში კი საზოგადოება ასეთ რამეებს არავის აპატიებს ხოლმე. ყოველ შემთხვევაში, ინგლისური საზოგადოება.

ჰოდლი მოხსნეს და მის ადგილზე, ოთხი თამაშით, კიგანი დანიშნეს. და აი, ირკვევა, რომ ახალი მწვრთნელის პირველი მატჩის წინ, სასტუმროში, სადაც ინგლისის ნაკრების ფეხბურთელები იყვნენ დაბანაკებული, მისტერ მოტივატორი მისულა.

ეს 63 წლის მამაკაცი გახლავთ უოტ ნიკოლი, შოტლანდიური ხალხური სიმღერების ცნობილი შემსრულებელი, მოკლედ, მომღერალი, ბარდი, რომელიც სიჭაბუკეში ვეტერინარობისთვის ემზადებოდა, მერე კი იმდენ პროფესიაში უცდია ბედი, რომ თვლა თავადაც არევია და აბა სხვა ხომ არ დაუთვლიდა. ვინ არ იყო მისტერ ნიკოლი, სპიდვეის მრბოლით დაწყებული, ფანჯრის მწმენდავით და დამლაგებლით დამთავრებული.

მკითხველმა შეიძლება იფიქროს, რომ ყალბად ვხლართავთ ისტორიას და ცვდილობთ ისეთი შეფერილობა მივანიჭოთ, როგორის საბაბიც არ გვაქვს. მართლაც, რა მოხდა, თუ მწვრთნელმა ფეხბურთელებთან თამაშის წინ, გუნება-განწყობის ასამაღლებლად მომღერალი მიიყვანა? ან იმაში რაა გასაკვირი, რომ ამ ადამიანმა ცხოვრებაში თავისი ადგილის პოვნამდე მრავალ პროფესიაში სცადა ბედი? მრავლისმნახველ მისტერ ნიკოლს ხომ, ალბათ, უამრავი მხიარული და საინტერესო ამბის მოყოლა შეუძლია.

ყველაფერი მართალია, მაგრამ ვგონებთ, დადგა დრო, დაგიმტკიცოთ, რომ ძალად არაფერს ვიგონებთ და არც ქალბატონი ეილინ დრიუერი გვიხსენებია შემთხვევით. საქმე ის გახლავთ, რომ უოტ ნიკოლს გამოქვეყნებული აქვს წიგნი „დაგრეხილი ბრიჯები და მოპარული ბლინები“, რომელშიც მას, არც მეტი, არც ნაკლები, ჩამოთვლილი აქვს, თუ ვინ იყო წინა ცხოვრებებში.

დიახ, ნიკოლი ამტკიცებს, რომ სანამ დედამიწას ნიკოლად მოევლინებოდა, გაკოტრებული და უიღბლო ადამიანი იყო. იმდენად უიღბლო, რომ ლამლამობით დარდისგან ვერც იძინებდა. რამდენადაც სევდიანია უოტ ნიკოლის წინა ცხოვრების ამბავი, იმდენად სახალისოა თავად წიგნი, რომელშიც აღწერილი ამბების ფონზე საბრალო ეილინ დრიუერი, მთელი თავისი წინასწარმეტყველების ნიჭით, ერთობ მოკრძალებულ და უსენსაციო ვინმედ წარმოგვიდგება.

და ყველაზე საინტერესო რა არის, იცით? ის, რომ ეს შოტლანდიელი კაცი, რომელიც ინგლისურად უაქცენტოდ ვერც კი ლაპარაკობს, ინგლისის ნაკრებზე „ჩვენ“-ო, ამბობს.

ახლა, როგორ მსჯელობენ ალბიონელი ჟურნალისტები, რომელთაც ცინიკური იუმორი არასდროს ჰკლებიათ. ისინი ამბობენ, ჩვენი გუნდი ფრანგებთან თამაშის დროს ისეთი დამფრთხალი გვახსოვს, პოლონელებთან თამაშის დროს კი ისეთი გაყოჩაღებული, რომ თუ ეს ყველაფერი მისტერ ნიკოლის საუბრების შედეგია, მაშ მოვითხოვოთ, კიგანმა იგი სტუმრად გასამართ შეხვედრებზეც ატაროსო.

თურმე უოტ ნიკოლი ფეხბურთელებთან სასტუმროში მხოლოდ ერთი საათით გაჩერებულა, ბიჭებისთვის „დაგრეხილი ბრიჯების და მოპარული ბლინების“ რამდენიმე ეგზემპლარი დაურიგებია, შემდეგ მათთვის საბრძოლო სულიც შთაუბერია და წასულა.

ნეტავ საკუთარი ცხოვრების (ამის ან იმის) ამბავი თუ მოყვაო, უკითხავთ ვილაც-ვილაცეებს, მაგრამ მკაფიო პასუხი ვერ მიუღიათ გარდა იმისა, რომ შოტლანდიელ მომღერალს ალან შირერი და ძმანი მისნი, თურმე, მომავალშიც დიდი სიამოვნებით შეხვდებიან.

მერე წიგნშიც ჩაიხედეს და ასეთი რამ ამოიკითხეს: „მოტივაცია იმ გონებრივი ღილაკის გააქტიურებაა, რომელიც ყურადღებას მაქსიმალურად ძაბავს“. აი, ასე. არც მეტი და არც ნაკლები.

კიდევ: „ცხოვრებაში ზოოლოგიაც მისწავლია, მრბოლიც ვყოფილვარ, სულების ექიმიც და ამას გარდა, ხალხური სიმღერების 14 ალბომი მაქვს ჩაწერილი. ბევრჯერ საავადმყოფოში მოვხვედრილვარ, დავქორწინებულვარ, გავციებულვარ, ხელახლა დავქორწინებულვარ და გავკორტებულვარ“.

ნიკოლი გვასწავლის: „მიზნად ავი არასოდეს დაისახოთ. სჯობს, განსაზღვროთ რა გინდათ, ვიდრე ის, რა არ გინდათ რომ მოხდეს. დამოკიდებულება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გარეგნობა, ნიჭი, ან ჭკუა. ქალები საოცარი მოტივატორები არიან. მწამს, კაცები ქვეყნად იმიტომ გაჩნდნენ, რომ ქალებმა შეაგულიანონ“.

ბაკუნა კედია

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

ეროვნული ბიბლიოთეკა



## რუსეთი

### XXIX ტურის გადმოტანილი მატჩი

**სპარტაკი 3:0 კრილია**

1:0 ბეზროდნი (25), 2:0 ტიხონოვი (67), 3:0 ბეზროდნი (82)

კრილია: კოშელევი, შიშკინი (მკრტჩიანი 46), სიომინი, საკი, მამედოვი **ფოფხაძე**, ევდოკიმოვი, ციგანოვი, გერასიმოვი (კულკოვი 33), **წიკლაური**, ტეტერინი (მიქაელიანი 68)

რუსეთის მერვე ჩემპიონატის პირველი გოლის ავტორმა ზურაბ წიკლაურმა და მისმა სეხნია ფოფხაძემ ორივე ტაიმი ითამაშეს. პირველ ტურში მოსკოვში ცსკა-სთან 1:1 დამთავრებული შეხვედრა სპეციალისტებმა „კრილიას" მიერ შემოთავაზებულ სიურპრიზად მონათლეს. ტარხანოვის შეგირდები პირველი 25 წუთის განმავლობაში ლირსეულად ეპაექრნენ რუსეთის ჩემპიონებს. თუმცა მათი წარმატებული მოქმედება რომანცევის გუნდის უნიათოდ თამაშმა განაპირობა. ტრავმირებული ნახევარმცველის, ციმბალარის გარეშე მოსკოველებს ძალიან გაუჭირდათ შეტევათა ორგანიზება, მაგრამ მის ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში გამწესებულმა ბეზროდნიმ მაინც მოახერხა სამარელების კარის დალაშქვრა.

მეორე ნახევარში მასპინძლები სრულიად გაბატონდნენ მოედანზე. სტუმრებმა ერთი სახიფათო მომენტილა შექმნეს. ტეტერინის სახიფათოდ ჩამოწოდებული წიკლაურს შეეძლო, გოლად ექცია, მაგრამ წამის მეასედებში სპარტაკელმა კოვტუნმა დაასწრო ბურთთან შეხება.

67-ე წუთზე ტიხონოვი საჯარიმოში ბურთს დაეუფლა. სამ მცველს შორის მოქცეულმა დარტყმა შეგნებულად დააგვიანა, შემდეგ კი წაქცეულ მეკარეს აულელვებლად გადაავლო ბურთი.

მესამე გოლი ბეზროდნიმ ჩაიწერა ანგარიშზე. მან ახლო კუთხეში დაარტყა კოშელევს. ბურთი ჩვენებურ „კრილიას" მარჯვენა მცველ ფოფხაძეს შეეხო და კარში აღმოჩნდა.

შეხვედრა ძალზედ არაკორექტული გამოდგა. სანკტ-პეტერბურგელმა არბიტრმა სამი სპარტაკელი და ოთხი სამარელი გააფრთხილა. შვიდივე ფეხბურთელს უხეში თამაშისთვის აუფრიალა ყვითელი ბარათი. დასჯილთა შორის ზურაბ ფოფხაძეც მოგვევლინა.

**ხვიჩა სანიკიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| ზენიტი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| დინამო | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| სატურნი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ტორპედო | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| შინიკი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ლოკომოტივი მ. | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| როსტსელმაში | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ცსკა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| კრილია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |
| როტორი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ალანია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ჩერნომორეცი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ჟემჩუჟინა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ლოკომოტივი ნნ. | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ურალანი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

## ჰოლანდია

**სიტარდი 1:2 ტილბურგი**

1:0 პამინგი (30), 1:1 გალაშეკი (61), 1:2 აბდელაუი (68)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 26 | 20 | 4 | 2 | 61:25 | 64 |
| ვიტესი | 26 | 16 | 5 | 5 | 50:30 | 53 |
| ტილბურგი | 28 | 15 | 5 | 8 | 53:42 | 50 |
| ეინდჰოვენი | 26 | 14 | 7 | 5 | 65:39 | 49 |
| როდა | 27 | 13 | 7 | 7 | 48:33 | 46 |
| აიაქსი | 26 | 12 | 8 | 6 | 54:28 | 44 |
| ტვენტე | 27 | 12 | 8 | 7 | 41:34 | 44 |
| ჰერენვენი | 27 | 11 | 9 | 7 | 44:34 | 42 |
| ალკმაარი | 26 | 9 | 11 | 6 | 40:43 | 38 |
| სიტარდი | 27 | 10 | 6 | 11 | 36:40 | 36 |
| უტრეხტი | 27 | 9 | 7 | 11 | 47:49 | 34 |
| ნაიმეგენი | 26 | 8 | 8 | 10 | 33:40 | 32 |
| გრააფსხაპი | 27 | 6 | 10 | 11 | 31:46 | 28 |
| კამბური | 27 | 6 | 8 | 13 | 28:51 | 26 |
| მაასტრიხტი | 27 | 5 | 8 | 14 | 31:50 | 23 |
| სპარტა | 27 | 5 | 3 | 19 | 27:58 | 18 |
| ბრედა | 26 | 3 | 6 | 17 | 27:48 | 15 |
| ვოლენდამი | 27 | 3 | 6 | 18 | 27:53 | 15 |

# ჯოვანი ტრაპატონი: იგი დარჩა და მეც მოვედი

*მსოფლიოს ყველაზე ტიტულიანი მწვრთნელი — ამ სიტყვებით ყველაფერია ნათქვამი. სახელგანთქმულმა იტალიელმა სპეციალისტმა ჯოვანი ტრაპატონიმ თავის 21-წლიან სამწვრთნელო კარიერაში ოცზე მეტი ჯილდო მოიპოვა, მათ შორის, ჩემპიონთა, უეფას, თასებისა და საკონტინენტთაშორისო თასი, შვიდჯერ გახდა იტალიის ჩემპიონი, ერთხელ — გერმანიის. არის აგრეთვე იტალიისა და გერმანიის თასების, ევროპის სუპერთასის და სხვა მრავალი ევროპული პრიზის მფლობელი.*

*დღეს ჯოვანი ტრაპატონი ფლორენციის „ფიორენტინას" უდგას სათავეში და ის, რომ გუნდი ჩემპიონობის ერთ-ერთ კანდიდატად ითვლება, უმეტესწილად სწორედ „ტრაპის" დამსახურებაა. ამჟამად „ფიორენტინა" ექვსი ქულით ჩამორჩება პირველ ადგილზე მყოფ რომის „ლაციოს". მიუხედავად ამისა, გულშემატკივარს სკუდეტოსთვის ბოლომდე ბრძოლას ჰპირდება. ტრაპატონის გაწვრთნილი კლუბები სხვა კარგ თვისებებთან ერთად დიდი ბრძოლისუნარიანობითაც გამოირჩევიან და რაც ყველაზე მთავარია, ხშირად აღწევენ დასახულ მიზანს. გერმანულ ჟურნალ „შპორტ ბილდში" ამას წინათ გამოქვეყნებული ინტერვიუ არაერთ საინტერესო თემას შეეხო.*

**— რაც გერმანიიდან წამოხვედით, თქვენი ყოფილი კლუბის, მიუნხენის „ბაიერნის" თამაშებს თუ უყურებთ?**

— რა თქმა უნდა. შაბათი საღამო ძალიან მიყვარს, რადგან საშუალება მაქვს, დავჯდე და ბუნდესლიგის მატჩებს ვუცქირო. ყველაზე მეტად კი, ბუნებრივია, „ბაიერნის" თამაში მაინტერესებს. წლეულს ეს გუნდი ძალიან ძლიერია. საუცხოო შთაბეჭდილებას ტოვებს. არც წინა წლებში გამოიყურებოდა „ბაიერნი" ურიგოდ, მაგრამ მაშინ „კაიზერსლაუტერნი" და „ლევერკუზენი" უფრო ძლიერნი იყვნენ, თუმცა დღეს ყველაფერი პირიქითაა. არა მგონია, მიუნხენელებს ჩემპიონის ტიტულს ვინმე შეეცილოს.

**— თქვენი ამჟამინდელი კლუბის — „ფიორენტინას" საჩემპიონო შანსებს როგორ შეაფასებთ?**

— ვფიქრობ, სკუდეტოს მოპოვების მცირე შანსი კიდევ გვაქვს, მაგრამ მეეჭვება, იგი გამოვიყენოთ. ამას თავისი მიზეზი აქვს და თან არც თუ უმნიშვნელო.

**— კერძოდ...**

— კერძოდ ის, რომ ფეხბურთელები არ არიან ამისთვის მზად და არც განწყობა აქვთ შესაფერი. „ფიორენტინას" წევრთა უმეტესობა ჩვეული არ არის მაღალ მიზნებზე ფიქრს. ისინი ყოველთვის მოკრძალებული შედეგისთვის იბრძოდნენ და ახლა ჩემპიონობის შანსი რომ მიეცათ, ცოტა არ იყოს, დაბნეულები არიან. თუმცა ეს, რა თქმა უნდა, ყველას არ ეხება. გაბრიელ ბატისტუტა, მორენო ტორიჩელი, იორგ ჰაინრიხი, რუი კოშტა — ის ფეხბურთელები არიან, რომლებსაც ნებისმიერი ტიტულის მოპოვება ძალუძთ და საამისოდ ყოველთვის მზად არიან. გუნდში ოთხი კაცი კი სკუდეტოსთვის საკმარისი არ არის.

**— გამოდის, ჩემპიონობისთვის მაინცდამაინც არ იბრძვით.**

— მე ეგ არ მითქვამს. ჩვენ სკუდეტოსთვის ბრძოლას კვლავაც გავაგრძელებთ, მაგრამ რამდენად გამოგვივა ეს, სხვა საქმეა.

**— ყველაზე მეტად გუნდში ვის გამოარჩევდით?**

— მგონი, ამ კითხვაზე პასუხი თავადაც იცით. გაბრიელ ბატისტუტა გუნდში ნამდვილად საუკეთესოა, იგი „ფიორენტინას" ლიდერია. გამოვყოფდი აგრეთვე პორტუგალიელ რუი კოშტასაც. მისი თამაშის მანერას რომ ვუყურებ, ყოველთვის მარიო ბასლერი მახსენდება. თუმცა რუი კოშტასა და ბატისტუტას გამოყოფა იმას არ ნიშნავს, თითქოს სხვებით უკმაყოფილო ვიყო. „ფიორენტინა" ამჟამად ძლიერი კლუბია და ეს თითოეული მისი ფეხბურთელის დამსახურებაა.

**— ბატისტუტამ სერია A-ში ჩატარებულ ორასამდე მატჩში 140-ზე მეტი გოლი გაიტანა. მის მიღწევას როგორ შეაფასებდით?**

— ერთი სიტყვით — ბრწყინვალე. გაბრიელ ბატისტუტას დარ პროფესიონალ ფეხბურთელს ჩემი სამწვრთნელო კარიერის მანძილზე არ შევხვედრივარ. იგი ყოველი ვარჯიშის შემდეგ მძლეოსნობის დარბაზში შედის და კიდევ საათნახევარს (!) ფიზიკური გამძლეობის მოსამატებლად ვარჯიშობს. თითოეული თამაშის წინ გასახდელიდან იგი მეტოქეზე დაგეშილი გამოდის. „ჩვენ უნდა მოვიგოთ" — უყვირის თანაგუნდელებს მატჩის დაწყებამდე. რას სჩადის ამის შემდეგ მინდორზე, ამას ჩემი თქმა აღარ სჭირდება.

**— „ფიორენტინას" ფეხბურთელებზე ვსაუბრობთ და საერთოდ არ გიხსენებიათ სკანდალებით სახელგანთქმული ბრაზილიელი ედმუნდო...**

— ედმუნდო უმაღლესი კლასის ფეხბურთელია. იგი გუნდში ტექნიკით გამოირჩევა. მაგრამ იმისათვის, რომ მუდმივად კარგ ფორმაში იყოს, პირადად მე ერთი აუცილებელი პირობა მაქვს შესასრულებელი — მასზე ყოველთვის თვალი უნდა მეჭიროს.

**— ზემოთ ბასლერი ახსენეთ, ვიცით, მისი ყიდვით იყავით დაინტერესებული.**



სარბიელის არქივიდან

ჯოვანი ტრაპატონი

— ძალიან მონდომებული ვიყავი, მაგრამ ეს ტრანსფერი არ შედგა. „ბაიერნმა" მასში 25 მილიონი გერმანული მარკა მოითხოვა, ჩვენ კი ამდენის გადახდა ვერ შევძელით. არადა, ბასლერი „ფიორენტინას" ძალიან გააძლიერებდა. წარმოიდგინეთ, წინ ბატისტუტა, ედმუნდო და ოლივეირა, ხოლო ამათ უკან ბასლერი, რომელიც თავდასხმას პასებით მოამარაგებდა — დიდებული იქნებოდა. საერთოდ, მარიო ბასლერი ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად მიმაჩნია, არა მარტო გერმანიაში, არამედ ევროპაშიც.

**— ეტყობა, მცდარი აზრი გაქვთ, რადგან მისით ევროპული კლუბები მაინცდამაინც არ არიან დაინტერესებულნი.**

— ვინ გითხრათ? „ლაციო", „რომა", „იუვენტუსი", „პარმა", ყველას სურს მარიოს შეძენა, მაგრამ აქ ერთი დიდი პრობლემაა. როდესაც იტალიური კლუბი ფეხბურთელს ყიდულობს, სრული გარანტია უნდა ჰქონდეს იმისა, რომ იგი გაუმართლებს. იტალიაში გაცილებით ძნელია თამაში, ვიდრე გერმანიაში. იცით რატომ? გერმანიაში ქომაგები ბილეთში 60 მარკას იხდიან, იტალიაში 240-ს. ბასლერს კი მაინცდამაინც არ ენდობიან, რადგან იციან, იგი ოჯახურ ცხოვრებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ეშინიათ, ვაითუ ვიყიდოთ და არ გაგვიმართლოსო, მაგრამ მთავარი ავიწყდებათ — ბასლერმა კარგად იცის წინა პლანზე როდის დააყენოს პირადი ცხოვრება და როდის — ფეხბურთი.

**— რომელი ქვეყნის ლიგაა, თქვენი აზრით, დღეისათვის საუკეთესო?**

— ამჟამად იტალიის, ესპანეთის და გერმანიის ჩემპიონატები რომ საუკეთესოა მსოფლიოში, მგონი სადაო არ არის, მაგრამ სჯობს უფრო დავაკონკრეტო. ბუნდესლიგა ძალიან ძლიერი ლიგაა. იქ ძლიერი ფეხბურთელებიც თამაშობენ, მაგრამ მაინც იტალიისა და ესპანეთის ჩემპიონატებს ვამჯობინებ, რადგან იქ უფრო მაღალი კლასის ფეხბურთელები არიან. გარდა ამისა, აქაურ კლუბებს გაქანებაც მეტი აქვთ. სალასს, ზიდანს, ვიერის, რონალდოს გერმანული კლუბები ვერ იყიდიან, რადგან მათ შესაძლებლობები არ აქვთ. ვიერი „ლაციომ" „ატლეტიკოსგან" 45 მილიონ მარკად შეიძინა, ამას თვით „ბაიერნიც" ვერ შეძლებს, სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

**— დამეთანხმებით ვერც „ფიორენტინა" გააკეთებს ამას.**

— მართალია, მაგრამ მადლობა ღმერთს, ჩვენ გაბრიელ ბატისტუტა გვყავს. როდესაც შარშან მაისში „ფიორენტინას" მწვრთნელობა შემომთავაზეს, ოცი დღის განმავლობაში ყოველდღე ვურეკავდი გაბრიელს და ვეუბნებოდი, რომ თუ ფლორენციიდან წავიდოდა, გუნდის მწვრთნელობაზე უარს ვიტყოდი. საბედნიეროდ, იგი დარჩა და მეც მოვედი.

**— ჩემპიონატების სიძლიერეს დავუბრუნდეთ.**

— ერთს ვიტყოდი, აჯობებს, თავი დავანებოთ იტალიურ, ესპანურ, გერმანულ თუ ინგლისურ ფეხბურთზე საუბარს, რადგან სპორტის ამ სახეობის განვითარება თუ გვინდა, უნდა ვილაპარაკოთ ერთზე — ევროპულ ფეხბურთზე. ერთ კითხვას დაგისვამთ — რატომ არ უნდა ჩამოვიდნენ გერმანელი მწვრთნელები იტალიაში? ჰიტცფელდი, რეჰაგელი, დაუმი, ჰაინკესი ბრწყინვალე სპეციალისტები არიან, მაგრამ აქ ბევრს ისწავლიან და უკეთესი მწვრთნელები გახდებიან. ისინი კი რატომღაც თავს არიდებენ ჩამოსვლას.

**— გერმანელ ფეხბურთელებზე არაფერი გითქვამთ...**

— სათქმელიც არაფერი მაქვს. დამისახელეთ ერთი უმაღლესი კლასის გერმანელი ფეხბურთელი, ვინც 30 წელზე ნაკლები ასაკისაა. კი, იერემისი, ნოვოტნი და სხვები კარგი ფეხბურთელები არიან, მაგრამ მათ ჯერ კიდევ ბევრი უნდა ისწავლონ. თავდასხმაში ხომ საერთოდ კატასტროფული მდგომარეობაა. სირცხვილია, გერმანიის ნაკრების თავდასხმა 30 წელს გადაცილებულ კირსტენსა და ბირჰოფს ებაროთ და თან კონკურენტები არ ჰყავდეთ.

**— მაინც რომელ გერმანელ ფეხბურთელს იყიდიდით სიამოვნებით?**

— ლოთარ მათეუსს, მაგრამ იგი უკვე 38 წლისაა. მიხაელ ტარნატზეც არ ვიტყოდი უარს.

**— მიუნხენის „ბაიერნიდან" თქვენი წამოსვლა მაშინ ენის უცოდინარობით ახსენით. მართლა ამის გამო დატოვეთ კლუბი?**

— გერმანულის არცოდნამ დამტანჯა, ხანდახან ისეთი შედეგი მოჰქონდა ამას, ღამეც არ მეძინა. თუმც გერმანულ ენას ახლა ვსწავლობ. ჩემი მასწავლებელი კი იორგ ჰაინრიხია. იგი თანაგუნდელებს იტალიურად ესაუბრება, მე გერმანულად. ეს თავად ჩემი სურვილია. ისე, გერმანიაში დაბრუნებას არ გამოვრიცხავ. გარკვეული დროის შემდეგ, ალბათ, დავბრუნდები კიდეც. ბუნდესლიგაში ბევრი რამ ვისწავლე.

**— კონკრეტულად რა ისწავლეთ ბუნდესლიგაში?**

— იმდენად არა ტაქტიკა, რამდენადაც სტანდარტული მდგომარეობების დამუშავება და კონტრშეტევებზე თამაში. გერმანიაში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება სტანდარტული მდგომარეობის გათამაშებას. კუთხურები თუ ჯარიმები ძალიან სახიფათოა. კონტრშეტევებზეც ბევრად უფრო სწრაფად გადადიან, ვიდრე სხვაგან.

**— ვიცით, რომ „ფიორენტინას" პრეზიდენტმა ვიტორიო ჩეკი გორიმ სამწვრთნელო კარიერის ბოლომდე შემოგთავაზათ კონტრაქტის გაფორმება.**

— მართალია. თუმცა მისთვის არც ჰო მითქვამს და არც არა. ჩვენ ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს, ფლორენციაც მშვენიერი ქალაქია, მაგრამ საერთოდ ერთ ადგილზე ყოფნა არ მიყვარს. არა მგონია, მუდმივად ფლორენციაში დავრჩე.

**— 17 მარტს სამოცი წელი შეგისრულდათ. კიდევ დიდხანს აპირებთ მწვრთნელობას?**

— მწვრთნელად მანამდე ვიმუშავებ, სანამ სიარულს, სირბილს და თამაშს შევძლებ. რომ დავიღლები, წავალ კიდეც, თუმცა არ ვიცი, ეს როდის მოხდება.

**ვანო ოქროპირიძე**

პარლამენტის ბიბლიოთეკა



# როგორ შეირიგა რენსენბრინკმა ბელგიელები



თასების მფლობელთა თასი

XVI გათამაშება 1975-76 წლები

ანდერლეხტი

ბრიუსელი, ბელგია

სოლომონ ქულიაშვილი

Cup Winners' Cup

სრული ისტორია

**გადამწყვეტ** თამაშში „ანდერლეხტი“ „ვესტ ჰემს“ ბრიუსელის „ეიზელის“ სტადიონზე შეხვდა. სარბიელზე, სადაც ცხრა წლის შემდეგ „ლივერპული“ — „იუვენტუსის“ ჩემპიონთა თასის ფინალის წინ, საშინელი ტრაგედია დატრიალდა. 1976-შიც არეულობებს ცოტა დააკლდა...

ინგლისელი ფანები ბრიუსელში სხვადასხვა საშუალებით ჩავიდნენ. ზოგი თვითმფრინავით, ზოგი ავტობუსით, ზოგიც გემით. ადგილობრივი პოლიცია ფხიზლობდა, რადგან ბრიტანელებს მაშინაც დაუოკებელთა და მეამბოხეთა სახელი ჰქონდათ გავარდნილი. თვითმფრინავებში, რომლებითაც „ვესტ ჰემის“ ქომაგები მგზავრობდნენ, სპირტიანი სასმელების გაყიდვა აკრძალეს. სამართლის მსახურნი არც ჩხრეკვას დარიდებიან, მაგრამ იმ 1500 კაცს შორის, რომლებმაც გემებით ჩააღწიეს, ბევრმა მაინც მოახერხა და ბრიუსელს გვარიანად მთვრალი ეწვია. მართალია, ნგრევა და მსხვერპლი არ ყოფილა, მაგრამ ერთმა გემიდან ჩასვლისას კიბეს ფეხი აუცილა და წყალში ჩავარდა... საბედნიეროდ, მაშველებმა იმარჯვეს და „დაზარალებული“ უმალ ჰოსპიტალში გააქანეს. რამდენიმე საათში გონზე მოსული და გამოფხიზლებული დარდიმანდი ბრიუსელის ქუჩებში თანამემამულეებს ეძებდა. თანამემამულეები კი ჩასვლისთანავე მოედვნენ იქაურობას. ლუდის ქილებითა და დროშებით შეიარაღებულნი, ისინი საკლუბო სიმღერას მღეროდნენ და „ვესტ ჰემის“ მომავალ გამარჯვებას ნატრობდნენ.

იმავე განწყობით მივიდნენ სტადიონზე, სადაც მათ პოლიციის გაძლიერებული რაზმი და ცალკე გამოყოფილი სექტორი დახვდათ. ბრიტანელები სულ 8 ათასი მოგროვდნენ. „ანდერლეხტის“ ქომაგები კი „ეიზელზე“ 43 ათასი ისხდნენ.

იმ საღამოს სტადიონზე პირველად ჩაირთო განათების ახალი სისტემა, რომელიც საგანგებოდ მოაწყვეს ხარისხიანი ფერადი ტელეგამოსახულების უზრუნველსაყოფად. ასე იყო 5 მაისის მატჩის დაწყებამდე, მანამდე კი...

არასტაბილური თამაშის მიუხედავად, „ვესტ ჰემის“ ფინალში გასვლა მოულოდნელი არავისთვის ყოფილა. ეს გუნდი ერთხელ, 1965 წელს, უკვე ფლობდა თასების თასს. მაშინ მისი ლიდერები შესანიშნავი სამეული — მური, პიტერსი და ჰერსტი იყვნენ. უცნაურია, მაგრამ ლოგიკური: მაშინდელი გამარჯვება „ჩაქუჩების“ დაღმასვლის მიზეზი გახდა. სამეულმა მომდევნო წელს მსოფლიოს ჩემპიონატიც მოიგო და საკლუბო მატჩებისთვის განწყობა გაუჭირდა. ეს ახალგაზრდებზეც ცუდად მოქმედებდა. მენეჯერი რონ გრინვუდი რბილი და ტაქტიანი კაცი გახლდათ და როცა გუნდში ძირეული ცვლილებების დრო დადგა, ის მაინც დინებას მიჰყვებოდა. საბოლოოდ მოსახდენი მაინც მოხდა, ვარსკვლავები გაუშვეს და ახალი გუნდის შენება დაიწყეს. 1976 წლისათვის გრინვუდს გუნდში მუშაობის 16 წელიწადი შეუსრულდა, ოღონდ ამ დროს ის გენერალური მენეჯერის ფუნქციას ასრულებდა. მწვრთნელი კი მისი მეგობარი ჯონ ლაიოლი იყო. ლაიოლი შეუვალი, მტკიცე კაცი ყოფილა და დისციპლინაც მალე დაამყარა. გარდა ამისა, კონსულტანტად მოიწვიეს ასევე გრინვუდის მეგობარი, „ტოტენჰემიდან“ წამოსული ცნობილი მწვრთნელი ბილ ნიკოლსონი. შემადგენლობაში კი ახალი სახელები გამოჩნდა. მათ შორის ბილი ბონდსი, ფრენკ ლამპარდი და ტრევორ ბრუკინგი. ალბათ, გეხსომებათ ეს გვარები, მათ ხომ ხუთი წლის შემდეგ თბილისის „დინამოსთანაც“ ითამაშეს.

ბონდსი გუნდის კაპიტნად აირჩიეს და მას მურის შემცვლელად მიიჩნევდნენ. ბრუკინგი კი „ჩაქუჩების“ ღერძი იყო. ინგლისის ჩემპიონატი მათ კარგად დაიწყეს და პირველ ტურებში ლიდერობდნენ კიდეც, მაგრამ ნელნელა თავქვე დაეშვნენ და ბოლოს ლიგიდან გავარდნას ძლივს გადაურჩნენ.

თასების თასის მერვედფინალში, ერევნის „არარატთან“ შეხვედრის წინ, მათ ბილ ნიკოლსონი დაეხმარა. 1973 წლის უეფას თასზე ნიკოლსონი „ტოტენჰემს“ წვრთნიდა და თბილისის „დინამოს“ მოუგო (1:1, 5:1). ამის მერე სამშობლოში ის საბჭოთა ფეხბურთის სპეციალისტად მონათლეს. „თბილისური ჩანაწერები მოვძებნე, გადავხედე და აზრი კოლეგებს გავუზიარე. ვფიქრობ, ჩემი რჩევები სასიკეთოდ წაადგათ“ — იხსენებდა მერე ნიკოლსონი. ერევანში ინგლისელებმა ფრედ 1:1 ითამაშეს, შინ კი პადონის, რობსონისა და ტეილორის გოლებს სომხებმა ნაზარ პეტროსიანის ერთი ბურთით უპასუხეს.

ყველაზე შთამბეჭდავი მატჩი კი „ჩაქუჩებმა“ ნახევარფინალის განმეორებით რაუნდში ითამაშეს დასავლეთგერმანულ „აინტრახტთან“. სტუმრად 1:2-ის წაგების შემდეგ მათ მინიმალური ანგარიშით მოგებაც ყოფნიდათ. ლონდონელებმა ყველაფრით აჯობეს მოწინააღმდეგეს. ლამაზად და შინაარსიანად ითამაშეს. მიუხედავად ამისა, პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა. მეორეში კი ორჯერ ბრუკინგმა და რობსონმა ბოლო მოუღეს ფრანკფურტელებს. დამთავრებამდე ორი წუთით ადრე გატანილი გერმანელი ბევერუნგენის გოლი კი, მიმომხილველების აზრით, აშკარა თამაშგარედან გავიდა.

„ანდერლეხტს“, იმხანად ბელგიის თექვსმეტგზის ჩემპიონს, შინაურ პირველობაზე არცთუ სახარბიელო მდგომარეობა ჰქონდა. ჩემპიონატი მთავრდებოდა, კლუბი კი სამეულს მიღმა იყო. კარგი თავდასხმის ხაზის მიუხედავად, გუნდურ თამაშში აშკარად მოიკოჭლებდა. ბელგიელი ჟურნალისტები აღნიშნავდნენ, რომ ბრიუსელელები ხშირად აჭიანურებდნენ დაცვიდან შეტევაში გადასვლას და ამით მოწინააღმდეგეს ამოცანას უადვილებდნენ. არადა, „ანდერლეხტს“ რამდენიმე მართლაც ევროპული კლასის მოთამაშე ჰყავდა: კოეკი, ვერკოტერენი, ვან დერ ელსტი და ორი შესანიშნავი ჰოლანდიელი, არი ჰაანი და რობი რენსენბრინკი.

ტურნირის საუკეთესო მატჩები მათაც ნახევარფინალში ითამაშეს აღმოსავლეთგერმანულ „ზაქსერინგთან“. თუ მანამდე 6 მატჩში 7 ბურთი გაიტანეს, გერმანელებს ორში ხუთჯერ დააწყებინეს ცენტრიდან და ეს მაშინ, როცა „ზაქსერინგს“ საკმაოდ კარგი დაცვა და კიდევ უკეთესი მეკარე, გდრ-ის ნაკრების კარის დარაჯი კროი ჰყავდა.

„ანდერლეხტი“ ფინალს შინ თამაშობს და ეს მას დამატებით უპირატესობას აძლევსო, ამტკიცებდნენ მიმომხილველები. თუმცა, „ვესტ ჰემის“ მწვრთნელი ლაიოლი ასე არ ფიქრობდა: ყველა ჩემი მოთამაშე ჯანმრთელია. შემადგენლობას სურვილისამებრ ვირჩევ და მინდორს არანაირი მნიშვნელობა არ აქვსო.

ბელგიელებს საკუთარი პრობლემები ჰქონდათ. ექვსი წლის წინათ, 1970-ში, „ანდერლეხტმა“ ბაზრობათა თასის ფინალში წააგო ლონდონის „არსენალთან“ და მას შემდეგ „ინგლისური კომპლექსი“ შეჰყროდა. შინაური ჩემპიონატის ბოლო ტურში მძიმე ტრავმა მიიღო საუკეთესო მცველმა ვან დენ დეილმა. ბრიუსელელთა მწვრთნელ ჰანს კრუნის თქმით, კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის თამაში იყო სათუო.

კრუნის შეშფოთება თითქოს მართლდებოდა კიდეც. მე-10 წუთზე ბრუკინგის დარტყმა ხარიხას მოხვდა, შემდეგ კი ჰოლანდმა გახსნა ანგარიში. ამ დროს მოულოდნელი რამ მოხდა. გაშვებულმა ბურთმა ბელგიელები დააწყნარა და მათ შეუტიეს. ლაიოლს რამდენჯერმე ჰქონდა ნათქვამი, ყველაფერს გავაკეთებთ და „ანდერლეხტის“ საუკეთესო თავდამსხმელ რენსენბრინკს ფეხს არ გავანძრევინებთო, მაგრამ შეცდა. ტაიმის მიწურულს სწორედ რენსენბრინკმა გაათანაბრა და ამით ბელგიელები შეირიგა. საქმე ისაა, რომ ფინალამდე კვირით ადრე, ჰოლანდია — ბელგიის ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალურ მატჩში, რენსენბრინკმა სამჯერ გაუტანა მოწინააღმდეგეს.

მეორე ნახევარში ისევ რენსენბრინკმა და ვან დერ ელსტმა მოუღეს ბოლო ინგლისელებს. დამთავრებამდე 16 წუთით ადრე ტაბლოზე 2:2 ენთო. ამ დროს რენსენბრინკი უსწრაფესად შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში, მცველები დაიბნენ და ჰოლანდიელის წაქცევის მეტი ვერაფერი მოიფიქრეს. პენალტი თავად დაზარალებულმა გაიტანა. 88-ზე კი ვან დერ ელსტმა საბოლოო წერტილი დაუსვა შეხვედრას. 4:2 და „ანდერლეხტი“ პირველი ბელგიური გუნდი გახდა, რომელმაც ევროთასის მოგება შეძლო.

„ბრიტანული კომპლექსი დაძლეულია“ — წერდნენ მეორე დღეს იქაური გაზეთები. ჯონ ლაიოლმა თქვა: „მართალია, დამარცხება ყოველთვის დასანანია, მაგრამ ფაქტია, მეტოქემ ჩინებულად ითამაშა. რენსენბრინკი დიდი ფეხბურთელია. ჩვენ მისი შეჩერება ვერ შევძელით. პენალტიც სამართლიანად დაგვინიშნეს. საერთოდ კი ფინალი ლამაზი და უხვგოლიანი გამოვიდა. ასეთი სანახაობა ყოველთვის უყვარს მაყურებელს“.

ჰანს კრუნი თავისი გუნდით ამაყობდა: „ჩვენ ევროპული კლასის ფეხბურთი ვითამაშეთ. სასიამოვნოა, რომ დაძაბულ მატჩში ასე ლამაზად გავიმარჯვეთ. „ანდერლეხტი“ დღეს კონტინენტის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. თანაც ეს მაქსიმუმი არ არის“.

კრუნი მართალი იყო. მომდევნო ორ წელიწადში „ანდერლეხტი“ კიდევ ორჯერ გავიდა თასთა თასის ფინალში და ერთხელ კიდევ შეძლო თასის ბრიუსელში ჩატანა. ოღონდ ახალი სეზონიდან მწვრთნელის პოსტი კრუნის ნაცვლად ცნობილმა რაიმონდ გუტალსმა დაიკავა.







ფინალის 73-ე წუთზე რენსენბრინკი დიდი სისწრაფით შეიჭრა ვესტ ჰემის საჯარიმოში, დაბნეულმა მცველებმა წააქციეს და პენალტიც თავად გაიტანა

### პირველი წრე

არარატი (სსრკ) — ანორთოსისი (ფამაგუსტა, კვიპროსი) 9:0, 1:1 (ნიქოზია); ბაზელი (შვეიცარია) — ატლეტიკო (ესპანეთი) 1:2, 1:1; ბეშიქთაში (თურქეთი) — ფიორენტინა (იტალია) 0:3, 0:3; ბორაცი (იუგოსლავია) — უნიონი (ლუქსემბურგი) 9:0, 5:1 (ეში); აინტრახტი (გფრ) — კოლრეინი (ჩრდ. ირლანდია) 5:1, 6:2; ჰალადაში (უნგრეთი) — ვალეტა (მალტა) 7:0, 1:1 (გცირა); ჰოუმ ფარმი (ირლანდია) — ლანსი (საფრანგეთი) 1:1, 0:6; რეიპასი (ლახტი, ფინეთი) — ვესტ ჰემი (ინგლისი) 2:2 (ჰელსინკი), 0:3; პანათინაიკოსი (ათენი, საბერძნეთი) — ზაქსერინგი (გდრ) 0:0 (პეტრასი), 0:2; რაპიდი (რუმინეთი) — ანდერლეხტი (ბელგია) 1:0, 0:2; სპარტაკი (ტრნავა, ჩეხოსლოვაკია) — ბოავიშტა (პორტუგალია) 0:0, 0:3; სკეიდი (ნორვეგია) — სტალი (პოლონეთი) 1:4, 0:4; შტურმი (ავსტრია) — სლავია (ბულგარეთი) 3:1, 0:1; ვალიური (ისლანდია) — სელტიკი (შოტლანდია) 0:2, 0:7; ვაილე (დანია) — დენ ჰააგი (ჰოლანდია) 0:2, 0:2; რეძსჰემი (უელსი) — იურგორდენი (შვედეთი) 2:1, 1:1

### მერვედფინალი

ანდერლეხტი — ბორაცი 3:0, 0:1; არარატი — ვესტ ჰემი 1:1, 1:3; ატლეტიკო — აინტრახტი 1:2, 0:1; ბოავიშტა — სელტიკი 0:0, 1:3; დენ ჰააგი — ლანსი 3:2, 3:1; ფიორენტინა — ზაქსერინგი 1:0, 0:1 პენ 4:5; შტურმი — ჰალადაში 2:0, 1:1; რეძსჰემი — სტალი 2:0, 1:1;

### მეოთხედფინალი

ანდერლეხტი — რექსჰემი 1:0 (ვან ბინსტი), 1:1 (რენსენბრინკი; ლი)

სელტიკი — ზაქსერინგი 1:1 (დალგლიში; ბლანკე), 0:1 (ბლანკე)

დენ ჰააგი — ვესტ ჰემი 4:2 (მანსფელდი 3, შოინმეკერი; ჯენინგსი 2), 1:3 (შოინმეკერი; ა. ტეილორი, ლამპარდი, ბონდსი)

შტურმი — აინტრახტი 0:2 (ჰოლცენბაინი, ვენცელი), 0:1 (ჰოლცენბაინი)

### ნახევარფინალი

აინტრახტი — ვესტ ჰემი 2:1 (ნოიბერგერი, კრაუსი; პადონი), 1:3 (ბეიერლორცერი; ბრუკინგი 2, კ. რობსონი)

ზაქსერინგი — ანდერლეხტი 0:3 (ფ. ვან დერ ელსტი 2, რენსენბრინკი), 0:2 (რენსენბრინკი, ფ. ვან დერ ელსტი)

**ფინალი. ბრიუსელი. 5 მაისი. 51 296 მაყურებელი**

**ანდერლეხტი 4:2 ვესტ ჰემი**

0:1 ჰოლანდი (27), 1:1 რენსენბრინკი (43), 2:1 ფ. ვან დერ ელსტი (48), 2:2 კ. რობსონი (68), 3:2 რენსენბრინკი (73, პენ), 4:2 ფ. ვან დერ ელსტი (87)

ანდერლეხტი: რიუტერი, ლომე, ბროოსი, ვან ბინსტი, ტისენი, დოკსი, კოეკი (ვერკოტერენი 64), ფ. ვან დერ ელსტი, რესელი, ჰაანი, რენსენბრინკი

ვესტ ჰემი: დეი, კოულმენი, ბონდსი, ტ. ტეილორი, ლამპარდი (ა. ტეილორი 46), მაკდოუელი, ბრუკინგი, პადონი, ჰოლანდი, ჯენინგსი, კ. რობსონი

მსაჯი: ვურტსი (საფრანგეთი)

**8 აპრილი თბილისი ვერის ბაღი — 25 ტური**

**შევარდენი 51:77 სდასუ**

I ტაიმი 34:44
შევარდენი: გაგნიძე (6), მეხსი (29), მოისწრაფიშვილი (4), ოქრიაშვილი (3), ლვინეფაძე (5); ტაბატაძე (4)
სდასუ: ორჯონიკიძე (3), ჩხეიძე (11), გიგაური (10), ქევხიშვილი (10), ხარაძე (12); თორთლაძე (3), უძილაური (10), არჩვაძე (16), აბულაძე (2)
მსაჯები: ნოდარ დარახველიძე, ზაზა მაჩალაძე
დელეგატი: აკაკი მეგრელაძე

**8 აპრილი თბილისი ვერის ბაღი — 25 ტური**

**ვითა 92:72 კოლხა**

I ტაიმი 40:35
ვითა: ტურაშვილი (14), აბრამიძე (11), კოკოლიშვილი (20), ჩუბინიძე (6), კორძაძე (11); ტ. ვაშაკიძე (6), ჭირაქაძე (2), ახალკაცი (14), უსტიაშვილი (8)
კოლხა: ბერიშვილი (3), თოდუა (3), ქარუმიძე (10), კეიდია (21), უგრეხელიძე (16); არველაძე (7), ჟლენტი (3), ლ. ვაშაკიძე (9)
მსაჯები: როლანდ ხომერიკი, ზაზა მაჩალაძე
დელეგატი: ნოდარ დარახველიძე

**8 აპრილი თბილისი ვერის ბაღი — 25 ტური**

**ასკ 65:91 თსუ**

I ტაიმი 23:50
ასკ: ნოზაძე (11), ქართველიშვილი (3), აკოლაშვილი (19), გელაშვილი (8), ნუცუბიძე (16); პაპასკირი (2), ნათაძე, ალავიძე (6)
თსუ: ვეფხვაძე (2), ნონელია (4), მარკოიშვილი (11), ქარაბაკი (16), ხელაშვილი (9); არსიაშვილი (11), მშვილდაძე, მგალობლიშვილი (19), დოლიძე (2), ქარჩავა (2), დიმიტრიადი (12), თაბუაშვილი (3)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, როლანდ ხომერიკი
დელეგატი: აკაკი მეგრელაძე

**8 აპრილი თბილისი ვერის ბაღი — 25 ტური**

**მაკაბი 57:81 დინამო**

I ტაიმი 33:31
მაკაბი: დ. ბერიშვილი (11), ი. ბერიშვილი (16), მჭედლიშვილი (6), ლასარეიშვილი (5), ფერიაშვილი (15); ხუხაშვილი, ნაცვლიშვილი (4)
დინამო: ნიკოლაძე (20), ხოშტარია (8), მაისურაძე (9), შანიძე (2), სანიკიძე (8); ხეცურიანი (8), ყველაშვილი (8), კილაძე (18)
მსაჯები: თენგიზ ქიქოძე, ლაშა თოიძე
დელეგატი: ნოდარ დარახველიძე

**8 აპრილი თბილისი ვერის ბაღი — 25 ტური**

**სტუ 92:100 აზოტი**

I ტაიმი 44:51
სტუ: ჩერქეზიშვილი (22), მიქაძე, ნაცვლიშვილი (18), ცქიტიშვილი (9), ოთიურიძე (15); სუხიშვილი (2), მოისწრაფიშვილი, გაგნიძე (3), ლოსაბერიძე (15), მინაშვილი (5), ცხვედიანი (3)
აზოტი: ჟლენტი (18), გაბისონია (5), გოგობერიშვილი (30), ბაბიაშვილი (2), ჯაფარიძე (31); ბერუაშვილი (14), გოგოლაძე, კოჭლამაზაშვილი
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, თენგიზ ქიქოძე
დელეგატი: აკაკი მეგრელაძე

# ახალგაზრდა მსაჯებმა მძიმე ტვირთი ვეტერანებს წამოკიდეს

## სტუ-ს საკუთარი წუთშესვენება წაგებად დაუჯდა



ვითა — კოლხა. ვითელ დავით უსტიაშვილს (თეთრი ფორმით) კოლხელებმა ბურთი დააგდებინეს

ბუჩუკა ფოლადაშვილის ფოტო

საკალათბურთო ჩემპიონატის ტურები, ბოლო ხანს მხოლოდ შაბათ-კვირაობით წყვილ-წყვილად რომ იმართება, ამჯერად სააღდგომო დღესასწაულის გამო დაკენტდა და გულშემატკივარსაც უქმეების ნაცვლად რიგით სამუშაო დღეს მოუწია ვერის ბაღში შემოვლამ. ვერ გეტყვით, ვინ რა შთაბეჭდილებით დატოვა ამ მართლაც კოლორიტული ბაღის სანახები, მაგრამ ვეჭვობ, გუშინდელი თამაშების შემყურე ქომაგთ კალათბურთით გული ეჯერებინათ.

სიმართლე გითხრათ, უკეთესს თავადაც არ ველოდი. ამ ტურში ხომ, თუ არ ჩავთვლით სტუ — „აზოტის“ შეხვედრას, ლიდერები აუტსაიდერებს ეთამაშებოდნენ და აკი წინასამატჩო ანონსშიც ვთქვით, სასწაული, ალბათ, არ მოხდებაო.

სასწაული არც მომხდარა. ჩვენგან ფავორიტად მიჩნეულმა გუნდებმა, რომ იტყვიან, ცალი ხელით მოუმთავრეს საქმე მოწინააღმდეგეებს, თუმცა ნუ გაგიკვირდებათ და, მთავარი ეს არ გახლავთ. არც ისაა მთავარი, რასაც ქვემოთ ვიტყვი, მაგრამ თვითონ ფაქტი ჩვენს ისედაც გავერანებულ ჩემპიონატს კიდევ უფრო აკნინებს და მეტიც, სასაცილოს ხდის:

მსაჯებზე მოგახსენებთ. ფედერაციას თუ მსაჯთა კოლეგიას (მაყურებლისთვის და გუნდებისთვის მნიშვნელობა არა აქვს რომელს) ისე გაუჭირდა, რომ იმგვარ სარისკო და სახლაფორთო საქმეში (მით უფრო ჩვენში), როგორიც მსაჯობაა, გუშინდელიდან უკვე საპენსიო ასაკს გადაცილებული ხალხიც ჩართო. დარახველიძე და ქიქოძე ნუ მიწყენენ (მსაჯები თუ არ გვყავს, მათი რა ბრალია) და, ალბათ, ის დროა, ეს ღვაწლმოსილნი შვილთაშვილებში თუ არა, შვილიშვილებში მაინც იფურჩქნებოდნენ. ამ ჭაღაროსნების სირბილი და ქანცგაწყვეტა კი იმათ სინდისზე იყოს, ვინც მათ ცოდვაში ჩადგა ფეხი.

ჰოდა, რაღა გასაკვირია, რომ მსაჯი, რომელსაც არც მუხლი ერჩის ძველებურად და არც თვალი უჭრის ნორმალურად, ვერც თამაშს განსჯის. მოთამაშეებსაც და მწვრთნელებსაც ხომ მოამდურებინეს ხნიერნი და, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ გუშინდელ მატჩებზე გამწესებული მსაჯთა კორპუსის ახალგაზრდა წარმომადგენლები უბრალოდ არ გამოცხადდნენ. კითხვაზე, თუ სად ბრძანდებოდნენ აბაშიძე, მოლოდინაშვილი და იანქოშვილი, ვერავინ გვიპასუხა. აი, ბერეკაშვილზე კი თქვეს, პირველ ლიგაში მოასპარეზე აჭარის გუნდმა თურქეთში იახლა, საწვრთნელ შეკრებაზეო (?!). მოკლედ, რას აღარ გაიგებს კაცი...

ამაზე გვეყო, ახლა თამაშებს მივყვეთ, ტურის ცენტრალური მატჩი სტუ — „აზოტი“ კი ჩაროზად შემოვინახოთ.

უმაღლესი ლიგიდან გასავარდნად განწირულ „შევარდენთან“ სდასუ-ს თავი დიდად არ მოუკლავს. სტუდენტებს ოჯახური პირობების გამო მაჭარაძე და გიგაშვილი აკლდათ. შევარდენებს კი სიცხიანი კაზანჯიანი. მწვრთნელმა კანდელაკმა სდასუ-ს წამყვანი კალათბურთელები — თორთლაძე და უძილაური გვარიანად დაასვენა, თუმცა უამათოდაც არაფერი გასჭირვებიათ — ტაიმი ათი ქულით მოიგეს, საბოლოოდ კი...

კეიდიას „თამადობით“ „კოლხა“ ერთხანს მედგრად დაუხვდა „ვითას“ და მეხუთე წუთისთვის სოხუმელები იგებდნენ კიდეც. დავითულიანის გარეშე მოთამაშე ჩემპიონებმა მალე უპირატესობა მოიპოვეს, თუმცა მეტოქესაც არ ზღუდავდნენ მაინცდამაინც. „ვითამ“ მოწინააღმდეგის თვალშისაცემად ჩამოტოვება მეორე ნახევრისთვის გადადო და საწადელიც უპრობლემოდ აისრულა.

თსუ-ს ბდღვნად არ ეყო „ჯარის გუნდი“. ასკ-ს ვერც მწვრთნელის გამოცვლამ უშველა. ვაჟა ჭოტაშვილის ბიჭები ძალიან უსუსურად გამოიყურებოდნენ და პირველ ტაიმშივე ოცდაშვიდი ქულით ჩამორჩნენ ნაავადმყოფარ ქარაბაკშემატებულ თსუ-ს. ამ უკანასკნელთაგან ქარაბაკის გარდა მგალობლიშვილმა და დიმიტრიადიმ გამოიდეს თავი.

თავის მხრივ „დინამომაც“ ადვილად მოიგო, თუმცა თავიდან ვერაფრით ააწყო თამაში და მოულოდნელად ტაიმი დათმო კიდეც. შესვენების შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა — კილაძის მოედანზე გამოჩენამ თანაგუნდელებსაც ფრთები შეასხა და მხოლოდ ტყუპი ბერიშვილების და ფერიაშვილის იმედზე მყოფ „მაკაბისაც“ ისღა დარჩენოდა, განზე გამდგარიყო.

დაბოლოს, სტუ — „აზოტი“. დაძაბული თამაში გამოდგა. ინტერესი ბოლომდე არ მოჰკლებია, ეგ არის, ხშირად მსაჯები სცოდავდნენ, რაც ხან ერთი გუნდის აღშფოთებას იწვევდა, ხანაც მეორისას.

თავიდან ჟლენტმა და ნაცვლიშვილმა გაცვალეს შეტევები. შემდეგ ჯაფარიძემ და ცქიტიშვილმა ივარგეს და თამაშიც გაიხსნა. სტუ მეტად აქტიურობდა, განსაკუთრებით ნაცვლიშვილი და ცქიტიშვილი, რომელთაც რუსთაველები ძნელად უმკლავდებოდნენ. ვფიქრობ, აზოტელებმა არასწორად გაინაწილეს სამეურვეონი, რაც სტუ-ს მწვრთნელმა თამაზ ოქრუაშვილმა სათავისოდ გამოიყენა. ცქიტიშვილის მაღლა ამოწევით მან ჯაფარიძე გამოიტყუა ფარიდან, სამაგიეროდ, შიგნით შეწია ნაცვლიშვილი, რითაც გოგობერიშვილი მოაცილა უკანა ხაზს. შედეგმაც არ დაახანა — სტუდენტობა წინ გაიჭრა და ვინ იცის, რა მოხდებოდა, ოქრუაშვილის კოლეგას, ხმელიძეს რომ არ ემარჯვა — პერსონალური დაცვა ზონურზე გადააწყო.

რუსთაველები უმალ გამოცოცხლდნენ. შუაგული ტაიმისთვის ჯაფარიძემ „იფეთქა“ — ჯერ გულისმოსაფხანი ჩატენა და ამას სამიანიც მიაყოლა. წუთის შემდეგ გოგობერიშვილი გახელდა და რამაზმაც თანაგუნდელის მსგავსად ზუსტ ორქულიანს სამიანიც დაურთო. ცხრა ქულით წინ გასული აზოტელების წინააღმდეგ ოქრუაშვილმა ახალ ძალებს უხმო. შეცვლაზე შემოსულებმა თავი არ შეირცხვინეს, მაგრამ მეტოქის ბანაკში ბერუაშვილი გამოჩნდა და სწორედ მისი ნასროლის შემდეგ ახლა ათქულიანი სხვაობა დაფიქსირდა ტაბლოზე 42:32 — წინ „აზოტია“.

ტაიმის ბოლოს მოთამაშეები საგრძნობლად გაუხეშდნენ, ორივე მხარეს ჯარიმებმა იმატა, პერსონალურებში კი სტუ-მ მეტად იმარჯვა და შესვენების შემდეგ მეტოქესთან შვიდი ქულა-ღა აშორებდა.

მეორე ნახევარი სტუ-მ ისე დაიწყო, მათ დამარცხებას ძნელადღა თუ იფიქრებდა ვინმე. გუნდს ყველაფერი გამოსდიოდა — ნიკო ჩერქეზიშვილი სამიანებით (ზედიზედ ოთხი ჩააგდო) ბომბავდა „აზოტის“ კალათს, ლოსაბერიძე და ოთიურიძეც რიგრიგობით აწიოკებდნენ მეტოქეს.

ვიცე-ჩემპიონები ამას არ ელოდნენ. დაიბნენ და ნერვიულობა დაიწყეს, რითაც სახეირო ვერაფერი მოიმკეს. ექვს წუთში მხოლოდ ოთხი ქულა გაახერხეს, როცა სტუდენტებს პირველი ტაიმის მონაგარისთვის ოცი მიემატებინათ. ახლა უკვე სტუ იგებს ათ ქულას 66:56 და წინაც ჯიქურ მიიწევს. ორ წუთში სხვაობამ თოთხმეტ ქულასაც მიაღწია.

აი, აქ კი საბედისწერო შეცდომა დაუშვა თამაზ ოქრუაშვილმა. ყოვლად უსარგებლო წუთშესვენება ითხოვა, რაც ხმელიძემ თავისი შეგირდების დასაშოშმინებლად და დასარიგებლად გამოიყენა. აზოტელები მიხვდნენ, რომ ნერვიულობით და აჩქარებით ვერას გახდებოდნენ, დამშვიდდნენ და მრავალსვლიანი, მეთოდური კომბინაციების ხლართვას მიჰყვეს ხელი. ჯაფარიძის სამიანს მოგვიანებით გაბისონიამაც ამნაირი შეაწია და მატჩის დამთავრებამდე შვიდი წუთით ადრე წონასწორობაც აღდგა 78:78.

შემდეგ ერთხანს ქულა-ქულაზე გაჩაღდა, მაგრამ როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ეს სტუ-ს მაქსიმუმი იყო. ცვალა და ცვალა ოქრუაშვილმა მოთამაშეები, მაგრამ რად გინდა... თამაშის იშტაზე მოსული გოგობერიშვილის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო.

მერე ვითომ ჯარიმების იმედზე დადგნენ სტუდენტები, ვინძლო რუსთაველებს ნასროლები გაუფუჭდეთო, მაგრამ გოგობერიშვილმა ცივი წყალი გადაასხა მეტოქეს, როცა ექვსი პერსონალურიდან მხოლოდ ერთი ააცილა.

**გიორგი გიქაშვილი**

**საქართველოს ჩემპიონატი — 25 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 25 | 24 | 1 | 2231:1816 | 49 |
| ვითა(-1) | 25 | 19 | 6 | 1791:1545 | 43 |
| სტუ | 25 | 17 | 8 | 2012:1912 | 42 |
| თსუ | 25 | 16 | 9 | 2083:1921 | 41 |
| დინამო | 25 | 16 | 9 | 1940:1868 | 41 |
| სდასუ | 25 | 14 | 11 | 1878:1870 | 39 |
| მაკაბი | 25 | 6 | 19 | 1827:2032 | 31 |
| კოლხა | 25 | 6 | 19 | 1820:2138 | 31 |
| შევარდენი | 25 | 4 | 21 | 1733:2057 | 29 |
| ასკ | 25 | 3 | 22 | 1211:1367 | 28 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



რეგულარული ჩემპიონატი

# რაილი პირად საქმეებს იგვარებს

7 აპრილი

**საკრამენტო 89:104 ლეიკერსი**

**საკრამენტო: ვილიამსონი (22), ვებერი (21 ქულა, 16 მოხსნა, 6 პასი, 5 ჩაჭრა)**

**ლეიკერსი: ონილი (30 ქულა, 18 მოხსნა), ფიშერი (19), ბრაიანტი (18 ქულა, 6 ჩაჭრა)**

წინა დღით საკრამენტო თავდაუზოგავად ებრძოდა „სუპერსონიქსს" სიეტლში და იმ მატჩის ოვერტაიმში მოგების შემდეგ დასავლურ გრანდ ლეიკერსთან ღირსეულად შესარკინებლად ძალა აღარ ეყო. სიეტლის ძლევის შემდეგ მშვენიერ ხასიათზე მყოფი მასპინძლები კი უძალიანდებოდნენ მძლავრ სტუმრებს და პირველი მეოთხედი 9 ქულითაც მოუგეს, მაგრამ შემდეგ ლეიკერსმა შავი დღე აყარა ამბიციურ, მაგრამ მასზე დაბლა მდგომ „კინგზს". მისმა ლიდერმა, დევკაცმა შაკილ ონილმა სეზონში ყველაზე მეტი მოხსნა მიითვალა და აშკარად დაჩაგრა მეტოქე გუნდის ცენტრი და მისი მეურვე ვლადე დივაცი, რომელსაც თავისი ათწლიანი კარიერის პირველი შვიდი წელი სწორედ ლეიკერსში გაუტარებია და მისი ადგილი სასტარტო ხუთეულში სწორედ ონილმა დაიკავა. ლეიკერსს თუ ვინმე უწევდა წინააღმდეგობას, ეს კრის ვებერი გახლდათ, ვინც თანაგუნდელი დივაცის ჯავრი მეტოქე დენის როდმანზე იყარა და გადარეული, მაგრამ მოხსნებში უბადლო თავჭრელა დენისი (8 მოხსნა) დაჩაგრა. საბოლოოდ ვებერის თავგამოდებამ ბევრი ვერაფერი შედეგი გამოიღო და საკრამენტო ამ სეზონში ლეიკერსის ორჯერ გაბითურების შემდეგ პირველად დამარცხდა.

**ფინიქსი 90:82 მინესოტა**

**ფინიქსი: რობინსონი (27 ქულა, 5 დაფარება, 5 ჩაჭრა)**

**მინესოტა: გარნეტი (19 ქულა, 13 მოხსნა)**

ამ შეხვედრაში მინესოტამ ტრავმის გამო მოისაკლისა ძირითადი გამთამაშებელი ტერელ ბრენტონი, მაგრამ ფინიქსს ბოლო რამდენიმე თამაშია, მუხლმტკივანი პირველი ბომბარდირი ტომ გულიოტა აკლია. მისი ადგილი კლიფ რობინსონმა დაიკავა. სწორედ ეს უკანასკნელი წარუძღვა ფინიქსელთა მაღლებს და მათაც შავი დღე აყარეს მინესოტელ მეტოქეებს, რომელთა შორისაც ეულად იბრძოდა წინა კვირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებული კევინ გარნეტი. ფინიქსი თავიდანვე დაწინაურდა და ცოცხალი თავით არ დაუთმო პირველობა მასპინძლებს. ამ გამარჯვებით კი წყნარი ოკეანის დივიზიონის ცხრილში მესამე ადგილზე აინაცვლა და იქიდან სტეფანიას გუნდი — სიეტლი გადმოაბრძანა.

**ჩიკაგო 74:91 ინდიანა**

**ჩიკაგო: სიმპკინსი (13)**

**ინდიანა: ჯექსონი (13)**

„ინდიანა პეისერზს", მას შემდეგ, რაც შარშან აღმოსავლეთის ფინალში, შემდგომ ლიგის ფინალში გამარჯვებულ „ჩიკაგო ბულზთან" დამარცხდა, მის დარბაზ „იუნაიტედ სენთერში" არ ეთამაშა. ახლა კი ჩავიდა და უსამველოდ დაჩიავებული ჩემპიონი ისე დაამარცხა, თავისი სიძლიერე ეჭვქვეშ არ დაუყენებია. ცენტრალური დივიზიონის ლიდერის სტუმრობამ ამავე დივიზიონში უსუსტეს ჩიკაგოში იქაური ამბიციური და მრავალი დიდი გამარჯვების მნახველი გულშემატკივარი ძალიან დააინტერესა — 22 ათას კაცზე მეტი შეკრიბა. ისინი თავიდან დანანებით იხსენებდნენ ძველ, კეთილ დროს, შემდეგ კი თავის ვითომ კერპთა საცოდაობის შემყურეებმა „ხარების" ლანძღვაგინებით მოიოხეს გული.

**მილუოკი 99:91 კლივლენდი**

**მილუოკი: რობინსონი (33)**

**კლივლენდი: კემპი (23 ქულა, 10 მოხსნა)**

ორივე გუნდი — კლივლენდიცა და მილუოკიც — პლეი ოფში მოსახვედრად აღმოსავლეთში აგრერიგად გალვივებული ბრძოლის ორომტრიალშია ჩართული. ეს ბრძოლა ჯერჯერობით მილუოკის უფრო კარგად გამოსდის, ვიდრე კლივლენდს, თუმცა არც ამას აქვს მაინცდამაინც ურიგო შანსები. ეს შეხვედრაც მეტად დაძაბული და უკომპრომისო გამოდგა და ყველაფერი მასპინძელმა ფრთამ, გლენ რობინსონმა გადაწყვიტა. მან მატჩში სამიდან სამი სამქულიანი და ექვსიდან ექვსი საჯარიმო ჩააგდო, სულ სეზონში სარეკორდო, 33 ქულა შეაგროვა. რობინსონი განსაკუთრებით კარგად ბოლო მეოთხედში გაისარჯა — ანგარიში 71:71 იყო, როცა მილუოკელმა ზედიზედ 10 ქულა მიითვალა და ესოდენ მონდომებული მასპინძლები დაამწუხრა.

**მაიამი 93:87 დალასი**

**მაიამი: ბრაუნი (23), ჰარდევეი (19 ქულა, 9 პასი)**

**დალასი: ტრენტი (27 ქულა, 13 მოხსნა), ფინლი (26)**

პატ რაილი დიდი მწვრთნელია. უფრო მეტიც, მასზე უკეთესი ლიგის ისტორიაში ერთი-ორი თუ ყოფილა. „დალასთან" მოგებით რაილიმ 936-ე გამარჯვება მიითვალა, გადაასწრო დიკ მოტას და ყველა დროის მწვრთნელებში მეოთხე ადგილზე აღზევდა. ამასთანავე რაილის, რომელსაც თამაშების 70 პროცენტზე მეტი მოუგია, სულ სამი გამარჯვებაღა აკლია, რომ 60-იანი წლების დიადი ბოსტონის დიადი მწვრთნელი, რედ აუერბახი ჩამოიტოვოს, რაც, ალბათ, ორიოდე დღის საქმეა.

**ბოსტონი 108:87 ვაშინგტონი**

**ბოსტონი: პირსი (23)**

**ვაშინგტონი: რიჩმონდი (19)**

ამ გუნდებიდან არც ერთს არ აწუხებს პლეი ოფში მოხვედრის ფიქრი, თუმცა მოგება მაინც პრესტიჟის საქმეა... მისთვის ბრძოლაა საჭირო. ვაშინგტონიც იბრძოდა, მაგრამ ამაოდ. ბოლო მეოთხედის 16:27 წაგების შემდეგ, რაც ძირითადად ბოსტონის ბოლო ჟამს მოცოცხლებული ახალბედის, პოლ პირსის დამსახურებაა, ყველაფერი გადაწყდა. ვაშინგტონის ახალმა მწვრთნელმა ჯიმ ბროველიმ თავისი მეორე მატჩიც წააგო.

**შარლოტი 106:82 ნიუ იორკი**

**შარლოტი: ვესლი (24)**

**ნიუ იორკი: იუინგი (17)**

ნიუ იორკი უკვე პირველი მეოთხედის შემდეგ 12:29 აგებდა და მერე მთელ თამაშში ამაოდ ცდილობდა, მატჩის ბედი შეეტრიალებინა. ამ წაგებით ნიუ იორკი აღმოსავლეთის გუნდთა შორის მისთვის სამარცხვინო მეათე ადგილამდე ჩამოქვეითდა და ახლა რაც შეიძლება მეტი მატჩის მოგება მართებს, თუ სურს, აღმოსავლეთში ესოდენ მომრავლებული საშუალო გუნდების მძაფრი კონკურენცია დაძლიოს და პლეი ოფში მოხვდეს.

**ვანკუვერი 84:87 დენვერი**

**ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (25)**

**დენვერი: მაკდაიესი (24 ქულა, 15 მოხსნა), ვან ექსელი (21)**

შეხვედრის ბედი პატარა დენვერელმა ნიკ ვან ექსელმა გადაწყვიტა, როცა ბოლო მეოთხედში 11 ქულა ჩაუგდო ვანკუვერს, რომელსაც საკუთარ კედლებში გამარჯვებაც სანატრელი გახდომია.

**ნიუ ჯერსი 92:96 ფილადელფია**

**ნიუ ჯერსი: ვან ჰორნი (28), მარბერი (18 ქულა, 12 პასი)**

**ფილადელფია: აივერსონი (23)**

სანამ მეტოქე გუნდების ლიდერები — ალენ აივერსონი და სტივენ მარბერი ერთმანეთს ეტოქებოდნენ, ფილადელფიელმა ერიკ სნოუმ (10 ქულა) დრო იხელთა და მისმა გადამწყვეტმა ბურთებმა სტუმრები ახეირა.

**დეტროიტი 89:82 ატლანტა**

**დეტროიტი: ჰილი (30)**

**ატლანტა: მუტომბო (14 ქულა, 19 მოხსნა)**

დეტროიტელმა სუპერფრთა გრანტ ჰილმა, რომელსაც ბოლო ხანს ცოტაოდენი სიზარმაცე მორევია, ძველებური ბურთაობა გაიხსენა და ამაოდ მებრძოლ ატლანტას ბოლო 12 წუთში 15 ქულა ჩაუგდო.

**ირაკლი ფირაშვილი**

REUTERS მაიამიდან




მაიამი — დალასი. პი ჯეი ბრაუნმა (თეთრ ფორმაში) ჩაუტენა დალასელებს შონ ბრედლის (№44) და ჰუბერტ დევისს (№24)

AP სიეტლიდან



სიეტლი — საკრამენტო. ვლადიმერ სტეფანიამ საკრამენტოელი ლორენს ფანდერბურკი არ გაატარა

## ექსპერტი სტეფანიას შესახებ

„სიეტლ სუპერსონიქსის" თხოვნით, საკალათბურთო ანალიტიკოსმა კევინ კალაბრომ გამოთქვა აზრი რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით. ერთ-ერთ ასეთად „სუპერსონიქსის" ახალბედების ამბავი გახლდათ. კალაბრომ ყველას შეაწია ორიოდ სიტყვა, ჩვენთვის მთავარი კი ვლადიმერ სტეფანიაზე მისი აზრია:

„სტეფანია მრავალფეროვანი, დიდი დიაპაზონის მოთამაშეა. კარგად გრძნობს ბურთს და არ ეშინია სროლის. მას აქვს ძალიან სწრაფი და მეტოქის შეცდომაში შემყვანი პირველი ნაბიჯი. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად ჩინებულად ფლობს „უბურთო ცრუმოძრაობის" ხელოვნებას, არადა, ეს ხელოვნება ნელ-ნელა იკარგება.

სტეფანია შეტევაში უკეთესია. დაცვაში იგი ხანდახან იბნევა. ვერ ვიტყვი, რომ ფიზიკურად ძალიან სუსტია. შრომისმოყვარეა და ყოველი დაცემის შემდეგ უმალ ფეხზე დგება. იგი ძალიან თავდაჯერებულია, საკუთარი ძალების დიდი რწმენა აქვს. მახსოვს, სან ანტონიოს წინააღმდეგ, სიეტლმა ძალისმიერად ითამაშა და ვლადი (სტეფანიას მეტსახელია — რედ.) ძალიან აგრესიული იყო. მას არ ეშინია ფარქვეშ შესვლა. ამ დროს სტეფანიას გამოცდილი მოთამაშის მოძრაობები აქვს.

დარწმუნებული ვარ, ლიგაში ამ წელს რომ არ მოსულიყო, გაისად ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის დრაფტის პირველი ნომერი იქნებოდა. იმისთანას ვერავის ვხედავ, ვინც სტეფანიას ამაში შეეცილებოდა. არ დავივიწყოთ, რომ ვლადი მხოლოდ 22 წლისაა და ერთნაირი სიძლიერით თამაშობს თავდამსხმელადაც და ცენტრადაც".

### სატურნირო ვითარება

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| ატლანტიკის დივიზიონი | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| ორლანდო | 26 | 10 | 72,2 |
| მაიამი | 22 | 11 | 66,7 |
| ფილადელფია | 18 | 16 | 52,9 |
| ნიუ იორკი | 18 | 17 | 51,2 |
| ვაშინგტონი | 13 | 21 | 38,2 |
| ბოსტონი | 11 | 22 | 33,3 |
| ნიუ ჯერსი | 9 | 25 | 26,5 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 24 | 11 | 68,6 |
| ატლანტა | 22 | 14 | 61,1 |
| დეტროიტი | 21 | 14 | 60,0 |
| მილუოკი | 20 | 14 | 58,8 |
| ტორონტო | 18 | 15 | 54,5 |
| კლივლენდი | 17 | 16 | 51,5 |
| შარლოტი | 13 | 20 | 39,4 |
| ჩიკაგო | 10 | 25 | 28,6 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| შუა დასავლეთის დივიზიონი | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| იუტა | 24 | 8 | 75,0 |
| სან ანტონიო | 23 | 10 | 69,7 |
| ჰიუსტონი | 23 | 11 | 67,6 |
| მინესოტა | 20 | 14 | 58,8 |
| დალასი | 11 | 24 | 31,4 |
| დენვერი | 11 | 25 | 30,6 |
| ვანკუვერი | 6 | 29 | 17,1 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| პორტლენდი | 27 | 6 | 81,8 |
| ლეიკერსი | 24 | 13 | 64,9 |
| ფინიქსი | 17 | 18 | 48,6 |
| სიეტლი | 16 | 17 | 48,5 |
| საკრამენტო | 15 | 20 | 42,9 |
| გოლდენ სტეიტი | 14 | 20 | 41,2 |
| კლიპერსი | 3 | 30 | 9,1 |

# ელიტამ ქართველები არ გაიკარა



დავით კილასონია

**მსოფლიოს თასის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ეროვნული ნაკრების წარუმატებლობის შემდეგ, რაგბის ქართველ გულშემატკივართ ჭაბუკებისა ეიმედებოდათ, რომლებიც უელსში გამართულ მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე ასპარეზობდნენ. სამწუხაროდ, ვერც ჭაბუკებმა ივარგეს, ოთხივე მატჩი წააგეს და უმაღლესი ჯგუფის დატოვება მოუხდათ. არადა, შარშანწინ ჩვენმა მორაგბეებმა C ჯგუფში, შარშან კი B-ში იმარჯვეს და უმაღლეს ჯგუფში თამაშის უფლებაც მოიპოვეს. რა თქმა უნდა, ჭაბუკებისგან თასის მოგებას არავინ ითხოვდა და ვერც შეძლებდნენ. ლაპარაკი მხოლოდ ჯგუფში ადგილის შენარჩუნებაზე იყო, მაგრამ ვერ მოვახერხეთ და თუ რატომ, ეს ჭაბუკთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ დავით კილასონიაზე უკეთ არავინ უწყის:**

— სიმართლე გითხრათ, ჩვენი უმაღლესი ჯგუფიდან გამოვარდნა სავსებით კანონზომიერია. ეს წლეულს თუ არა, გაისად მაინც აუცილებლად მოხდებოდა, რადგან რაგბი ჩვენთან ძალიან ცუდ დღეშია და სასწაული თუ გადაგვარჩენდა. პირველი მატჩი მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონებთან — ირლანდიელებთან გვქონდა. შეხვედრა 48:3 წავაგეთ. მეტოქემ ყველაფერში დაგვჯაბნა — როგორც ფიზიკურად, ასევე ტაქტიკურად და ტექნიკურად. შემდეგ ჩილელებს ვეთამაშებოდით. მანამდე იტალია-ჩილეს მატჩის ვიდეოფირი მოვიპოვეთ. შევისწავლეთ სამხრეთამერიკელების თამაშის სტილი. ძირითადი აქცენტი სწორედ ამ შეხვედრაზე გადავიტანეთ. დიდი იმედი გვქონდა, რომ ურჯუკაშვილი დაგვეხმარებოდა, მაგრამ... მან ხომ ტონგელებთან მატჩში დისკვალიფიკაცია მიიღო. არადა, მახო რომ ყოფილიყო, ჩილეს დავამარცხებდით. ძალიან მძიმე თამაში იყო. ორი მეტნაკლებად თანაბარი ძალის გუნდი ხვდებოდა ერთმანეთს. შეიძლებოდა მოგვეგო, თუმცა 7:11 დავმარცხდით. ამის მერე ძალიან რთულ მდგომარეობაში ალმოვჩნდით. შემდეგი მეტოქე უკვე იაპონია გახლდათ. მათ ძალიან ძლიერი ნაკრები ჰყავთ. ჯერ მარტო მორაგბე ბავშვთა რაოდენობის დასახელებაც კმარა, რომ მიხვდეთ — იმ გუნდს ვერ დავამარცხებდით. 13-დან 19 წლამდე ასაკის 46 000 ბავშვი თამაშობს რაგბის იაპონიაში, რომლებიც 600 სპეციალიზებულ სკოლაში ვარჯიშობენ. ძალიან ვაჟკაცურად ითამაშეს ჩვენმა ბიჭებმა, მაგრამ ხომ იცით, ძალა ალმართს ხნავსო. ბოლო მატჩი პოლონელებთან გვქონდა. ის შეხვედრა უკვე არაფერს წყვეტდა, ამიტომაც აქამდე უთამაშებელი მორაგბეებს მივეცით თავის გამოჩენის საშუალება.

**— ოთხივე თამაში წავაგეთ. რა იყო ასეთი წარუმატებლობის მიზეზი?**

— დავიწყოთ იმით, რომ ნორმალურად მომზადების საშუალება არ გვქონდა. უფრო ზუსტად, ნორმალურად კი არა, საერთოდ ვერ მოვემზადეთ. პოლონელებთან მატჩის დროს ძალიან ცუდი ამინდი იყო, წვიმდა, ნიადაგი დამძიმდა. ჩვენს ბიჭებს კი არა აქვთ ასეთ ამინდში თამაშის გამოცდილება, საერთოდ ველარ ინძრევიან. ასეთ პირობებში არც უვარჯიშიათ, უბრალოდ იმიტომ, რომ მოედანი არ გვაქვს. თამაშზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. გარდა ამისა ბიჭები ფსიქოლოგიურად ძალიან დათრგუნვილები იყვნენ. გასულ ჩემპიონატებზე აუტების მოგებაში ერთ-ერთი უძლიერესნი ვიყავით, წლეულს კი მოგებას ვინ ჩივის, იმდენად ნერვიულობდნენ, საერთოდ ვერ აწვდიდნენ ბურთს. ირლანდიელებთან წაგების მერე კი საცოდავად გამოიყურებოდნენ. ყველაფერში უსუსურად გამოიყურებოდნენ. ძლივს განვაწყვეთ ჩილელებთან საბრძოლველად. ამას მრავალი ტექნიკური და ტაქტიკური წუნიც დაერთო, რამაც საერთო ჯამში განაპირობა კიდეც ჩვენი წარუმატებლობა.

**— ესე იგი ჩვენი ადგილი უმაღლეს ჯგუფში არ არის...**

— ნამდვილად ასეა. შეიძლებოდა ჯგუფში ადგილის შენარჩუნებაც, ჩილელებთან ცოტა ბედს რომ გაეღიმა, იქნებ მოგვეგო, მაგრამ ამის ღირსნი არ ვიყავით. დღესდღეობით საქართველოს ნაკრები არაა იმ დონის გუნდი, მსოფლიოს ელიტის წარმომადგენლებს ეთამაშოს. თან წლევანდელთან შედარებით შარშან ბევრად უკეთესად მოვემზადეთ. წლეულს კი, სხვაზე რომ ალარაფერი ვთქვა, სტადიონიც კი არ გვქონდა. მართალია, ჩემპიონატამდე ერთი კვირა ნორმალურ პირობებში ვემზადებოდით, მაგრამ ეს საკმარისი არ ალმოჩნდა. ამასთან შარშან ახალზელანდიელი კონსულტანტი გვყავდა. ვიმეორებ, ჩვენს პირობებს თუ გავითვალისწინებთ, კიდევ ბევრს მივალწიეთ.

**— ახალზელანდიელი კონსულტანტი ახსენეთ. ის რომ ყოფილიყო ნაკრები უკეთეს შედეგს მიაღწევდა?**

— რალაცაში აუცილებლად წაგვადგებოდა. გარკვეულ ტაქტიკურ ცვლილებებს შეიტანდა გუნდის თამაშში, მაგრამ საბოლოო ჯამში ჯგუფიდან მაინც გამოვვარდებოდით. შარშან მისი ჩამოსვლა ახალზელანდიურმა კომპანიამ „მაკკონელ დოუელმა" დააფინანსა, წლეულს ეს უსახსრობის გამო ვერ მოხერხდა. ახლა იგი ერთ-ერთ ირლანდიურ კლუბს წვრთნის. იმისთვის, რომ მსოფლიოს თექვსმეტ უძლიერეს გუნდთა რიცხვში მოვხვდეთ, უზარმაზარი სამუშაოა ჩასატარებელი. აუცილებელია ბავშვთა რაგბის განვითარება. ჩვენთან სულ 500 ბავშვი თამაშობს რაგბის, უცხოეთის თითქმის ნებისმიერ ქვეყანაში კი მინიმუმ ათჯერ მეტი. ისეთ ქვეყნებში, როგორიც ახალი ზელანდია, ავსტრალია და სამხრეთ აფრიკაა ასიათასობით ბავშვია რაგბით გატაცებული. ცხადია, მათგან უფრო ადვილია 22 მაღალი დონის მოთამაშის შერჩევა. მომავალ წელს B ჯგუფში მოგვიწევს ასპარეზობა. იქ დაახლოებით ჩვენი ძალის გუნდები არიან, ამიტომაც ჩვენი ადგილი იქაა. გუნდს, რომელიც ჯგუფში ოთხ მატჩს აგებს და შეიძლება ერთი რალაც სასწაულით მოიგოს, იმ ჯგუფში არაფერი ესაქმება. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ის ქვეყნები, რომლებიც ახლა B ჯგუფში არიან, წინ მიიწევენ, ჩვენ კი პირიქით — უკან. დღეს ისიც კი არ ვიცით, საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკებს შორის ჩატარდება, თუ არა. აბა, ასეთ პირობებში რომელ წარმატებებზე შეიძლება ლაპარაკი. ასე თუ გაგრძელდა, მალე B ჯგუფშიც აღარ მოიძებნება ჩვენთვის ადგილი.

**პაატა თოთაძე**



# შოუ უუილიამსებოდ

**ამელია აილენდი. აშშ. Bausch&Laumb-ის პირველობა. თიხნარი. საპრიზო 520 ათასი $**

ამელია აილენდში მიმდინარე პირველობაზე „უილიამსების შოუმ" მოსალოდნელზე გაცილებით ცოტა ხანს გასტანა — ვინუსი ასპარეზობას პირველივე წრეში გამოეთიშა.

შავი დებისგან უფროსის მარცხს სენსაციის გარდა ვერაფერს უწოდებ — მისი მეტოქე ხომ ყველასათვის უცნობი, კლასიფიკაციით სულ რალაც 140-ე კანადელი სონია ჯეიასლანი გახლდათ: „არ ვიცი, მეტისმეტად არასერიოზულად მოეკიდა ჩემთან თამაშს, თუ პირიქით. ძლიერი ჩოგბურთელები ხშირად აშინებენ ხოლმე სუსტებს, რომლებიც ფსიქოლოგიურად მატჩის დაწყებამდე ტყდებიან. შეიძლება ვინუსსაც ასე ეგონა, მაგრამ თავიდანვე მიხვდებოდა, რომ მძიმე დღე ელოდა".

აზიური წარმოშობის ციცქნა ჯეიასლანი მეტოქეს სიმაღლეში მთელი 30 სანტიმეტრით ჩამორჩება. სამაგიეროდ, მოკავშირედ, ერთი მხრივ, მწვანე თიხნარის ნელი საფარი გამოუჩნდა, რომელიც ჯანიანი მეტოქის დარტყმულებს ასუსტებდა, მეორე მხრივ კი მაღალი აბრაგნები, რომელთაც უილიამსმა ალლო ვერაფრით აუღო.

კანადელმა 2:4-დან პირველ სეტში ზედიზედ ექვსი გეიმი მოიგო, მეორეში 5:4-თაც დაწინაურდა, მაგრამ გმირობის ტოლფას გამარჯვებასთან სიახლოვემ თავგზა აუბნია და უნებლიე შეცდომებით მეტოქეს ანგარიში გაათანაბრებინა. საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა და ტრიბუნაზე მყოფმა, ქალიშვილის ცოდვილობით დატანჯულმა რიჩარდ უილიამსმაც, როგორც იქნა, შვებით ამოისუნთქა — ვინუსი აქ 6:2 დაწინაურდა. ოღონდ ეგ იყო და ეგ.

დაუღლელი ჯეიასლანისთვის ოთხი სეტ-პოინტის გადარჩენაც კი არ გამოდგა შეუძლებელი საქმე: „მთავარი იყო, არ მეფიქრა ქულათა მნიშვნელობაზე და იმაზე, ვის ვეთამაშებოდი. არა, ვინუსს, რა თქმა უნდა, ვხედავდი ბადის მეორე მხარეს, მაგრამ ვცდილობდი, მისი მიღწევები და შესაძლებლობები დამევიწყებინა."

როცა ტაი-ბრეიკზე ანგარიში უეცრად 6:6 გახდა, ნერვებმა უკვე უილიამსს უმტყუნეს. მან ჯერ ორმაგი მოაწოდა, მერე მატჩ-პოინტზეც შესცოდა და მატჩიც მორჩა: 6:4, 7:6 (8:6) ჯეიასლანის სასარგებლოდ — კანადელის პირველი გამარჯვება საუკეთესო ოცეულელთან.

ვინუსმა რალაც დადებითი მარცხშიც კი დაინახა: „რომ მომეგო, იქნებ დღეს ამდენი ვერ მესწავლა... ჩემი მეტოქეები ყოველთვის ცდილობენ, მთელი ძალით მეთამაშონ, ეს იმას ნიშნავს, რომ პატივს მცემენ... ამჟამად თავს გადაღლილად ვგრძნობ, ამ სეზონში ხომ უკვე ბევრი ვითამაშე, მეტი უნდა ვივარჯიშო".

კიდევ ერთი საინტერესო მატჩი მეორე წრეში წარსულისა და აწმყოს თინეიჯერ ვარსკვლავებს, ჯენიფერ კაპრიატისა და ანა კურნიკოვას შორის შედგა. „მინახავს, როგორ თამაშობდა ჯენიფერი, მაგრამ შარშან თუ შარშანწინ. მისი წარმატებული ასპარეზობები თითქმის არ მახსოვს, მაშინ ძალიან პატარა ვიყავი" — განაცხადა 17 წლის რუსმა პირველ წრეში თბილისის ტურნირის შარშანდელი ჩემპიონის, ევგენია კულიკოვსკაიას დამარცხების შემდეგ (6:1, 7:5).

ერთ დროს დიდი სლემის ტურნირების ნახევარფინალისტის, 1992 წლის ოლიმპიური ჩემპიონისა და მსოფლიოს მეექვსე ჩოგნის წარსულ დიდებაზე კურნიკოვა ამ მატჩითაც ძნელად თუ შეიქმნიდა წარმოდგენას. 23 წლის კაპრიატი, რომელსაც ვარსკვლავობასთან ერთად თავის დროზე ნარკომანობა, ქურდბაცაცობა და ვირის აბანოში ყოფნაც გამოუცდია, ორივე სეტში დაწინაურდა, შესაბამისად 3:2 და 2:0, მაგრამ ორივეგან ზედიზედ ოთხი გეიმი წააგო და საბოლოოდ 3:6, 3:6 დამარცხდა.

„შანსი ბლომად მქონდა, თითქმის არაფერში ჩამოვრჩებოდი, მაგრამ რატომღაც ძალიან ვჩქარობდი. ანა ხშირად უბრალოდ უკან აბრუნებდა ბურთს, მე კი უაზრო შეცდომებით ვჩუქნიდი ქულებს" — განაცხადა კლასიფიკაციით 81-ე ამერიკელმა. კაპრიატი განსაკუთრებით მატჩის ბოლოსწინა გათამაშების მერე გაღიზიანდა, რომელშიც მისი ბექჰენდი კიდევ ერთხელ გაეხვია ბადეში. „ბარემ აჩუქე ეს დედამო..ნული შეხვედრა" — მეტყველად შეუძახა თავს ჯენიმ.

„შესაძლოა ის ფსიქოლოგიურად არ არის მზად საპაექროდ. იგი ხშირად ხეირიანად ურტყამდა უკანა ხაზიდან, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ყოველთვის ცდებოდა" — აღნიშნა პრესკონფერენციაზე კურნიკოვამ, რომელსაც მერვედფინალში მძიმე გამოცდა ელის მსოფლიოს მეორე ჩოგნის, ლინდსი დევენპორტის სახით.

მეორე წრე: **ლინდსი დევენპორტი** (1, აშშ) — თინა პისნიჩი (აშშ) 7:5, 6:3; **მონიკა სელეში** (2, აშშ) — კვეტა პრდლიჩკოვა (სლოვაკეთი) 6:2, 6:2; **მარი პირსი** (4, საფრანგეთი) — კატალინა კრისტეა (რუმინეთი) 6:0, 6:0; **ამანდა კუტცერი** (5, სამხრეთ აფრიკა) — ლილია ოსტერლოჰი (აშშ) 6:4, 6:2; **პატი შნიდერი** (6, შვეიცარია) — ჯესიკა სტეკი (აშშ) 6:1, 6:1; **კონჩიტა მარტინესი** (7, ესპანეთი) — ტარა სნიდერი (აშშ) 6:1, 6:2; **ინეს გოროჩატეგი** (არგენტინა) — ივა მაიოლი (16, ხორვატია) 3:6, 6:4, 6:2.

**ჰონკონგი. „სალემის" ღია პირველობა. ჰარდი საპრიზო 350 ათასი $**

არა, 1999 წელს აშშ-ის ღია პირველობის ორგზის ჩემპიონის, პატრიკ რაფტერისთვის წარმატებულს ვერაფრით დაარქმევ. აგერ უკვე სამი თვე, ესე იგი, სეზონის თითქმის ერთი მესამედი მიიწურა და ავსტრალიელს ჯერ მეოთხედფინალისთვისაც არსად მიუღწევია, ანგარიშზე კი მოგებაზე მეტი მარცხი ერიცხება (6:7).

გასულ უქმეებზე იყო, დევისის თასზე ზიმბაბველებთან რაფტერმა ორივე პირადი შეხვედრა მოიგო და ახლა უიმბლდონის ჩემპიონობისთვისაც მზად ვარო, განაცხადა, თუმცა ოზი ვერაფერიშვილი წინასწარმეტყველი გამოდგა: ჰონკონგის ტურნირზე მეორედ განთესილს გზა საუკეთესო ასეულის მიღმა მყოფმა გერმანელმა ბერნდ კარბახერმა, გადაულობა.

როგორც ამ სეზონში უკვე რამდენიმეჯერ ვიხილეთ, ავსტრალიელმა მატჩი რიხიანად დაიწყო, მაგრამ მედგარ წინააღმდეგობას რომ გადააწყდა, თითქოს დაიბნა და ბოლომდე საბრძოლველად მზად არ აღმოჩნდა — 6:7 (4:7), 7:6 (7:1), 6:2 კარბახერის სასარგებლოდ.

თამაშის არ იყოს, რაფტერმა ვერც თავის გასამართლებელი ხეირიანი მიზეზი მოისაზრა: „კარგად ნამდვილად არ მითამაშია. ბურთის დანახვა მიჭირდა და მოწოდებაც ვერ მეხმარებოდა... კორტი ზედმეტად სწრაფი იყო და რიტმს ვერაფრით მოვერგე..."

რაფტერისგან განსხვავებით, ჰონკონგის პირველობის დანარჩენ ფავორიტებს არაფერი გასჭირვებიათ: ჰოლანდიელმა რიჩარდ კრაიჩეკმა (1) იაპონელ ტაკაო სუძუკის აჯობა 6:4, 6:4; ტურნირზე უკანასკნელ მომენტში, „უაილდ ქარდით" მოხვედრილმა ანდრე აგასიმ (3) კი — იტალიელ ვეტერან ჯანლუკა პოცის 6:2, 6:2.

პირველი წრე: **ლორენს ტილმანი** (იტალია) — სედრიკ პიოლინი (4, საფრანგეთი) 2:6, 6:1, 6:4; **ნიკოლას კიფერი** (5, გერმანია) — იან კროსლაკი (სლოვაკეთი) 6:1, 6:0; **იონას ბიორკმანი** (7, შვედეთი) — რადეკ სტეპანეკი (ჩეხეთი) 6:3, 6:3; **მაიკლ ჩანგი** (8, აშშ) — დანიელ ვაცეკი (ჩეხეთი) 6:1, 6:4; **ბორის ბეკერი** (გერმანია) — მაიკლ სელი (აშშ) 6:3, 6:1.

**მადრასი. ინდოეთი. GOLD FLAKE OPEN. ჰარდი საპრიზო 405 ათასი $**

პირველი წრე: **კარლოს მოია** (1, ესპანეთი) — ვლადიმერ ვოლჩკოვი (ბელარუსი) 4:6, 6:3, 6:3; **კაროლ კუჩერა** (2, სლოვაკეთი) — მიქაელ კოლმანი (გერმანია) 7:5, 6:1; **სარგის სარგსიანი** (სომხეთი) — ტომას იოჰანსონი (3, შვედეთი) 6:4, 3:0 — ტრავმა; **ბაირონ ბლეძი** (4, ზიმბაბვე) — გრეგორი კარასი (საფრანგეთი) 6:1, 6:3; **რაინერ შუტლერი** (7, გერმანია) — გასტონ ეტლისი (არგენტინა) 7:6 (7:5), 6:1; **ლარს ბურგსმიულერი** (გერმანია) — სხენგ შალკენი (6, ჰოლანდია) 4:6, 6:3, 6:1.



სარბიელის არქივიდან

პატრიკ რაფტერი

**ავთანდილ სვანიძე**

ხელბურთი

# ჩუმად, ჩუმად...

## მთავარი ეროვნული გუნდია

კრასნოდარში მსოფლიოს პირველობის შესარჩევ ციკლში ახალგაზრდა ქართველ ხელბურთელთა წარუმატებელი გამოსვლის შესახებ უკვე გაუწყეთ. რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ გავესაუბრეთ საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელ **ზაზა დოლიძეს**, რომელიც ახალგაზრდულ გუნდს თან ახლდა.

— კრასნოდარში ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად ეროვნულის ყველა კანდიდატი წავიყვანეთ სამიოდე ლეგიონერის გარდა. ისინი იქაც ვარჯიშობდნენ (მით უფრო, მასპინძლებმა იდეალური პირობები დაგვახვედრეს), ხოლო ახალგაზრდების ტურნირის დამთავრების შემდეგ ეროვნულმა ნაკრებმა ამხანაგური მატჩებიც გამართა რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან და ადგილობრივ კლუბთან, რომელიც რუსეთის ჩემპიონატში ერთ-ერთი უძლიერესია.

**— ახალგაზრდულ ტურნირზე რას გვეტყვით?**

— კრასნოდარში გამგზავრება თბილისის მერიამ და ხელბურთის ფედერაციამ უზრუნველყოს. ტურნირზე გუნდი შეუთამაშებელი გაემგზავრა, ყოველგვარი შეკრებისა თუ საკონტროლო მატჩების ჩაუტარებლად.

პირველი შეხვედრა პოლონელებთან წავაგეთ 17:18. თამაში არა მარტო დაძაბული (ამაზე ანგარიშიც მეტყველებს), დრამატულიც გამოდგა. დამთავრებამდე 2 წუთით ადრე ანგარიში გავათანაბრეთ, მაგრამ იქვე 7-მეტრიანი საჯარიმო ვერ გამოვიყენეთ და საბოლოოდ დავმარცხდით კიდეც. მე საერთოდ არ მიყვარს მსაჯების კრიტიკა, მაგრამ იმ მატჩში თურქმა არბიტრებმა რამდენიმე შეცდომით გვაზარალეს და შედეგიც ამან განაპირობა. იმ წყვილმა განსაჯა ჩვენი ყველა თამაში. მათი დონე ძალიან დაბალია, მაგრამ ვერ ვეკამათებოდით, რადგან ეროვნულ ნაკრებს მაისში ევროპის შესარჩევი მატჩები ელის და ამ შეხვედრების არბიტრებად სწორედ თურქები არიან დანიშნულნი. ერთი სიტყვით, მათთან ურთიერთობა არ გავიფუჭეთ.

დრამატულად წარიმართა რუსებთან შეხვედრაც. პირველი ტაიმის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე 10:7-ს ვიგებდით, მაგრამ „მოვახერხეთ“ და ტაიმი 12:14, ხოლო თამაში 21:30 წავაგეთ. მატჩის შემდეგ მეტოქე გუნდის მწვრთნელი გამომიტყდა, 25-ე წუთისთვის თამაში წაგებული მეგონაო. რუსეთის ნაკრები ძლიერია. თან იქ ჩვენ არავინ მოგვაგებინებდა და ვერც მოვიგებდით. ბოლოს ბულგარელები დავამარცხეთ 26:12.

საბოლოოდ ჯგუფში მესამეზე გავედით. ოფიციალურად ცალკეული ამპლუის საუკეთესო მოთამაშეები არ დაუსახელებიათ, მაგრამ ყველა გვიქებდა მეკარე გიორგი ბუთიკაშვილს. ყველაზე ცოტა ბურთიც ჩვენმა დაცვამ გაუშვა, სერგო დათუკიშვილი კი 27 გოლით ტურნირის ბომბარდირი გახდა. ამ ბიჭზე კარგის მეტი არაფერი მეთქმის, მაგრამ რამდენჯერმე გადამწყვეტ მომენტებში ნერვებმა და გოლეადორის ალღომ უმტყუნა.

**— როგორი შთაბეჭდილება დატოვეს თქვენზე ახალგაზრდებმა, ეროვნული ნაკრებისთვის კანდიდატები თუ შეარჩიეთ?**

— პირველი სანაკრებო ნაბიჯების კვალობაზე ბიჭები მომეწონნენ. მოედანზე მართლაც კარგად ირჯებოდნენ, მაგრამ ფიზიკურად უჭირდათ. ამ მხრივ მეტი მუშაობა მართებთ.

რაც შეეხება კანდიდატებს, ისინიც შევარჩიე და დღეიდან სავარჯიშოდაც ვიწვევ. უკვე 12 აპრილიდან ეროვნული ნაკრები დაიწყებს მზადებას ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის, რომლის თამაშებიც 12-30 მაისს გაიმართება. ჩვენს ჯგუფში პორტუგალია, სლოვაკეთი და ლატვია მოხვდნენ. შეხვედრები ორ წრედ, მიმოსვლით ჩატარდება. ამჟამად ნაკრების ყველა კანდიდატი, მაკედონიაში მოთამაშე ალეკო ბოყოჩაძისა და ტიტე კალანდაძის გარდა, თბილისშია. ისინიც მალე შემოგვიერთდებიან და ამ მნიშვნელოვანი თამაშებისთვის სრულყოფილად მოვემზადებით.

**ირაკლი თავაძე**

ხუთჭიდი

# ვინ შეაკაზმავს ჭულუხაძის ცხენს?

თანამედროვე ხუთჭიდი — სპორტის ერთ-ერთი ურთულესი და კომპლექსური სახეობაა, რომელიც ტყვიის სროლას, ფარიკაობას, ცურვას, მძლეოსნობას და ცხენოსნობას აერთიანებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ხუთჭიდელი ხუთმაგად სპორტსმენია. საქართველოში ხუთჭიდს თავისი სკოლა და ტრადიციებითა აქვს. ისტორია შთამბეჭდავია. წარმატებები ყოფილი სსრკ-ს, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე, ოლიმპიადებზე, ახალგაზრდებსა თუ დიდებში... ყველაზე მეტად თავი მაინც თბილისელმა ვახტანგ იაგორაშვილმა გამოიჩინა, ის 1989 წელს მსოფლიოს ვიცეჩემპიონი გახდა (გუნდური), ხოლო სეულის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. ასე იყო წარსულში, დღეს კი... როგორ ჩაგვლევია, ჩაგვკარგვია ხელში ხუთჭიდი და გაქრობის პირას მისულა, მომავალსაც საფრთხე ემუქრება. ამ ყოველივეზე გვესაუბრება საქართველოს ცხენოსნობისა და ხუთჭიდის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **რევაზ მანჯავიძე.**

— 1990 წლამდე თუ ეს სახეობა რამდენიმე სპორტსაზოგადოებაში არსებობდა, დღეს მხოლოდ „დინამოსა“ და უმაღლესი დაოსტატების სკოლას შემორჩა. მთელი საქართველოში სულ ექვსი ხუთჭიდელია. არა გვაქვს საკუთარი ბაზები. ამიტომ ბიჭებს ჩვენი პირადი კონტაქტების გამოყენებით ვავარჯიშებთ იმ 5 სახეობის ფედერაციების ბაზებზე, რომლებსაც ხუთჭიდი აერთიანებს.

იმ ექვსეულიდან შედეგებით დავით ჭულუხაძე, ნოდარ ბარავი და თემურ ბალაკარი გამოირჩევიან, ყველაზე მეტად კი ჭულუხაძის გვეიმედება. თუ ტურნირებზე მის გაგზავნას მოვახერხებთ, ალბათ, სიდნეის ოლიმპიადის ლიცენზიასაც მოიპოვებს.

შარშან ბიუჯეტით გათვალისწინებული 20 ათასი ლარი კი მივიღეთ, მაგრამ ეს ჩვენი ძვირადღირებული სპორტის შესანახად და ტურნირებში საასპარეზოდ არ კმარა. შარშანაც ცხენოსნობას წავართვით 3 ათასი ლარი. წლეულს ჭულუხაძე გამოვიდა კიევის არც თუ პრესტიჟულ ტურნირში. იქ მსოფლიოს ჩემპიონატზე წასასვლელი ლიცენზია თამაშდებოდა. დათომ მესამე ადგილთან ერთად ეს ლიცენზიაც მოიპოვა. 21 აპრილს მსოფლიოს თასის მეოთხე ეტაპია გერმანიაში, მაგრამ არ ვიცით, წასასვლელ ფულს თუ მოგვცემენ. აქა-იქ კიდეც ხუმრობენ, ჭულუხაძე და მისი ცხენიც ხომ არ იშიმშილებენო. საოლიმპიადო ლიცენზიები მსოფლიოს ჩემპიონატზე გათამაშდება. სიდნეიში მონაწილეთა რაოდენობა თექვსმეტამდე შემცირდება, რაც ჩვენს შანსებს უფრო ამცირებს.

**— რამდენად რეალურია იმედი ჭულუხაძის მიერ ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვებისა?**

— დათო განსაკუთრებით ძლიერია ცურვასა და მძლეოსნობაში. ყოველთვის, სადაც კი იასპარეზა, ამ სახეობებში ხუთეულში შევიდა. ყველაზე მეტად სროლაში მოიკოჭლებს. თუ ოლიმპიადამდე შედეგებს ოდნავ გააუმჯობესებს, ყველა რანგის შეჯიბრში ათეულში მოხვდება და ცხადია არც ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვება გაუჭირდება.

**— ვახტანგ იაგორაშვილის რა ისმის?**

— იაგორაშვილი ვარჯიშობს და საკმაოდ კარგადაც ასპარეზობს, ოღონდ აშშ-ის სახელით. კარგა ხანია არ შევხმიანებივართ და ახალიც არაფერი ვიცით. რამდენიმე წელია, იგი ამერიკაში ცხოვრობს, მაგრამ ჯერ მოქალაქეობა არ მიულია. ოლიმპიადაზე ვისი სახელით გამოვა, არ ვიცით, მაგრამ მედლის რეალური კანდიდატი რომაა, ეს ფაქტია.

**ირაკლი თავაძე**

ველორბოლა

# ბასკეთის გარშემო







„ბასკეთის ტურის“ მესამე ეტაპი იტალიელმა სტეფანო გარზელიმ (მარცხენა ფოტოზე) მოიგო, საერთო ჩათვლაში კი ფრანგი ლორან ჟალაბერი (მარჯვნივ) ლიდერობს

„ჯირო დიტალიის“ დაწყებამდე უძლიერესი ველომრბოლები სხვადასხვა პატარ-პატარა შეჯიბრებებში გამოდიან, რათა სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი გათამაშებისთვის სასურველ ფორმაში იყვნენ. ეს თითქმის ისევე ხდება, როგორც ჩოგბურთში, როცა სპორტსმენები უამრავ მცირემასშტაბიან ტურნირში ასპარეზობენ „როლან გაროსის“ ანდა „უიმბლდონის“ წინ.

„ბასკეთის ტურიც“ სწორედ ასეთი შეჯიბრია, ოღონდ სხვებისგან იმით განსხვავდება, რომ თითქმის ყველა გუნდის უძლიერესი წევრები აქ ეჯიბრებიან ერთმანეთს — ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი, „ონსე“), მარკო პანტანი (იტალია, „მერკატონე უნო“),ვლადიმერ ბელი (იტალია „ფერტინა“)...

პირველი ეტაპი ორშაბათს გაიმართა. მრბოლებს პატარა ბასკურ ქალაქ ტოლოსას გარშემო 115 კმ უნდა გაერბინათ. გამარჯვება ლორან ჟალაბერმა მოიპოვა, რომელსაც გაზაფხულის დადგომასთან ერთად ძალები მოზღვავებია. ამის დასტური „კატალონიურ კვირეულში“ საერთო ჯამში პირველობაცაა. ფრანგმა საფინიშო სპრინტში აჯობა იტალიელ დავიდე რებელინს („ფერტინა“), რომელთან ერთადაც გამოექცა პელოტონს.

ორმა „ლტოლვილმა“ დანარჩენებს დაახლოებით ოცი წამი მოუგო. მესამე ადგილზე კი ჰოლანდიელი მიქაელ ბოგერდი გავიდა.

30 წლის ჟალაბერი ერთადერთი აღმოჩნდა, ვინც ლეაბურუს გორაკზე (მესამე კატეგორია) იერიშმიტანილ რებელინის აედევნა. ეს ეტაპის უკანასკნელი სიძნელე იყო, ფინიშამდე კი ექვსიოდე კილომეტრიღა რჩებოდა. ფრანგულ-იტალიურმა დუეტმა ძალიან შეთანხმებულად იმოქმედა და დანარჩენებს მიახლოების საშუალება არ მისცა. ბოლოს კი სპრინტების დიდად არმოყვარულმა ჟალაბერმა იმარჯვა. ამ საბოლოო შეტევამდე კი რბოლის მოგების დიდი სურვილი იტალიელმა მარკო პანტანიმ, გერმანელმა იან ულრიხმა და ესპანელმა აბრაჰამ ოლანომ გამოავლინეს, მაგრამ მათ „აფეთქებებს“ სასურველი შედეგი არ გამოუღია.

სამშაბათს მრბოლებმა ტოლოსასა და სალას შორის არსებული 204 კმ-იანი დისტანცია დაფარეს. ეს მეორე ეტაპი ყველა დანარჩენზე გრძელი იყო და ერთ მესამე და ორ მეორე კატეგორიის აღმართს შეიცავდა. ამიტომაც მოსალოდნელი იყო, მაქსიმუმ ოთხი—ხუთი კაცი შეძლებდა დანარჩენებისგან მოწყვეტას და ჯგუფური საფინიშო სპრინტიც არ გაიმართებოდა. თუმცა ასე არ მოხდა, ამაში კი „ბრალი“ ჟალაბერის „ონსეს“ მიუძღვის.

ამ ესპანური გუნდის წევრებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ მეგობრისთვის ლიდერის ყვითელი მაისური შეენარჩუნებინათ. რამდენიმე უხეირო შეტევის შემდეგ, რომლებმაც ვერაფრით შეცვალა რბოლის რიტმი, ესპანელია ხოსე ვისენტე გარსია აკოსტა („ბანესტო“) გამოეყო მთავარ ჯგუფს და ლონივრადაც გაიჭრა წინ.

თავიდან აკოსტა მარტოობამ ვერ შეაშინა — მუდმივად ზრდიდა თავის უპირატესობას. მან მდევრების ჩამოტოვება მთელი შვიდი წუთითაც მოახერხა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ეს საკმარისი არ იყო. ამის მიზეზი კი „ონსეს“ გარდა, ალბათ, ისიც გახლდათ,რომ ესპანელმა იერიში საკმაოდ ადრიანად წამოიწყო.

ჟალაბერის თანაგუნდელების წინამძღოლობითა და შეთავაზებული ტემპით მავალმა პელეტონმა წინწასული 156 კილომეტრზე ჩაყლაპა. ამის შემდეგ კი ველარავინ გარისკა გაქცევა და ყველამ სპრინტისთვის მომზადება დაიწყო. აკოსტას დევნით დაღლილდმა ონსელებმა თავინთი ლიდერის სასურველ პოზიციაზე გაყვანა ვერ მოახერხეს და პირველობა მაპეის იტალიელ მრბოლ ჯულიანო ფიგუერასს დარჩა. მეორე ადგილზე ვლადიმირ ბელი გავიდა, მესამეზე- ჟალაბერი, მეოთხეზე-მარკო პანტანი. დავიდე რებელინი კი მეექვსე იყო. ასე რომ, „ონსეს“ ფრანგმა ლიდერმა ყვითელი მაისურის შენარჩუნება შეძლო.

„თუ პარასკევს გასამართი ინდივიდუალური რბოლის წინ მთავარ კონკურენტებზე ახლანდელივით ოც წამზე მეტით ვიქნები წინ, ვფიქრობ, საბოლოო გამარჯვების მოპოვებას შევძლებ“ - თქვა ჟალაბერმა, რომელსაც, ეტყობა, რებელინის არცთუ ძალიან ეშინია.

სალასა და ბასკეთის დედაქალაქ ვიტორიას შორის მდებარე „ბასკეთის ტურის“ მესამე ეტაპი იტალიელმა სტეფანო გარზელიმ მოიგო („მერკატონე უნო“). 199 კმ-იანი გზაზე სპორტსმენებს ექვსი სიძნელის, მათ შორის ერთი პირველი კატეგორიის, დაძლევამ მოუწიათ.

ისევე როგორც ერთი დღით ადრე, ეტაპის ბედი საფინიშო სპრინტით გადაწყდა. გარზელიმ გერმანელ უდო ბოლტსა („ტელეკომი“) და თავის თანაგუნდელ მარკო პანტანის აჯობა. გამარჯვებულისნაირი დრო კიდევ ორმოცამდე კაცმა აჩვენა. საერთო ჩათვლაში ლიდერობა კი კვლავ ლორან ჟალაბერმა შეინარჩუნა.

რბოლის მთავარი ფიგურები ბასკი ძმები, გონსალეს დე გალდეანოები იყვნენ, რომლებიც წარმოშობით ვიტორიადან არიან და ძალიან სურდათ საკუთარ კედლებში მოეპოვებინათ გამარჯვება. თავდაპირველად ალვარომ სცადა გაქცევა, რაც 50-ე კილომეტრზე მოახერხა კიდეც ედუარდო ერნანდესთან ერთად, მათ ექვსწუთიანი მარაგის შექმნაც შეძლეს, მაგრამ კვლავ ონსელებმა გამოიჩინეს ინიციატივა და...

პელოტონი ერნანდესს პირველი კატეგორიის აღმართ „ერერასთან“ დაეწია (160 კმ), ალვარო გონსალეს დე გალდეანომ კი დღის უკანასკნელ სიძნელე „ვიტორიამდე“ შეძლო ლიდერობის შენარჩუნება, მაგრამ ფინიშამდე ოციოდე კმ-ით ადრე ისიც ჩაყლაპეს. როგორც კი ალვარო ჩამოიტოვეს, მაშინვე მისმა ძმამ, იგორმა სცადა, გაქცეოდა მთავარ ჯგუფს. თუმცა უკვე სპრინტისთვის მზადება მიმდინარეობდა, ასე რომ, სპორტსმენებმა საკმაოდ გაზარდეს სიჩქარე და იგორსაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

ჟალაბერმა და რებელინმა პირველ-მეორე ადგილები შეინარჩუნეს და გვერდით წამითაც არავინ გაიკარეს, მაგრამ პანტანის მიერ ამ ეტაპზე მოპოვებული მესამე ადგილი მათ მოდუნების საშუალებას არ აძლევს. „ჯირო დ იტალიისა“ და „ტურ დე ფრანსის“ შარშანდელი გამარჯვებული ხომ „მთათა მეფეა“; ინდივიდუალური რბოლა კი საკმაო რაოდენობით აღმართებს შეიცავს.

**გაიოზ თალაკვაძე**

**საერთო ჩათვლა**
**3 ეტაპის შემდეგ**

1. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი, „ონსე“) — 13 სთ, 14 წთ, 10 წმ
2. დავიდე რებელინი (იტალია, „პოლტი“) — იგივე დრო
3. ბინგენ ფერნანდესი (ესპანეთი, „ესკაიტელი“) — ჩამორჩება 21 წამით
4. უდო ბოლტსი (გერმანია „ტელეკომი“) — ჩამორჩება 32 წამით
5. ნიკი აებერსოლდი (შვეიცარია, „რაბობანკი“) — იგივე დრო
6. მარიო აერტსი (ბელგია, „ლოტო“) — იგივე დრო
7. ჯულიანო ფიგუერასი (იტალია, „მაპეი“) — იგივე დრო
8. ხუან კარლოს ტომინგესი (ესპანეთი, —ვიტალიციო“) — იგივე დრო
9. მარკო პანტანი (იტალია, „მერკატონე უნო“) — იგივე დრო
10. ვლადიმირ ბელი (იტალია, „ფერტინა“) — იგივე დრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა.
XXV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 9.04 | დუისბურგი — ჰამბურგი | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| | ფრაიბურგი — ვერდერი | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| 10.04 | ბაიერნი — შალკე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ჰანზა — დორტმუნდი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | ლევერკუზენი — აინტრახტი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | ვოლფსბურგი — კაიზერსლაუტერნი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | ჰერტა — შტუტგარტი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | ნიურნბერგი — მიონხენგლადბახი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 11.04 | ბოხუმი — მიუნხენ 1860 | 1,9 | 3,0 | 3,5 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა.
XXV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 9.04 | ურდინგენი — ვატენშაიდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | კიკერსი — ფიურტი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ობერჰაუზენი — კიოლნი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 11.04 | გიუტერსლო — ბერლინი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | ფორტუნა — არმინია | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| | მაინცი — ულმი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | კოტბუსი — უნტერჰახინგი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 12.04 | დიუსელდორფი — კარლსრუე | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ზანქტ პაული — ჰანოვერი | 2,0 | 2,8 | 3,5 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა.
XXXIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 10.04 | ასტონ ვილა — საუთჰემპტონი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | დერბი — ნოტინგემი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | ლესტერი — ვესტ ჰემი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | მიდლსბრო — ჩარლტონი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 11.04 | უიმბლდონი — ჩელსი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| | ევერტონი — ქოვენთრი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 12.04 | ლიდსი — ლივერპული | 1,9 | 2,8 | 3,8 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი.
XLII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 10.04 | ბარნსლი — ტრანმერი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | ბრედფორდი — პორტსმუთი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | ბრისტოლი — გრიმსბი | 1,8 | 3,2 | 3,6 |
| | ქრიუ — პორტ ვეილი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| | ოქსფორდი — ბერი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | ქუინზ პარკი — ვესტ ბრომვიჩი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | სტოკპორტი — შეფილდ იუნაიტედი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | სანდერლენდი — ჰადერსფილდი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | სვინდონი — ბირმინგემი | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| | უოტფორდი — ბოლტონი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | ვულვერჰემპტონი — კრისტალი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| 11.04 | ნორვიჩი — იფსვიჩი | 3,8 | 2,8 | 1,9 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 9.04 | ნანსი — მეცი | 2,2 | 2,8 | 3,1 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A.
XXVIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 11.04. | კალიარი — უდინეზე | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | ფიორენტინა — ბარი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | იუვენტუსი — ბოლონია | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | მილანი — პარმა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| | პიაჩენცა — პერუჯა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | რომა — ლაციო | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | სალერნიტანა — ინტერი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | სამპდორია — ვენეცია | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | ვიჩენცა — ემპოლი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,8 | 2,8 | 3,2 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B.
XXIX ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 10.04 | ნაპოლი — ბრეშა | 1,9 | 2,6 | 4,2 |
| 11.04 | ატალანტა — ვერონა | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| | კოევო — რეჯანა | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| | კრემონეზე — ჯენოა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ლეჩე — ლუკეზე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | მონცა — კოზენცა | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| | პესკარა — ტორინო | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| | რავენა — ტერნანა | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| | რეჯინა — ჩეზენა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | ტრევიზო — ფ. ანდრია | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი.
XXIX ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 10.04 | ტენერიფე — ბარსელონა | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| 11.04 | ალავესი — დეპორტივო | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | ატლეტიკო — ვილიარეალი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | მალიორკა — ვალიადოლიდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 2,0 | 2,8 | 2,5 |
| | ოვიედო — ბილბაო | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | სოსიედადი — ბეტისი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| | ესპანიოლი — სარაგოსა | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| | სალამანკა — რასინგი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | ვალენსია — ესტრემადურა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | სელტა — რეალი | 2,5 | 2,8 | 2,6 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი.
XXXII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 10.04 | ერკულესი — ლეგანესი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | ბარსელონა B — მერიდა | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | ალბასეტე — რეკრეატივო | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | სპორტინგი — კომპოსტელა | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| | ლას პალმასი — ნუმანსია | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 11.04 | ოსასუნა — ბადახოსი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | ტოლედო — ორენსე | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| | ეიბარი — სევილია | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | მალიორკა B — ლეიდა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | ატლეტიკო B — ლოგრონიესი ($15^{00}$) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | რაიო ვალეკანო — მალაგა ($15^{00}$) | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. გადადებული მატჩი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 10.04 | პორტუ — ბრაგა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 9.04 | სპარტა — ვალვაიკი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | მაასტრიხტი — ეინდჰოვენი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| 10.04 | ბრედა — როდა | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | გრააფსხაპი — სიტარდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | ჰერენვენი — ნაიმეგენი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | ტილბურგი — ალკმაარი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | ვიტესი — ტვენტე | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 11.04 | ფეიენოორდი — უტრეხტი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | კამბური — აიაქსი | 5,6 | 3,4 | 1,5 |

### ბელგიის ჩემპიონატი. გადადებული მატჩები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 9.04 | შარლერუა — ანდერლეხტი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| 11.04 | სტ. ტრუიდენი — კორტრაიკი | 1,3 | 4,2 | 7,0 |

### პოლონეთის ჩემპიონატი. XXI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 10.04 | ოდრა — ვიძევი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | პოგონი — პოლონია | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | გურნიკი — ზაგლებე | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | ლკს — სტომილი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | რუხი — ლეხი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | ბელხატოვი — ამიცა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | ლეგია — კატოვიცე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 11.04 | ვისლა — რაძიონკოვი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

### თურქეთის ჩემპიონატი. XXVII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 9.04 | ბეშიქთაში — გენჩლერბირლიგი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 10.04. | გალათასარაი — ქარაბუქი | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| | 0:1 | 1,25 | 4,7 | 5,0 |
| 11.04 | საქარია — ადანა ($16^{30}$) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | ტრაბზონი — სამსუნი ($16^{30}$) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | გაზიანთეფი — ისთანბული ($16^{30}$) | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | ალთაი — ქოჯაელი ($16^{30}$) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | დარდანელი — ბურსა ($16^{30}$) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | ანთალია — ერზურუმი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | ანკარაგიუჯიუ — ფენერბაჩე | 3,4 | 2,9 | 2,0 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XXX ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 10.04 | კილმარნოკი — აბერდინი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | მოზერველი — დანდი | 1,7 | 2,9 | 5,0 |

### ავსტრიის ჩემპიონატი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 9.04 | შტურმი — ლუსტენაუ | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 10.04 | რიდი — ტიროლი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | ზალცბურგი — გრაცერი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | შტაირი — რაპიდი | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| 11.04 | აუსტრია — ლინცერი | 2,0 | 2,8 | 3,5 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. VI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 10.04 | ბაზელი — ლოზანა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | სტ. გალენი — გრასჰოპერი | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| | ლუცერნი — სერვეტი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 11.04 | ციურიხი — ქსამაქსი | 1,9 | 2,8 | 3,8 |

### რუსეთის ჩემპიონატი. II ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 11.04 | შინიკი — ზენიტი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | ჟემჩუჟინა — ნ.ნოვგოროდი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | დინამო — როსტსელმაში | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | კრილია სოვეტოვი — როტორი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ალანია — ცსკა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | ურალანი — სპარტაკი | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| | ჩერნომორეცი — სატურნი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 12.04 | ლოკომოტივი — ტორპედო | 1,7 | 3,1 | 4,4 |

### შვედეთის ჩემპიონატი. I ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 10.04 | ჰელსინგბორგი — გიოტებორგი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 11.04 | ტრელებორგი — ჰამარბი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | იორგრიტე — ჰალმსტადი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | იურგარდენი — ნორჩიოპინგი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 12.04 | ელფსბორგი — კალმარი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | აიკ — ერებრიო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | ფრიოლუნდა — მალმიო | 2,0 | 2,8 | 3,5 |

### ტურში გატანილი გოლები

| | | |
|---|---|---|
| გერმანია (25-ე) | 25 და ნაკლები - 1,9 | 27 და მეტი - 1,9 |
| იტალია (28-ე) | 23 და ნაკლები - 1,9 | 25 და მეტი - 1,9 |
| ესპანეთი (29-ე) | 26 და ნაკლები - 1,9 | 28 და მეტი - 1,9 |
| პოლონეთი (21-ე) | 19 და ნაკლები - 1,9 | 21 და მეტი - 1,9 |
| თურქეთი (27-ე) | 24 და ნაკლები - 1,9 | 26 და მეტი - 1,9 |

### ინგლისის თასის ნახევარფინალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 11.04 | არსენალი — მანჩესტერი (ბირმინგემში) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | ნიუკასლი — ტოტენჰემი (მანჩესტერში) | 3,0 | 2,9 | 2,2 |

### საფრანგეთის თასის მეოთხედფინალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 10.04 | ნანტი — გინგამი (II) | 1,2 | 5,0 | 9,0 |

### პორტუგალიის თასის მეშვიდე ეტაპი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 11.04 | ტორენსე — სეტუბალი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | მარიტიმუ — კამპომაიორენსე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | ესპოზენდე — ბოავიშტა | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| | მორეირენსე — ბეირა მარი | 2,7 | 2,8 | 2,4 |

### ბელგიის თასის ნახევარფინალი. I მატჩები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 9.04 | გენკი — ლიერსი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 11.04 | ლოკერენი — სტანდარდი | 2,1 | 2,9 | 3,2 |

### შოტლანდიის თასის ნახევარფინალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 10.04 | სელტიკი — დანდი იუნაიტედი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 11.04 | სტ. ჯონსტონი — რეინჯერსი | 8,0 | 4,4 | 1,25 |

### მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 10.04 | ნიგერია — პარაგვაი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| | კოსტა რიკა — გერმანია | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| | განა — ყაზახეთი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | ხორვატია — არგენტინა | 3,8 | 2,8 | 1,9 |
| | ავსტრალია — ირლანდია | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | ს. არაბეთი — მექსიკა | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| 11.04 | *კოეფიციენტებს ადგილზე გაეცნობით* | | | |

### აფრიკის თასის შესარჩევი მატჩები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 9.04 | ალჟირი — ლიბერია | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 10.04 | უგანდა — ტუნისი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| | გაბონი — სამხრეთ აფრიკა | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| | ზამბია — კენია | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 11.04 | მოზამბიკი — კამერუნი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | მაროკო — ტოგო | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | მალი — ნამიბია | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | კოტ დივუარი — კონგო | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | მავრიკეთი — ანგოლა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | ბურკინა ფასო — ბურუნდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | დემოკრატიული კონგო — მადაგასკარი | 1,5 | 3,4 | 5,6 |

### ჰოკეი. NHL

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 9.04 | ბუფალო — ფლორიდა | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| | სტ. ლუისი — დეტროიტი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| | კალგარი — ედმონტონი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| | დალასი — რეინჯერსი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| | ფინიქსი — ნეშვილი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| | ანაჰაიმი — სან ხოსე | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 10.04 | ბოსტონი — ტამპა ბეი | 1,15 | 4,4 | 5,6 |
| | ტორონტო — ფლორიდა | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| | მონრეალი — ნიუ ჯერსი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| | ოტავა — ბუფალო | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| | აილენდერსი — კაროლინა | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| | ვაშინგტონი — ფილადელფია | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| | ვანკუვერი — ედმონტონი | 3,0 | 4,4 | 1,5 |
| 11.04 | დეტროიტი — პიტსბურგი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| | სტ. ლუისი — კოლორადო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| | დალასი — ლოს ანჯელესი | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| | ანაჰაიმი — ფინიქსი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 12.04 | ოტავა — ფლორიდა | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| | ნიუ ჯერსი — აილენდერსი | 1,15 | 4,4 | 5,6 |
| | რეინჯერსი — ტამპა ბეი | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| | ვაშინგტონი — ჩიკაგო | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| | ნეშვილი — ლოს ანჯელესი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| | კალგარი — ვანკუვერი | 1,15 | 4,4 | 5,6 |
| | სან ხოსე — ედმონტონი | 2,0 | 4,4 | 2,0 |

### კალათბურთი. NBA

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 9.04 | ბოსტონი — ფილადელფია | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| | ნიუ ჯერსი — ტორონტო | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| | ორლანდო — მილუოკი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| | შარლოტი — ვაშინგტონი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| | ატლანტა — ნიუ იორკი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| | ინდიანა — დეტროიტი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| | იუტა — ფინიქსი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| | ვანკუვერი — სიეტლი | 3,5 | 12,0 | 1,2 |
| | ლეიკერსი — მინესოტა | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 10.04 | კლივლენდი — ატლანტა | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| | ინდიანა — შარლოტი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | დალასი — გოლდენ სტეიტი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| | ჩიკაგო — მაიამი | 3,5 | 12,0 | 1,2 |
| | ფინიქსი — სან ანტონიო | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| | საკრამენტო — დენვერი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| | კლიპერსი — პორტლენდი | 5,0 | 12,0 | 1,1 |
| 11.04 | ვაშინგტონი — ფილადელფია | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| | ნიუ ჯერსი — ნიუ იორკი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| | იუტა — ჰიუსტონი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| | მინესოტა — დეტროიტი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| | ლეიკერსი — სიეტლი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| | ბოსტონი — ჩიკაგო | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| | მაიამი — მილუოკი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| | პორტლენდი — კლიპერსი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| | ვანკუვერი — საკრამენტო | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 12.04 | ბოსტონი — კლივლენდი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| | ტორონტო — ინდიანა | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| | დეტროიტი — შარლოტი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| | მინესოტა — ჰიუსტონი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| | სან ანტონიო — ფინიქსი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| | დენვერი — გოლდენ სტეიტი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| | იუტა — ვანკუვერი | 1,05 | 12,0 | 7,5 |

### რაგბი. ხუთი ერის თასი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 10.04 | საფრანგეთი — შოტლანდია | 1,2 | 6,0 | 4,0 |
| 11.04 | ინგლისი — უელსი | 1,05 | 6,0 | 10,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

*კვირას, აღდგომის დღესასწაულზე კროკო არ იმუშავებს*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიზმი

# პეკინის ახალი ინიციატივა


REUTERS პეკინიდან

პეკინი 2008 წლის ოლიმპიადისთვის ახლავე დაფაცურდა

ჩინეთის დედაქალაქს 2008 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა განუზრახავს და თავისი განზრახვის შესახებ ოფიციალურადაც განუცხადებია. გუწინ ჩოკ-ის პრეზიდენტმა ვუ შაოცუმ და პეკინის მერმა ლიუ კიმ სოკ-ის შტაბბინაში სათანადო უსტარი ჩაიტანეს და პრეზიდენტ სამარანჩსაც გულითადად და გულმხურვალედ გაესაუბრნენ. არადა, თქვენ ეგებ გახსოვდეთ კიდეც, ამ ექვსიოდე წლის წინ პეკინი საგაისო ოლიმპიადისათვის რომ ჩალიჩობდა, ცალკერძ ანტიჩინურად განწყობილმა საერთაშორისო საზოგადოებრიობამ და ცალკერძ საკუთრივ ლოზანურმა კანტორამაც ყველაფერი გააკეთეს საამისოდ, რომ ოლიმპიური მაშხალა იანძი-ხუანხეს ნაპირების მაგიერ სიდნეის სანაპიროსაკენ წაგოგმანებულიყო. ჰოდა, მთელი მომდევნო წლების განმავლობაში ჩინელები სოკ-სა და მის გარემოსთან საკმაოდ უბრადა და მწყრალად გახლდნენ. მაგრამ კომიტეტის ამასწინანდელმა „წარეფორმისტულმა“ შარაფმა, როგორც ჩანს, მათზეც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა — ყინული გალხვა, კორუფცია შეირისხა, დეზინფექცია ჩატარდა და პეკინიც ახალ ფოსტას გამოვიდა...

ერთი ეგაა, რომ მას კვლავაც ისეთ ძლიერ კონკურენტებთან მოუწევს ბრძოლა, როგორებიც ბუენოს აირესი, პარიზი, ტორონტო, კუალა ლუმპური, სტამბული, ოსაკა და სევილია არიან. მათ შორის გამარჯვებულის ვინაობას სოკ-ი 2001 წლის ივნისში გამოარკვევს.

**ლევან ძელაურაძე**

ავტორბოლა

# ბადოერს სარასენი შეცვლის

„მინარდის“ მძღოლმა ლუკა ბადოერმა მარტში მარჯვენა ხელი მიოტეხა და ამის გამო, ფორმულა-1-ის ყველა საამსეზონო რბოლას თუ არა, საკვირაო სანპაულურ სარბიელს ნაღდად გამოაკლდება. მისი შემცვლელის ძებნაში გუნდმა მრავალ კანდიდატურას ჰკიდა თვალი, მაგრამ საბოლოო არჩევანი „პროსტის“ შემმოწმებელ მესაჭე, 24 წლის ფრანგ სტეფან სარასენზე შეაჩერა. სარასენს ფორმულა 1-ის ოფიციალურ ასპარეზობაში მონაწილეობა არასოდეს მიუღია და, როგორც სააგენტოები იუწყებიან, მასში მონაწილეობის დიდი სურვილი არც ამჯერად ჰკლავს. „მით უფრო, რომ როგორც მცოდნე ხალხი ამბობს, ეს ყველაზე ძნელი და მაწაკი ტრასა ყოფილა“, — ამბობს სარასენი. მაგრამ ერთია, რას ამბობ და მეორეა, რას გაკეთებინებენ. ამიტომაც ყურადღებით ბრძანდებოდეთ — კვირას თქვენ ტელეეკრანებზე ახალი საფორმულო სახე გამოჩნდება.

კრიკეტი

# ერთი პურჭყის საფასური

ავსტრალიელ მეკრიკეტეთა ნაკრების წევრმა გლენ მაკგრეითმა ვესტ ინდოელებთან საგარეო მატჩის შემდეგ თავის თავს უფლება მისცა, პირისა და ცხვირის ღრუებში დაგროვილი რამ სითხე ერთად შეეჯამებინა და მადლიანი პურჭყის სახით მოედნის ფარგლებში გადმოეფრქვია. სამწუხარო მხოლოდ ის იყო, რომ ეს ამბავი უყურადღებოდ არ დარჩენია შეხვედრის პირუთვნელ მსაჯს რომან საუბა რაუს, რომელმაც ეს ფაქტი, სიტყვა-სიტყვით, „მსოფლიო კრიკეტის ჯიგარში ჩანერწყვებად“ შეაფასა და მაკგრეითის დაჯარიმება მოითხოვა. მოითხოვა და ავსტრალიელსაც ახლა ამ მატჩში აღებული 1436 დოლარიდან 30 პროცენტის უკუდაყაჭვა მოუწევს...

ჰოკეი

# ჰიჩკოკის ღიმილი

7 აპრილი

**ედმონტონი — კალგარი 4:2**

1:1 1:1 2:0

1:0 უეიტი (6'00 (5); 1:1 კესელსი 9'24 (12); 2:1 რ. სმიტი 34'37 (12); 2:2 ჰაუსლი 37'32 (11); 3:2 პოტი 59'15 (4); 4:2 მიურეი 59'39 (18).

წლეულს ტრადიცია დაირღვა — ჩემპიონატის მიწურულს პლეი ოფში გასვლისთვის გამართული მძაფრი ბრძოლების მოწმენი ველარ გავხდით, მაგრამ ერთი ინტრიგა მაინც არსებობს, ამ ამოცანის კვანძი კალგარიმ და ედმონტონმა უნდა გახსნან, ასე ინება განგებამ. 7 აპრილს დაიწყო მოწინააღმდეგეთა სამრაუნდიანი დაპირისპირება. მისი შედეგი გადაწყვეტს, რომელ მათგანს მოუწევს დალასთან პაექრობა თასის პირველ წრეში. ისე, კრივის ტერმინოლოგია რომ მოვიშველიოთ, პირველ რაუნდში დარტყმების მცირე უპირატესობით ედმონტონმა იმარჯვა და, როგორც იქნა, მეტოქეს ერთი ქულით გაუსწრო. საერთოდ, ეს მატჩი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და ანგარიში ბოლო წუთამდე საყაიმო იყო, მაგრამ თამაშის დამთავრებამდე 45 წამით ადრე სტუმრებს კონტრშეტევა გაეპარათ და კარის სიახლოვეს მოულოდნელად აღმოჩენილმა მცველმა, ტომ პოტიმ მარჩანტის პასით ისარგებლა. ამის შემდეგ კალგარელებმა მეკარე მეექვსე მოთამაშით შეცვალეს, მაგრამ საკუთარ კარში კიდევ ერთი შაიბა მიიღეს. ამრიგად, „ალებს“ საპასუხო დარტყმა მართებთ და დღეს ამის ჩინებული შანსიც აქვთ, ისინი ხომ შინ თამაშობენ.

**დეტროიტი — ვანკუვერი 6:1**

2:1 1:0 3:0

0:1 ბერონი 5'08 (3); 1:1 ჰოლმსტრიომი 10'34 (13); 2:1 კოზლოვი 16'20 (28); 3:1 აიზერმანი 21'08 (28); 4:1 აიზერმანი 11'04 (29); 5:1 ფიოდოროვი 50'40 (24); 6:1 შენაჰანი 52'27 (31).

თავიანთი ტრიუმფალური „დედლაინის“ შემდეგ ჩემპიონები აგრძელებენ წარმატებულ სვლას და მათი ზედიზედ მერვე მოგებაც ეჭვს სულაც არ იწვევდა. ასეც მოხდა. ულიმღამოდ მოთამაშე ვანკუვერმა მხოლოდ პირველ ათ წუთში გაუწია გრანდს წინააღმდეგობა და მერე ყურები ჩამოყარა. „წითელფრთიანთა“ ქომაგების გასახარად, კლუბის ერთ-ერთი ლიდერი, სერგეი ფიოდოროვიც (1+1) უკვე ფომრაშია და ბოლო ათ მატჩს ყინული უქულოდ არ დაუტოვებია.

**კოლორადო — ნეშვილი 4:1**

2:0 2:0 0:1

1:0 მესიე 5'02 (3); 2:0 ოზოლინში 14'33 (7); 3:0 ფორსბერგი 20'39 (29); 4:0 გუსაროვი 39'32 (2); 4:1 კრივოკრასოვი 50'55 (24).

კოლორადოც არ ანელებს ტემპს (+7=1-0) და ჩემპიონს კონფერენციის მეორე ადგილს არაფრით უთმობს, რაც ამ მეტოქეთა პლეი ოფის მეორე რაუნდის შესაძლო პაექრობის შემთხვევაში საკუთარი მოედნის უპირატესობას მისცემს. ახალბედა კრის დრიურიმ 3 პასი მიითვალა და 44 ქულით თავის თანაკლუბელ მილან ჰეიდუკს დაეწია დებიუტანტთა დავაში.

**დალასი — ანაჰაიმი 5:1**

1:1 4:0 0:0

1:0 ჰალი 11'50 (30); 1:1 კარია 14'18 (36); 2:1 ჰალი 20'23 (31); 3:1 კინი 27'40 (4); 4:1 კარბონო 29'55 (4); 5:1 ვერბიკი 35'52 (17).

დეტროიტის და კოლორადოს გამორჩევამ ამ ბოლო ხანს კიდევ ერთი გრანდი, დალასი ერთობ ჩრდილში მოაქცია, თუმცა ეს გარემოება მათ თავკაც კენ ჰიჩკოკს ახარებს კიდეც პლეი ოფისთვის მშვიდად მოვემზადებითო. დალასმა, რომლის მცველმა სერგეი ზუბოვმა 3 პასი მიითვალა, კონფერენციაში პირველობა უკვე დაიბევა.


REUTERS მონრეალიდან

კაროლინელი რონ ფრენსისი მონრეალის მეკარე ჟოზე ტეოდორსა და მცველ ბრედ კლარკს შუაში ჩაუწვა

**მონრეალი — კაროლინა 2:0**

0:0 1:0 1:0

1:0 ტორნტონი 25'16 (6); 2:0 რუჩინსკი 51'11 (16)

მონრეალის მეკარე ჟოზე ტეოდორმა კარიერაში პირველი შატაუტი შეასრულა და კაროლინელთა პლეი ოფში მოხვედრის საქმე კვლავ ღიად დატოვა.

**ვაშინგტონი — სენტ ლუისი 2:4**

0:1 2:1 0:2

0:1 მაიერსი 5'56 (4); 1:1 იგლსი 24'09 (4); 1:2 იანგი 24'23 (19); 2:2 გრეტონი 24'54 (1); 2:3 პიკარი 52'13 (9); 2:4 მაკინისი 59'31 (20).

1991 წლის შემდეგ ეს სენტ ლუისის პირველი გამარჯვებაა ვაშინგტონში.

**ფლორიდა — ბოსტონი 2:5**

1:0 0:3 1:2

1:0 შვეპლა 4'32 (8); 1:1 დიმაიო 22'42 (7); 1:2 კარტერი 29'38 (19); 1:3 ხრისტიჩი 33'27 (29); 1:4 კარტერი 50'06 (20); 2:4 ჯონსონი 53'51 (1); 2:5 კარტერი 58'16 (21).

ვერაფერს იტყვი. ბოსტონი მართლაც ფლორიდაზე მეტად იმსახურებდა პლეი ოფში გასვლას. ეს მასთან შეხვედრაში კიდევ ერთხელ დაამტკიცა და თასზე მონაწილეობა გაინაღდა. ბოლო ხანებში კლუბის ლიდერად ქცეულმა შავკანიანმა ენსონ კარტერმა კარიერაში პირველი ჰეთ თრიქი შეასრულა, თანაც ყველაზე საჭირო დროს.

**ტორონტო — ოტავა 4:2**

1:0 1:1 2:1

1:0 პერო 11'17 (14); 1:1 იაშინი 26'01 (44); 2:1 პერო 34'57 (15); 3:1 პერო 45'12 (16); 3:2 ჰოსა 48'32 (14); 4:2 პერო 51'03 (17).

„დედლაინზე“ შენაძენი ტორონტოს ასე თუ გამოადგებოდა, ამას, ალბათ, თვით კანადური კლუბის ქომაგნიც კი ვერ წარმოიდგენდნენ. ორი ტრავმირებული ცენტრის არყოფნაში ტორონტო იძულებული გახდა, იანიკ პერო შეეძინა, რომელიც ლოს ანჯელესში ულიმღამო სეზონს ატარებდა. ამას საუცხოო შედეგი მოჰყვა — ჩინებული დუეტი შეიქმნა. ერთ-ერთი მათგანი, სერგეი ბერეზინი (2 პასი) გასული კვირის ყოჩი გახდა, პერომ კი, რომლის პასებითაც აქამდე რუსი ხეირობდა, აღმოსავლეთის ლიდერთან თავად დაარტყა, თანაც ისე, რომ პოკერი გააკეთა. „ეს ისეთი ღამე იყო, როდესაც ყველაფერი გამოგდის, ყველა დარტყმა მიზანს აღწევს“ — ხარობდა მატჩის შემდეგ პერო, რომელმაც ოთხი შაიბიდან ერთი უმცირესობაში შეაგდო და გუნდის მწვრთნელად პეტ ქუინს კარიერაში მე-400 გამარჯვება აჩუქა.

**სამველ ღარიბიანი**



## კვირის მოთამაშე

### სერგეი ბერეზინი (ტორონტო)

თვისტომთაგან განსხვავებით, სერგეი ბერეზინმა არა ჭაბუკობისას, არამედ 25 წლისამ შეაბიჯა ლიგაში. მანამდე გერმანიის ჩემპიონატში მოასპარეზე ჰოკეისტმა ჩინებული გოლეადორული თვისებებით მოაწონა თავი ტორონტოს მესვეურებს (ერთ სეზონში 86 შაიბა გაიტანა) და ნჰლ-ში არცთუ ცუდი დებიუტიც გამოუვიდა. მაგრამ მომდევნო წელს ისე წავიდა მისი საქმე, ძირითადშიც ვერ ხვდებოდა. ბედად, წლეულს სულ სხვაგვარად განვითარდა მოვლენები. თანამემამულე იგორ კოროლიოვთან შეამხანაგებული ბერეზინი კვლავ შედეგიანად ათამაშდა, ხოლო მას შემდეგ, რაც დაშავებული კოროლიოვის ნაცვლად ახალწვეული იანიკ პერო დაუყენეს სამეულში, შეუჩერებელი გახდა. ზედიზედ 6 შედეგიან მატჩში მან 11 (7+4) ქულა მიითვალა, ხოლო გასული კვირის 3 თამაშში — 7 (5+2), თანაც ედმონტონთან შესრულებულ ჰეთ-თრიქს კალგარისთან გატანილი დუბლიც მიაყოლა და პირველად კარიერაში კვირის ლაურეატობა დაიმსახურა. ამჟამად 34 გოლით (პირადი რეკორდი) და 19 პასით ბერეზინი წარმატებით მოასპარეზე კლუბის მესამე ბომბარდირია.

**საუკეთესო ეძვსეული:** კრის ოსგუდი (დეტროიტი, 1); ალექსანდრ კარპოვცევი (ტორონტო, 1) — სამი სალო (ოტავა, 1); სერგეი ბერეზინი (ტორონტო, 1) — ვენსან დამფუსი (სან ხოსე, 1) — იარომირ იაგრი (პიტსბურგი, 7).

## მამა ხარ თუ აგენტი?

ფილადელფიის კაპიტანი ერიკ ლინდროსი 7 აპრილს ნეშვილის ჰოსპიტლიდან გამოეწერა და შინ დაბრუნდა, მაგრამ ჯერ კიდევ გაურკვეველია, საბოლოოდ როდის გამოჯანმრთელდება. გუნდის ექიმების თქმით, მართალია, იგი თავს კარგად გრძნობს, მაგრამ ძალის აღსადგენად სამი-ოთხი კვირა მაინც დასჭირდება. ფილადელფიელებს ერთი სული აქვთ, როდის იხილავენ ლინდროსს პლეი ოფში. ჰოკეისტის მამამ და ამასთანავე აგენტმა, კარლ ლინდროსმა კი განაცხადა, მისი ყინულზე გასვლის სასტიკი წინააღმდეგი ვარ, მაგრამ ბოლო სიტყვა ერიკს ეკუთვნისო. შეგახსენებთ, რომ ორი წლის წინ რამდენიმე ტრავმის შემდეგ კარიერის დასრულება მოუხდა ერიკის უმცროს ძმას, ბრეტს.

## ბურე კოჭლი ბედაურია?

ფლორიდის ექიმ-ორთოპედ დავიდ ათარიანის ადგილობრივი გაზეთისთვის მიცემული ინტერვიუ ერთობ სენსაციური გამოდგა. მისი თქმით, კლუბის ლიდერ პაველ ბურეს მუხლი მანამდე ჰქონდა განწირული, სანამ „პანტერებთან“ გადავიდოდა. ამდენად მისი თამაში თავიდანვე რისკთან იყო დაკავშირებული. „კონტრაქტის გაფორმებამდე ბურე მოსკოვში იმყოფებოდა და პირველ თამაშზე, ნიუ იორკში, პირდაპირ იქიდან ჩაფრინდა. ამიტომაც მხოლოდ სამმატჩიანი გასვლითი სერიის დასრულების შემდეგ მომეცა მისი მუხლის გამოკვლევის შესაძლებლობა“ — გაიმართლა თავი ათარიანმა და იქვე დასძინა, რომ პირველი ტრავმის შემდეგ მან გააფრთხილა ბურე, რომ განსაკუთრებულ მკურნალობას საჭიროებდა, მაგრამ ფორვარდმა ყინულზე გასვლა მაინც გადაწყვიტა. აი, შედეგიც: 5 მარტს კოლორადოსთან მატჩში (მაშინ ბურემ ჰეთ-თრიქი შეასრულა) იგი განმეორებით დაშავდა.

„პანტერების“ გენერალურ მენეჯერ ბრაიან მიურეისთვის ეს ამბავი ძალიან მოულოდნელი იყო. იგი ფიქრობდა, რომ ფორვარდი მუხლს მალე მოიშუშებდა.

ისე, ბურეს ეს მუხლი პირველად როდი ღალატობს. 1995 წელს მას ამის გამო მთელი სეზონის გამოტოვება მოუხდა.

## თასების თასი. ნახევარფინალი
პირველი მატჩები. 8 აპრილი

Cup Winners' Cup

### ჩელსი 1:1 მალიორკა

1:0 დანი (31), 1:1 ტორე ანდრე ფლო (50)

ჩელსი: დე გუი, ფერერი (ლამბურდი 80), დესაი, ლებეფი, ლე სო, პეტრესკუ, უაიზი, ზაბაიარო (ტორე ანდრე ფლო 46), მორისი, ძოლა (პოიეტი 60), ვიალი

მალიორკა: როა, მიგელ სოლერი, სივიერო, მარსელინიო, ოლაისოლა, იბაგასა (კარერასი 61), ენგონგა, ეტამე-მაიერი, პაუნოვიჩი, ბიაჯინი (ფრანსისკო სოლერი 85), დანი

### ლოკომოტივი 1:1 ლაციო

1:0 ჯანაშია (61), 1:1 ბოკშიჩი (77)

ლოკომოტივი: ნიგმატულინი, არიფულინი, დროზდოვი, ხარლაჩოვი (მამინოვი 85), ჩერევჩენკო, ჩუგაინოვი, სმერტინი (ლოსკოვი 46), გურენკო, ჯანაშია, ლავრიკი, ბულიკინი (ბოროდიუკი 85)

ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ფავალი, ლომბარდო, მიხაილოვიჩი, პანკარო, სტანკოვიჩი, დე ლა პენია, ალმეიდა, სალასი (მანჩინი 73), ვიერი (ბოკშიჩი 65)

## მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი

### ურუგვაი 1:0 კორეა

1:0 ჩევანტო (2)

### მალი 2:1 პორტუგალია

1:0 კულიბალი (14პ), 2:0 ნდიაიე (45), 2:1 დაკოსტა (56)

### კამერუნი 1:0 ინგლისი

1:0 კომოლი (64)

### იაპონია 3:1 აშშ

1:0 დოუნინგი (10 ს.კ.), 2:0 ტაკაჰარა (51), 2:1 ფუტაგაკი (74), 3:1 ოგასავარა (85)

### ზამბია 0:0 ესპანეთი

### ჰონდურასი 0:3 ბრაზილია

0:1 ედუ (36), 0:2 მათუსალემი (41), 0:3 ედუ (80)

## საფრანგეთი

### ლიონი 4:1 სოშო

1:0, 2:0 კავეგლია (43, 47), 3:0 კოკარდი (74), 3:1 ბ. ბუჟე (74პ), 4:1 ლინარესი (82)



REUTERS ლონდონიდან

ჩელსი — მალიორკა. ტორე ანდრე ფლოს საპასუხო გოლი გააქვს კარლოს როას კარში






REUTERS სან პაულუდან

# მთავარი მაინც ბავშვია

*კვირადღის რბოლის მომლოდინე სან პაულუში ყველა თავისებურად ერთობა. ეს პატარა ყმაწვილი დიდი მიხაელ შუმახერის დიდი ჩაფხუტის გვერდით ონავრობს, სეზონის პირველი, ავსტრალიური სკალპის მომხსნელი ფერარელი ედი ირვაინი კი ამჯერად ამ სამბა-რუმბა-ჩა-ჩა-ჩას მოცეკვავე ძუ ალიგატორის მოხსნასაც ლამობს. როგორც თავადაც ატყობთ, ალიგატორს ამის საწინააღმდეგო არაფერი უნდა ჰქონდეს — მისი ოფლიანი სხეული ისევე მზადაა შესაკაზმად, როგორც ედის მწითური ბოლიდი.*

# ჩემი ვაშინგტონი ისევ მიგონებს

გამოჩენილ მებუშტეებს, საჰაერო ბურთით დედამიწის ირგვლივ დაუშვებლად შემოლივლივებულ ბერტრან პიკარსა და ბრაიან ჯოუნზს, აბა, რა დაგავიწყებდათ?! ჰოდა, მათ არც მსოფლიოს ქომაგობა თუ სპონსორობა ივიწყებს... გუშინ პიკარი და ჯოუნზი ვაშინგტონში იმყოფებოდნენ და სანამ „ბუდვაიზერის" ამ მოხდენილ თასს შეათამაშებდნენ და 1-მილიონიან საპრიზო ჩეკს ჯიბეებში ჩაიკუჭავდნენ, მანამ ქალაქის ქუჩებში ეტლზე სეირნობითაც იჯერეს გული.





REUTERS ვაშინგტონიდან



REUTERS პიტსბურგიდან

# იხარე ქმერო!

*პიტსბურგელმა მებეისბოლე მეკობრეებმა ახალი სეზონის სტარტზე ახალი არენაც დაამწყალობეს. თუმცა **„PNC PARK"**-ი ამჟამინდელ **„THREE RIVERS"**-ს მხოლოდ 2001 წლიდან ჩაენაცვლება. მანამდე კი შუქი-მუქი, ფოიერ-მოიერვერკი და არენის ცენტრში მოყელყელავე კეტბურთელთა პრეზიდენტი კევინ მაკკლეჩი, რომლის აზრითაც, ყველაფერი ძალიან, ძალიან კარგადაა...*


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29